




ისტორიული გეგვიდრაობა

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი, ივლისი, 2010 წ. ფასი 3 ლარი



4 შალვა ამირეჯიბი:
შოთა რუსთაველი

6 ხნობაგი
საქართველოს
შესახებ

10 საქართველო-
რუსეთის
პოლიტიკური
და
სახელმწიფო-
ობრივი
უპირიპობა

ელგუჯა მადრაძე:
„მოსკოვ-
ქალაქს
15 გზის
ველოდით“

გიორგი
ლასნიშვილი:
დაახლოვება
ქართულ და
რუს ეოლვა-
20 ნებათან

ქართული
გვირაბი
დიდ
სამაგელო
22 რევი

„თბილისოს“
ტექსტის
ავტორის
90 წლის
24 იუბილე

ვაჟა-ფშაველა:
ქონეოვო-
ლიტიზმი
და პატრი-
28 რტიზმი

რუსები და
ქართველები
30 რვენა
პატრიარქა-
ბა უნდა
გამოაღვიქონ

არტურ ლაისტი:
ქართული
48 ხალხი

ეგრისის „ნათლისგვიბელი“,
X-XI საუკუნეები, ღვანისის რ-ნი



სარჩევი

■ უმაღლესი პოეზია შალვა აიქიანი: შოთა რუსთაველი	4
■ ჟანრული ლაბორინთები თინათინ ყაუხჩიანი: ცნობები საქართველოს შესახებ	6
■ კომპოზიციური საპროგრამა საქართველო-რუსეთის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ურთიერთობა	10
■ კომპოზიციური საფუძველი ელგუჯა მღვინე: „მოსკოვ-ქალაქი გზის ველოდით“...	15
■ მუსიკალური არჩილ ჯორჯაძე: დაქვირვაბანი	17
■ მემორიალი გზად და ხედავად გიორგი ლანდოვი: დასაწყისი ქართულ და რუს მოღვაწეებთან	20
■ ჩვენი ისტორია ქართული გვირაბი დიდ სამამულო ომში	22
■ ხელოვნება თანად უკვდავება „თბილისი“ ტექსტის ავტორის 90 წლის იუბილე	24
■ ლიტერატურული სპორტსმენი ვიქტორ სანაძე – გზა სოსელიდან ავსტრალიამდე	26
■ კლასიკოსი ვაჟა-ფშაველა: კონსერვატივიზმი და პატრიოტიზმი	28
■ თვალსაზრისი რუსები და ქართველები ჩვენზე პატრიარქაობა უნდა გამოაღვიძრონ	30
■ თვალსაზრისი რელიგიური ფაქტორი და კონფლიქტური პოტენციალი საქართველოში	34
■ დარგობრივი ტრადიცია ვახუშტი ჯიშვილი საქართველოში	38
■ საქმე შედგენილი ბათუმის ბოტანიკური ბაღი	42
■ შეფასება ზინადა ბაგდასარიანი: ლევ ტოლსტოი	44
■ უცხო თვალთ არტურ ლანდოვი: ქართული ხალხი	48

გამომცემელი: არასამეწარმეო იურიდიული პირი „ისტორიული მემკვიდრეობა“
მთავარი რედაქტორი თემურ ძორიძე
მისამართი: თბილისი, ამბროლაურის ქ. № 166/5 ტელ.: 38-41-97

შალვა აშირაძე:

შოთა რუსთაველი

შოთა რუსთაველის ბედი პირველი და უკანასკნელი არ არის. იგი ეკუთვნის მწერალთა იმ რიცხვს, რომელთა შესახებ ხალხმა ცოტა რამ უწყის. ისტორიამ ბევრი რამ შეუსაბამობა იცის. იგი იხსომებს ხშირად ვინმე სისხლისმსმელისა და ცეცხლის ნამკიდებლის მთელ თავგადასავალს, უხვია ცნობებით მათ შესახებ, რომლებიც საუკუნეთა განმავლობაში ისე ბრწყინავენ, როგორც სვეტი ნათელი. განა იმავ მდგომარეობაში არ არის საკითხი შექსპირის ვინაობისა? ინგლისში წელიწადი ისე არ გაივლის, რომ ამ მწერლის შესახებ ახალი გამოკვლევა არ გამოვიდეს და რამდენჯერ გადაუყენებიათ შექსპირი იმ ტახტიდან, რომელზედაც იგი სდგას. მაგრამ ყველასთვის ერთი რამ კი ცხადია — შექსპირი, ან ავტორი უკვდავ ტრადიციებისა სცხოვრობდა ელისაბედის ხანაში.



ჩვენში საკითხი შოთა რუსთაველის ვინაობისა გართულებულია იმიტომ, ვითომ ავტორი „ვეფხისტყაოსნისა“ თამარის თანამედროვე არ იყო. ვინც შეეჩვია იმ აზრს, რომ შოთა რუსთაველი თამარის თანამედროვე და მისი მეხოტბეა, მისთვის ძნელია ასეთი ეჭვის მონღელება. ქართული კულტურა არაფერს დაკარგავს მით, რომ შოთა რუსთაველი მეთოთხმეტე საუკუნის მწერალი იყოს. ჩვენი წარსული უფრო შავზნელ ცასა ჰგავს, რომელზედაც ვარსკვლავთა ხომლებს სამ-ოთხ ადგილასა აქვთ თავი მოყრილი. სხვა დანარჩენი ადგილი წყველიდან არის მოცული და ვინ იცის, იქნებ ჩვენი წარსულისთვის კიდევაც სჯობდეს ამ ხომლის გაფანტვა, მაშინ ყოველი საუკუნე თავის მნათობს მიიღებს. მაგრამ სხვა არის ამ ხომლის გაფანტვა, სულ სხვა არის ერთი ვარსკვლავის გატეხვა, რომ იგი, ორად ქცეული, ცის სხადასხვა სიგრძე-სიგანეზე დაჰკიდ-ო. აი, რით აიხსნება, რომ, როდესაც შოთა რუსთაველს თამარს ამორებენ, ჩვენზედ ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ყველაზედ დიდ ვარსკვლავს სტეხავენ.

„ვეფხისტყაოსნის“ ყოველმხრივი შესწავლა ერთნაირად უნდა ხდებოდეს. ერთის მხრივ, იგი შესწავლილი უნდა იქნას ისტორიულად, ესე იგი როდის არის იგი დაწერილი და ვისგან, მეორეს მხრივ, კრიტიკულად, ლიტერატურულად. ეს ორი მუშაობა ისე განცალკევებულად მაქვს წარმოდგენილი, რომ მათი ერთმანეთში არევა წარმოსადგენადაც კი ძნელია. ჩვენში კი სწორედ ასე არა ხდება. ისტორიკოსნი ხშირად მსჯელობენ იმაზედ, თუ რას წარმოადგენს „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ლიტერატურული განძი და კრიტიკოსები — როდის ან

ვისგან არის იგი დაწერილი. თუ მივიღებთ სხვადასხვაობას იმ მეთოდებისას, რომლითაც ხელმძღვანელობს ერთის მხრივ ისტორიოგრაფია და მეორეს მხრივ ხალასი ლიტერატურული კრიტიკა, ცხადია, მათი ერთი მეორის სფეროში გადასვლა საკითხს უფრო არევე-დარევეს.

უპირველესი საქმე თვით ტექსტის შესწავლა არის. ამ მხრივ „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ ლიტერატურამ უკვე ნაბიჯი გადასდგა. ალ. სარაჯიშვილმა ბევრი ხორცმეტი იპოვნა ტექსტში და გასწმინდა მათგან, დ. კარიჭაშვილი კი უფრო შორს წავიდა ამ საკითხში: მან მთლად უარყო მთელი შესავალი პოემისა და მთელი ეპილოგი. მე ვერა ვბედავ, ეს შეხედულება სრულჭეშმარიტებად ვაღიარო, მით უმეტეს, რომ ჩემი აზრი, როგორც არასპეციალისტისა ამ საკითხში ავტორიტეტობას ვერ შესძენს კარიჭაშვილის დებულებას. მაგრამ რომ ეპილოგის და პროლოგის საკითხს საგნის გარდაწყვეტაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, ეს ჩემთვისაც ეჭვს გარეშეა.

ტექსტის ყოველმხრივ შესწავლის შემდეგ უნდა გამოდიებულ იქნას, თუ რადროს არის დაწერილი პოემა. რადგან ამის შესახებ პირდაპირი ცნობები არ არის, ეს საკითხი უფრო ძნელია, ერთი კი უეჭვოდ უნდა მივიღოთ, პოემა შექმნილია ქართველი ერის ძლიერების ხანაში. წარმოუდგენელია, რომ იგი დაწერილი იყოს დაქვეითების დროს. არ არსებობს თითქმის, ისეთი გენიოსური ნაწარმოები, რომელიც შექმნილი იყოს გადაგვარების, დაქვეითებისა და რეაქციის ხანაში. შექსპირი სცხოვრობდა ელისაბედის დროს, დანტე და პეტრარკა ალორძინების ხანაში, კორნელი და რასინი „მეფემზის“ თანამედროვენი იყვნენ. ასეთ

საზოგადო ფაქტებს ის აუცილებელი მნიშვნელობა აქვს, რომ შეძლებას გვაძლევს ჩვენც „ვეფხისტყაოსნის“ შექმნა თამარის ეპოქას მივანეროთ. ჯერ ერთი, ამის მომხრეა მთელი ტრადიცია, მეორეც ესა, თუ მოისურვებთ სხვა საუკუნეში გადავიტანოთ შოთა რუსთაველის მოღვაწეობა, ეს ისეთის ძლიერის არგუმენტაციით უნდა იყოს დამტკიცებული, რომ ეჭვები აღარ არსებობდეს. თუ მცირე ეჭვი მაინც დარჩა, ვერავითარი მეცნიერება, ვერავითარი კრიტიკა ვერ შეძლებს შოთა რუსთაველი თამარის ეპოქას ააცილოს და სხვა საუკუნეს მიაკონინოს, მაშინ თქვენ ბრძოლა მოგიხდებათ ხალხის ფსიხოლოგიასთან, რომელიც ნახევარჭეშმარიტებაზედ მაღლა აყენებს ძველს, მაგრამ სრულს ცრუმორწმუნეობას, შოთა რუსთაველის შესახებ კი ეს ცრუმორწმუნეობა სრულია, სავესა პოეზიით, თავყანისცემით. რაფაელი მადონას მუდამ პატარა იესოთი ხატავდა, თუმც ეს დიდ აუცილებლობას არ წარმოადგენდა სურათისთვის. ასევეა ჩვენი ხალხიც, მას არ შეუძლიან წარმოიდგინოს თამარი ურუსთაველოდ, თუმცა იქნება არც იყოს ამის საჭიროება. დიდი საკითხები ხშირად პატარა მიზეზებით არიან გამოწვეულნი. ჩვენი მეცნიერნი თავებს იმტვრევენ იმის შესახებ, თუ როდის სცხოვრობდა რუსთაველი, ნამდვილად კი საკმარისი იყო ვინმე წერაკითხვის მცოდნე ბერს პატარა ფარატინზე დაენერა, რომ იგი თამარის თანამედროვე იყო, და საკითხიც აღარ იქნებოდა. აი პატარა მიზეზი დიდი საკითხისა! ეს არ მოხდა და აღარ ვიცით, რა ვქნათ, აღარ გვჯერა ხალხისა, მის გადმოცემისა, რომელიც ამ შემთხვევაში მაღლა უნდა იდგეს ყველა ბერმონაზონზედ, მით უმეტეს, რომ სხვა

საბუთი არა გვაქვს. აი, რათა მგონია, რომ ყოველი ახალი მოსაზრება ჰიპოტეზის სახით კი არ უნდა ეფინებოდეს საკითხს, არამედ ჭეშმარიტებად და მხოლოდ მაშინ შეიძლება აზრის შეცვლა რუსთაველის ცხოვრებაზედ. მაგრამ აქედან იმის დასკვნა არ შეიძლება, რომ სრულიად ავკრძალოთ კვლევა-ძიება. მეზი ჭიანჭველას არ დაეცემა სწორედ ისე, როგორც არც ერთ მეცნიერს არ მოუვა აზრად გამოძიება იმისა, თუ როდის სცხოვრობდა ავტორი ამა თუ იმ გახუბებულ ანეკდოტისა. მხოლოდ შოთა რუსთაველისთანა მწერლებს შეუძლიანთ აღძრან ისეთი ინტერესი, როგორც აქვს მას ჩვენს ლიტერატურაში და ამ მხრივ სარგის კაკაბაძის კვლევა-ძიება იქნება შემცდარი იყვეს, მაგრამ არავის შეურაცხმყოფელი არ არის.

ბოლოს არანაკლებ მნიშვნელოვანია ის საკითხი, თუ ვინა ჰყავს გამოყვანილი ავტორს პოემაში, ან რა აქვს დახატული მას. ეს უკვე სხვა სფეროს საკითხია, ეს არის საკითხი ლიტერატურულ კრიტიკისა და გემოვნებისა და უმეტესად კი თვით პოემის შეგნებისა. მწერლობაში მტკიცედ არის დაცული ის აზრი, რომ პოემაში თამარ დედოფალია გამოხატული, პირადათ მე მომხრე ვარ იმ აზრისა, რომ პოემა დაწერილია თამარის ეპოქის ზეგავლენით. მასში მეფობს მეთორმეტე საუკუნის ძლიერი სული, მაგრამ არა მგონია, რომ თინათინის სახით პოემაში თამარი იყოს გამოყვანილი. იმის საბუთი, რომ თინათინი იგივე თამარია ცოტაა და უმთავრესად კი ის ჩაითვლება, რომ თინათინიც ისევე მამისერთა ქალია, როგორც თამარი. მამის ტახტზედ ადის ერთიც და მეორეც. აქ მე მგონია უტენდენციო მსგავსებაა მხოლოდ. თინათინის „მარტოოდენ მარტო ასულობა“ საჭიროა თვით პოემის ფაბულისთვის, მიეცით თინათინს ძმა და თინათინი გაქრება პოემაში, ესე იგი გაქრება თვით პოემა. მისტიციზმით ქალები უფრო არიან შეპყრობილნი, ვიდრე კაცები, მოჩვენებანი ქალებს უფრო ხიბლავენ, ვიდრე კაცებს და განა არაბეთის ტახტზედ თინათინის მაგივრად კაცი რომ ყოფილიყო მეფედ, იგი გაგზავნიდა ავთანდილს იმ მისტიურ არსების საძებნელად, როგორადაც გვეჩვენება ჩვენ ტარიელი პოემის დასაწყისში? ყველაზედ მეტად ხომ თვით როსტევანი იყო შენუხებული „უცხოხა და საკვირველ ყრმის გარდაკიდებით“ და იმავე თინათინის რჩევით მთელი წელიწადი აძებნინა მოყმეებს ყმა უცხო და საკვირველი, მაგრამ როცა ვერც მძებნელებმა გაიგეს მისი ასავალ-დასავალი, როსტევანმა ჭირი ღებინა და შეიცვალა.

და აქ იგი მოიქცა, როგორც უნდა მოქცეულიყო ყოველი მამაკაცი, როგორც მისტიურ ფიქრებით ნაკლებ შეპყრობილი არსება.

და აი, სწორედ ამ დროს გამოდის სამოქმედოთ ქალის მისტიურ ხილვით შეპყრობილი გონება, რომელსაც გაეღვიძა სურვილი ამოცანის გამოცნობისა. მაგრამ თინათინი რომ უბრალო ქალი ყოფილიყო, რას იზავდა იგი? განა ცოტა ფანტაზია აქვს ქალს, ცოტას გამოცნობა სწყურია მის ბურუსში გახვეულს გონებას? ღირს განა ამ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად ხალხის დაქსაქსვა, ომები და სისხლისღვრა? რასაკვირველია არა და ვერც თინათინი შესძლებდა მიზნის განხორციელებას, რომ არ ყოფილიყო ერთი გარემოება. ის იყო მამისერთა, ის იყო მეფე არაბეთისა, მბრძანებელი ყმათა და სპათა, რომელსაც წინააღმდეგ სხვა ქალებისა, თავის უზომო ცნობისმოყვარეობა შეეძლო სახელმწიფოებრივ აუცილებლობის ნიღაბში გაეხვია და ისე ემოქმედნა, აემოძრავებინა ჯარები მარტო მისთვის, რომ დაეკმაყოფილებინა თავისი ქალური ცნობისმოყვარეობა; და თინათინი ასეც მოიქცა. განა შეგიძლიათ წარმოიდგინოთ რაზედ ურფო მეტს ფიქრობდა თინათინი: ამ მისტიურ არსების პოვნაზედ, თუ სახელმწიფო საქმეებზედ, მიუხედავად იმისა, რომ ის დედოფალი იყო. ეჭვი არ არის, რომ იგი უცნაურ ყმაზედ უფრო ბევრს იფიქრებდა და ამ მხრივ, თინათინი, თვით არის ავტორი პოემისა. პოემის დასაწყისში საჭირო იყო ისეთი ფსიხოლოგიური კვანძი, რომელიც შემდეგ მსვლელობაში გიგანტურ განვითარებას მიიღებდა და რუსთაველმაც ეს საკითხი ბრწყინვალედ შეასრულა. ტარიელი სულია სივრცეში მიმოხეული, თუმცა ისეთივე შეყვარებული, როგორც მომაკვდავი, საჭირო იყო მისი ძებნა მთელ ხმელეთზედ, სამზღვრებს გარედ და სამზღვრებს შუა და არა კაბინეტიებში, სადაც იმალეობიან თანამედროვე შეყვარებულნი და ამის საძებნელად კი საჭირო იყო გიგანტიური ძალა და ავტორიტეტი არაბეთის სამეფოსი და არა მარტოოდენ სივაჟკაცე ავთანდილისა, რომელიც აქვე შენიშნეთ, არასოდეს არ მოქმედებდა მკლავით, არამედ გონებით და ფსიხიკის საუკეთესო ცოდნით. აი რად იყო საჭირო პოემაში თინათინი, თამარისებრ მამისერთა და თამარისებრ მბრძანებელი, მაგრამ არა როგორც თინათინი იგივე თამარი.

მამ, თუ პოემაში თამარი არ არის გამოყვანილი, ვინლა არის, ვის შეასხა ხოტბა რუსთაველმა? იქნებ არავის, როგორც არავის განსაკუთრებული

ხოტბა არ არის დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“, შექსპირის „ჰამლეტი“ და გიოტეს „ფაუსტი“, განა ჩვენ როდისმე მივხვდებით მიზეზს მათის წარმოშობისას? მხოლოდ მეცნიერებას შეუძლიან სთქვას რომ ამა და ამ შეკავშირებისაგან ეს და ეს ელემენტი წარმოსდგება. აი, მიზეზი და მისი შედეგი. მაგრამ ხელოვნება ყველაზედ ნაკლებ მეცნიერებაა, ჩვენ არ ვიცით მისი წარმოშობი კანონები და ხელოვნურ წარმოებაში გარეგან წარმოშობ მიზეზის ძებნა იგივე იქნებოდა, რაც ციხის გარედან გაღება, როცა ციხე შიგნიდან არის დაკეტილი. „ვეფხისტყაოსანიც“ ასეთი შიგნიდან დაკეტილი ციხეა, და მისი გასაღები მით უფრო არ ვიცით სად არის, რომ არ ვიცით ვინ იყო თვით შოთა რუსთაველი?!

იბადება საკითხი — რას ნააგებს „ვეფხისტყაოსანი“, როგორც ეროვნული თხზულება? თუ ასე შევეხეთ საკითხს, ნუ დაგავინწყებათ, რომ ბევრი მარტო მიტომ სთვლის პოემას ეროვნულ თხზულებად, რომ სწორედ ამ მსგავსებას ჰპოვებენ შიგ. მე მგონია იგი ქართულ წინააღმდეგობაში დაეკეტილი და დარჩება მამინაც, თუ უარყვავით ბიოგრაფიული ხასიათი პოემისა, ესე იგი, ის აზრი, რომ პოემაში თამარია გამოყვანილი. ჯერ ეს ერთი ასეთი აზრი თვით პოემიდან არ გამოდინარეობს და იგი დასკვნაა მხოლოდ სხვადასხვა პირებისა და ამასთანავე დასკვნა ბოლონდელი, მაშასადამე ჩვენგან შექმნილი დასკვნა ჩვენვე შეგვიძლიან უარყვოთ ისე, რომ პოემას არაფერი დააკლდეს. მეორე და უფრო მნიშვნელოვანი მოსაზრება ის არის, რომ ასეთი აზრის დაფუძნება წარმოუდგენელია მარტო ასეთ გარეგან შედარებაზედ და მიმსგავსებაზედ. ფაქტი თინათინისა და თამარის მსგავსებისა ისე მცირე მნიშვნელოვანია, რომ თუ ამ საშუალებით მოვიწოდებთ თხზულების გაორიგინალებს, მაშინ იმავე მსგავსების ძალით სხვებს უფრო მეტი საბუთი ეძლევათ მითვისსონ იგი, რადგან თამარის შესახებ თვით პოემაში სულ არაფერია ნათქვამი, მხოლოდ რაც შეეხება არაბეთს, ხატაეთს, ინდოეთსა და სპარსეთს ამათ შესახებ კი პოემა ყოველ ნაბიჯზედ ღალატებს.

ჩემის აზრით, მტკიცე გარანტია იმისა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ ნამდვილი ქართული ნაწარმოებია, მარტო ისიც კმარა, რომ იგი ერთადერთი თხზულებაა და ჩვენ არ ვიცით სხვა დედანი ან სხვა ასლი რომელიმე ენაზედ და ესეც საკმარისია, რომ საკითხი პოემის ორიგინალობისა გარდაწყვეტილად ჩაითვალოს.

„ქლდე“ №16, 14 აპრილი, 1913 წ.

თინათინ ყაუხჩიშვილი

ცნობები საქართველოს შესახებ

იოსებ ფლავიუსის შემოქმედებაში, რომელსაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მსოფლიო მწერლობის ისტორიაში და რომლის ძირითადი დანიშნულება საკუთარი ერის (იუდეველთა) წარმოჩენა და განდიდებაა, მოიპოვება ცნობები, უეჭვლად ღირებული საქართველოს ისტორიის თვალსაზრისით. ცნებას „საქართველოს ისტორია“ ვიღებ მისი ფართო გაგებით — იქნება ეს საკუთრივ ძველ ქართველ ტომთა ისტორია, მათი მიმართება მეზობელ ტომებთან, თუ მათი როლი საერთაშორისო ურთიერთობების მასშტაბით.

ცნობები, რომლებიც იოსებ ფლავიუსის შემოქმედებიდან ამოვკრიფე, შეიძლება შემდეგი ძირითადი ჯგუფების სახით წარმოვადგინოთ:

1. საკუთრივ ქართველი ტომებისა და საქართველოს გეოგრაფიის შესახებ ცნობები.

იოსებ ფლავიუსი, როგორც მოსალოდნელიც არის, იცნობს შავ ზღვას. ამის საილუსტრაციოდ არ მოვიყვან ყველა მაგალითს, შევჩერდები მხოლოდ ორზე: **„იუდეველთა სიძველეთა IX წიგნში ნათქვამია: „გადმოცემის მიხედვით, იონამ, რომელიც ვეშაპმა გადაყლაპა, სამი დღე და ამდენივე ღამე დაჰყო ვეშაპის მუცელში და შემდეგ ცოცხალი და უვნებელი ამოგდებულ იქნა ევქსინის პონტოს ნაპირზე“.**

ე.წ. იოანე პეტრინის თარგმანში ვკითხულობთ: „ხოლო ამის თვის სიტყუაი არს ვეშაპისა მიერ შთანთქმანი სამთა დღეთა და ესოდენთავე ღამეთა, და ევქსინოის პონტოდმი განდუღებანი ცოცხალისაი და არცა ერთსა სხეულისგან ვნებულისაი“...

ეს ადგილი იონას წინასწარმეტყველების II წიგნის 1 და 11 პარაგრაფების გადმოცემაა: **1 „უბრძანა უფალმა ვეშაპს. გადაეყლაპა იონა და დაჰყო იონამ ვეშაპის მუცელში სამი დღე და სამი ღამე...“**

11, „უთხრა უფალმა ვეშაპს და მან ამოანთხია იონა ხმელეთზე“. როგორც ვხედავთ, დაზუსტება — „ევქსინის პონტო“ იოსებისეულია: იონა უფალმა გაამწესა ნინევიასი საქადაგებლად. იონას ეს არ მოუწედა და გემით იაფოდან (იგივე იოპი

— ნიშნავს ნავსადგურს) გაიქცა თარსისში. ზღვის ღელვისა, ზღვაში გადაგდებისა და ვეშაპის მუცელში ჯდომის შემდეგ იონა აღმოჩნდება ნაპირზე და აქედან ღვთის სურვილს დაყოლილი ფეხით წავა ნინევიასი. საინტერესოა, თუ რატომ დააზუსტა იოსებ ფლავიუსმა ბიბლიაში ზოგადად ნათქვამი „ნაპირი“, „ხმელეთი“, ექსინის პონტოს ნაპირად.

ბერძნული ტექსტის გადმოცემაში ამ ადგილის მიმართ ასეთი კომენტარი: „იოსებს, როგორც ჩანს, მიაჩნია, რომ შავი (ევქსინის) ზღვა უახლოესი ზღვაა ნინევიასთან“. მე ვფიქრობ, რომ ნინევიიდან შავ ზღვაზე არა ნაკლებ ახლოსაა ხმელთაშუა ზღვა, კერძოდ იაფოდან გასული გემიდან ზღვაში გადაგდებული იონა, მაგ., უგარიტში შეიძლება გადმოიყუთიყო თუ კი მაინცდამაინც ღმერთი იმაზე ზრუნავდა, რომ მის უნებურად მოქმედ იონასთვის გზა გაეადვილებინა და ფეხით სავალი მანძილი შეემოკლებინა. მე მგონია, რომ ისევე, როგორც დღესაც ფიქრობენ (შეიძლება ისევე იოსების კვალდაკვალ), თარსისი შავი ზღვის ნაპირზეა, იოსების დროსაც არსებობდა ამისი მსგავსი ტრადიცია და იმიტომაც დაზუსტებული „იუდეველთა სიძველეებში“ „ზღვის ნაპირი“ „შავი ზღვის ნაპირად“ (სხვა შემთხვევაში ძნელი წარმოსადგენია, იზრავლისა და ხმელთაშუა ზღვის აუზის გეოგრაფია იოსებ ფლავიუსისთვის ნაკლებ ყოფილიყო ცნობილი, ვიდრე ევქსინის პონტო).

იმავე „იუდეველთა სიძველეებში“



თინათინ ყაუხჩიშვილი

ვკითხულობთ: „იოსაფატოსმა მას მერე (იგულისხმება ამანიტელებზე გამარჯვება — თ.ყ.) ბრწყინვალე სახელი დაიმსახურა თავისი სამართლიანობით და ღმერთის მიმართ სასოებით. ის იყო მეგობარი არქაბეს შვილის, რომელიც ისრაელელებზე მეფობდა. იოსაფატოსი შეუამხანაგდა მას ხომალდების მშენებლობაში — იმისათვის, რომ მათ პონტოზე ეცურათ და თრაკიის „ემპორიონებში“ მისულიყვნენ, მაგრამ ამ საქმეში შეცდა, რადგან ხომალდები თავისი სიდიდის გამო დაილუპნენ. ამიტომ იყო, რომ მან ხელი აიღო ზღვაოსნობაზე“.

ძველ ქართულ თარგმანში შესაბამისი ადგილი ასეა: **„და იოსაფატის ვიდრემდე მიერიტგან ბრწყინვალისა თანადებისა მოქცეობდა სიმართლისა ძალით და ღმერთისა მიმართ კეთილმსახურებისა, ხოლო იყო მოყუარე ახავოის ყრმისა — ცა მეფისა ისრაილიტათისა, რომლისა ცა თანამზიარებელ შემზადებლისათვის ნივთთა ნავთათისა ზღუასა შინა მავალთა და თრაკისა მიერთა სავაჭროთათისა არ მიემთხვა მოგებულსა, რამეთუ სიდიდისა მიერ წარწყმედეს ვარცლნი და**



არლა მერმეცა ამისთვის მოურნე იყო ნავისა..."

„იუდეველთა სიძველეებში“ არის ერთი ცნობა, რომლის შესახებაც არსებობს მოსაზრებაც, რომ ის კოლხიდის მდინარეს, ფასისს ეხება. მიუხედავად იმისა, რომ ეს აზრი საეჭვოდ მიმაჩნია, მაინც მომყავს ცნობა (თუნდაც იმიტომ, რომ სხვას გაუჩნდა ასეთი შეხედულება).

სამოთხის აღწერისას იოსებ ფლავიუსი წერს: „ეს ბალი ირწყვის ერთი მდინარით, რომელიც მთელი დედამინის ირგვლივ მიედინება. იგი ოთხ ტოტად იყოფა: ფისონი (ეს სიტყვა აღნიშნავს „სიმრავლეს“) მიემართება ინდოეთისკენ და ერთვის ზღვას. მას ელინები განგესს უწოდებენ. ეფრატი და ტიგრიისი მენამული ზღვისკენ მიედინებიან. ეფრატეს ეწოდება ფორასი (რაც ნიშნავს ან „მიმოფანტულს“, ან „ყვავილს“), ხოლო ტიგრიისს — დიგლათა... (რაც ნიშნავს „მახვილს“). გეონი ეგვიპტეზე მიედინება... და მას ელინები ნილოსს უწოდებენ“.

ძველ ქართულ თარგმანში ეს ადგილი ასეა გადმოცემული: „ხოლო ირწყვების მტილი ესე ერთისა მდინარისა მიერ გარემომდინარისა ყოელსა ქუეყანასა მომრგულებით, რომელი ოთხთა კერძოთა მიმართ განიპოვვის, და ფისონ ვიდრემდე მოასწაველს თანა სიმრავლესა სახელი. ჰინდოეთად მიმავალი შევალს ჰელალონად, ელინთა მიერ ღანგისად სახელდებული. ხოლო ეფრატი და ტიგრიისი მენამული სა ზღვასა მიმართ წარედენ; ხოლო ინოდების ეფრატი ვიდრემდე ფორა; მოასწავებს უკუც მიდმო-განფენასა, გინა ყუავილსა, ხოლო ტიგრიისი, დილათ, რომლისაგან ითქუმის შეიწრებით მახვილი. ხოლო გეონ, ეგვიპტეს შინა მდინარე მოასწავებს ჩუენდა აღმოცენებასა აღმოსავლეთით, რომელსაც ნილოდ ელინნი სახელს დებენ“.

„შესაქმეთა“ წიგნის II თავში ვკითხულობთ: „ედემიდან სამოთხის მოსარწყავად გამოდიოდა მდინარე, რომელიც ოთხ ტოტად იყოფოდა: ერთის სახელია ფისონი, რომელიც მიედინება მთელი ხაილას ქვეყანაზე, იმაზე, სადაც ოქრო მოიპოვება. ამ ქვეყნის ოქრო კარგია. იქვე მოიპოვება ლალი და მომწვანო ქვა. მეორე მდინარის სახელია გეონი. ის გარს უვლის ეთიოპიის

მთელ მინას. მესამე მდინარეა ტიგრიისი... ხოლო მეოთხე მდინარე, ესაა ეფრატი“.

როგორც ვხედავთ, ცნობები „შესაქმეთა“ წიგნში და იოსების „სიძველეთა მცოდნეობაში“ ერთდაგვარია. იოსები სიტყვასიტყვით არ იმეორებს ბიბლიას. იგი ავსებს, განავრცობს ბიბლიის ცნობებს. მისი აზრით, ბიბლიის ოქროთი და ძვირფასი თვლებით მდიდარი ქვეყანა **Hawilah** იგივე ინდოეთია. ასევე — მისი შემოტანილია მეცნიერებაში ის, რომ ფისონი განგესია. თანამედროვე მეცნიერებაში ერთი შეხედულებით **Chawila** ინდოეთია, ხოლო მეორეთა აზრით — არაბეთია (ზოგის აზრით — ჩრდილოეთ არაბეთი, ზოგის აზრით — სამხრეთ არაბეთი). მეყურადღებამ ნაწყვეტზე იმიტომ შევაჩერე, რომ იოსების განმარტებით „განგესი“ — ბიბლიის „ფისონი“ ზოგი გამომცემლისა და კომენტატორის მიერ (ბრუეში, კურცი, ბუნზენი) გაიგივებულია კოლხიდის მდინარე ფასისთან. ზოგ მკვლევარს ფისონი არაბეთის მდინარე „ჰიფასისად“ მიაჩნია. ებრაულად ამ მდინარის სახელია **Poshon**; ზოგი კომენტატორის აზრით, ასეთი მდინარე და მისი ეტიმოლოგია საერთოდ დაუდგენელია. სხვები კიდეც მის სახელწოდებას აკავშირებენ ებრაულ **push**-თან, რაც ნიშნავს „წარმოშობას“.

ჩემი აზრით, ბიბლიაცა და „იუდეველთა სიძველენიც“ სრულიად გარკვეულად იმ დროს ცნობილ ოთხ უდიდეს მდინარეს გულისხმობენ. „ტიგროსი“ და „ეფრატი“ სადავო არაა (მათი სახელწოდება და ის ქვეყანა, რომელზედაც ისინი მოედინებიან, ცხადია). გეონი რომ ნილოსს შეესაბამება, თითქოს არც ეს ჩანს საეჭვოდ (ის გარს უვლის ეთიოპიის მთელ მინას). განსამარტებელი ყოფილა იოსებ ფლავიუსის დროსაც და დღესაც „ფისონი“ და ქვეყანა „ხავილა“, რომელზედაც ის მიედინება. მგონია, რომ არსცდება იოსებ ფლავიუსი, როდესაც მას მდ. განგესად მიიჩნევს. **თუმცა მდინარე ოქროთი მდიდარი ქვეყნიდან (იქვე ძვირფასი თვლები, თუ ქვანახშირია ხსენებული) შეიძლებოდა, რომ ფასისი და კოლხიდაც ყოფილიყო (მდრ. სტრაბონის ცნობა სვანეთის ოქროს შესახებ და საერთოდ ცნობები ბერძნულ-ლათინურ მწერლობაში ჩვენი წინაპრების მეტალურგის შესახებ).**

მინდა ისიც შევნიშნო, რომ ანტიკურ წყაროებში მდინარე ფასისიც იხსენიება ხოლმე სხვა უდიდეს მდინარეთა შორის. მაგ. პავსანია („ელადის აღწერილობა“,) მსოფლიოში განთქმულ მდინარეთა შორის ასახელებს: ინდოსს, ნილოსს, რაინს, ისტროსს, ეფრატესა და ფასისს.

მდ. ფასისის სახელს ვხვდებით ჯერ კიდევ ჰესიოდესთან (ძვ. წ. VIII ს.) („ქალთა კატალოგი“, ფრგმ. 83, „თეოლოგია“ 337-340 და ასევე მის მეორე სახელწოდებას „თეოგონია“). მაგრამ ამ მდინარის სახელი არგონავტების მითთან დაკავშირებით არის მოყვანილი, მდ. ფასისის შესახებ რეალურად არსებულ ნერილოებით ცნობებს სწორედ ამ მასალით ვინყვებთ, მაგრამ ამ მდინარის შესახებ კონკრეტული მასში არაფერია.

უფრო საინტერესოა მდ. ფასისის ხსენება მომდევნო ხანის ავტორებთან, რომელთათვისაც ის გარკვეული გეოგრაფიული ორიენტირია, მაშასადამე, ცნობილი და მნიშვნელოვანი ჰიდრონიმია. მაგ., ჰეროდოტე წერს: „**მეოტისის ტბიდან მდინარე ფასიდან და კოლხთა ქვეყანამდე 30 დღის სავალია მსუბუქად შეიარაღებული ქვეითისათვის**“; „**სპარსელები ცხოვრობენ აზიაში სამხრეთის ზღვამდე, რომელსაც ეწოდება მენამული. მათ ჩრდილოეთით ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელთა ზემოთ — სასპეირები, სასპეირებს ზემოთ — კოლხები, რომლებიც ესაზღვრებიან ჩრდილოეთის ზღვას, რასაც ერთვის მდინარე ფასისი. ეს ოთხი ხალხი ცხოვრობს ტერიტორიაზე, რომელიც გადაჭიმულია ზღვიდან ზღვამდე“.**

როდესაც ჰეროდოტე ლაპარაკობს მის დროს ცნობილ სამ მატერიკზე (ევროპა, აზია, აფრიკა), ასახელებს საზღვრებს ამ მატერიკთა შორის: ერთი ვარიანტით ნილოსი და კოლხიდის ფასისია საზღვარი მათ შორის, ხოლო მეორეს მიხედვით — ისევ ნილოსი და ტანაისი (რომელიც ერთვის მეოტისის ტბას) და კიმერიული ქალაქი პორთემონი.

როდესაც ჰეროდოტე მოგვითხრობს დარიოსის სკვითებზე ლაშქრობის ამბავს, გზად გვიყვება სპარსთა მეფის პონტოსთან შეჩერების შესახებაც და ამასთან დაკავშირებით პონტოს სიდიდეზეც ლაპარაკობს.



კობს: პონტოს სიგრძე 11100 სტადიონია — პონტოს სრუტეებიდან (ბოსფორიიდან) ფასისამდე, ხოლო სიგანე 3300 სტადიონია — სინდების ქვეყნიდან თემისკირამდე, რომელიც მდ. თერმოდონტზე მდებარეობს.

ქსენოფონტის „ანაბასში“ ქ. კოტიორაში (დაახლ. თანამედროვე ორდუ) გაჩერებულ მოქირავნეთა ჯარის ნაწილს უჩნდება სურვილი, რაკი ხომალდები მოუპოვებთ, გაცურდნენ ფასისისკენ და დაიპყრონ ფასისელთა ქვეყანა, სადაც აიეტესის ჩამომავალი მეფობს. ქსენოფონტის, თვითმხილველის ცნობებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ და ამ შემთხვევაში აიეტესის ჩამომავლის ხსენება მხოლოდ მითოლოგიის სფეროს არ განეკუთვნება.

სტრაბონი როდესაც ლაპარაკობს მსოფლიოს სხვადასხვა მდინარეთა ლამიანი შესართავების შესახებ, ასახელებს ისტროსს, ფასისს, თერმოდონტს, ირისს, ნილოსს, პირამოსს (გეოგრაფია, I, 3, 7); როდესაც ის ადგენს მანძილებს (და ზოგადად კი მერიდიანებს მსოფლიო მასშტაბით, ეკამათება ჰიპარქოსს და ამ საკითხში მხარს უჭერს ერატოსთენეს, სხვათაშორის ლაპარაკობს იმ მანძილზედაც, რომელიც არის კიანეებსა (ე.ი. შავი ზღვის შესასვლელთან მდებარე ორ კუნძულსა) და ფასისს შორის (9600 სტადიონი).

სტრაბონმა იცის, რომ დაახლოებით 40 მდინარე ერთვის შავ ზღვას და მათ შორის ასახელებს ყველაზე სახელგანთქმულთ: ისტროსს, ტანაისს, ბორისთენეს, ჰიპანისს, ფასისს, თერმოდონტსა და ჰალისს (აღარაფერს ვამბობ მდინარე ფასისის შესახებ იმ ცნობებზე, რომლებიც სტრაბონს მოეპოვება საკუთრივ კოლხიდის აღწერისას).

მე არ მოვიყვან მთელ მასალას, რაც მოიპოვება ანტიკურ მწერლობაში მდ. ფასისის შესახებ: გავიმეორებ მხოლოდ იმას, რომ ძველმა ბერძნულმა მწერლობამ თავისი დასაბამიდანვე იცის მდ. ფასისის არსებობა, იცის ის, რომ იგი მნიშვნელოვანი მდინარეა და ბევრ შემთხვევაში მსოფლიოში განთქმულ მდინარეთა შორისაც ასახელებს მდ. ფასისი (იგი ხომ პირდპირ ამბობს, ელინები მას განგეს უწოდებენო), მაგრამ ზოგმა უცხოელმა მკვლევარმა, ალბათ სწორედ იმიტომ, რომ ანტიკური მწერლობა მსოფლიოს მნიშვნელოვან მდინარეთა შორის ფასისსაც ასახელებს ხოლმე, შესაძლებლად მიიჩნია ის, რომ სწორედ „ფასისი“ ეგულისხმა ნილოსის, ევფრატესა და ტიგრისის გვერდით (მითუმეტეს, რომ „ფისონ-ფეისონი“ ფონეტიკურად „ფასისს“ უფრო უახლოვდება, ვიდრე სხვა რამეს; არაბეთის „ჰი-ფასისიც“ ხომ ასევე გარეგნულადაც ემსგავსება „ფისონ-ფასის“ დანეროლებს).

ქართულ თარგმანში ლამეხის შვილებს — იობელოსსა და იუბილოსს — ორივეს ეწოდება „იოვილოს“, ხოლო მესამეს — „თოველოს“. **„ხოლო თოველოს სხვსგან ქმნილთაგანმან, რომელითა ყოველთა მძლემან სამბრძოლონი შუცნიერად განაგნა, ამათგან და შუცბასა სხეულისასა მომლონებელმან ჭედაი პირველად მან მოიგონა“.**

„შესაქმეთა“ ნიგნში შესაბამის ადგილას ვკითხულობთ: ლამეხის პირველ ორ ვაჟს ეწოდებათ იობელი და იუბალი. მესამეს — თობელი; „ხოლო სელამ გაუჩინა მას თობელი, რომელიც იყო მჭედელი სპილენძისა და რკინისა, ხოლო თობელს ჰყავდა და — ნოემა“.

როგორც ვხედავთ, „შესაქმეთა“ ნიგნის ცნობების მსგავსია იოსებ ფლავიუსის ზემომოყვანილი ციტატა. განსხვავება ჩვენთვის საინტერესო სახელის გადმოცემაშია. ის ვარიანტი, რაც იოსებ ფლავიუსის ტექსტის დამდგენელთა ძირითად ტექსტში აქვთ განსხვავდება სუბტუაგინტის და ებრაული ბიბლიის Tuba-Icain-ისაგან (თუმცა, ვარიანტებში იგივე გამომცემლები „თობელსა“ და „თუბალკაინსაც“ იძლევიან).

იოსებ ფლავიუსთან დამონებული სამი ძმის სახელები — იობელოს, იუბალოს, იუბელოს — აშკარად ერთი ძირისაგან სამგვარად გახმოვანებული სახელია, ერთგვარი გადამღერებაა ერთი და იგივე სახელის (ასევეა ბიბლიაშიც ორი ძმის სახელი ვაკეთებული). იუბელოსი ბიბლიის თუბელის მაგივრად მისი ფონეტიკურად მიმსგავსებული ვარიანტია და არა რაიმე ფონეტიკური კანონზომიერების საფუძველზე წარმოქმნილი მოვლენა. რა

ფორმა ჰქონდა თავდაპირველად თვით იოსებს ნახმარი, ძნელია ამისი თქმა, მაგრამ ფაქტია, ქართველ მთარგმნელს ხელთ ჰქონია იოსებ ფლავიუსის ნაწარმოების ისეთი ხელნაწერი, სადაც „თობელ“ ფორმა იყო და არა „იუბელოსი“.

იოსებ ფლავიუსს მეორეგან გენეალოგიური შტო სხვაგვარად აქვს წარმოდგენილი (ასევე „შესაქმეთა“ ნიგნის კვალდაკვალ; როგორც ჩანს, ებრაელთათვის ცნობილი ხალხებისათვის ეთნარქოსის მიჩენის მიზნით). აქ უკვე ლამეხის შვილიშვილის, იაფეტის შთამომავლობაზეა ლაპარაკი. „შესაქმეთა“ ნიგნი ვითარებას მარტივად წარმოგვიდგენს: X, 2: **„იაფეთის ძენი: გამერი, მაგოგი, მადაი, იოვანი, ელისა, თობელი, მოსოხი, თირასი“ (და შემდეგ პარაგრაფებში ამათ შთამომავლობაზე და განსახლებაზეა ლაპარაკი). ასეთივეა ტექსტი „ნიშტთა“ ნიგნშიც (I ნიშტთა, 1,5) (სახელი „ელისა“ ზოგ გამოცემაში საერთოდ არაა).**

იოსებ ფლავიუსი ბიბლიის ამ ადგილს უფრო გავრცობილად წარმოადგენს და სახელთა მარტივი ჩამოთვლის მაგივრად, შიგვე ურთავს ტომთა განსახლების ამბავსაც: **„ნოეს შვილებს ეყოლათ ვაჟები, რომელთა პატივისცემით ხალხმა სახელები დაარქვა ტომებს, რომელთა მინაც ამათ დაიჭირეს. იაფთას, ნოეს შვილს ჰყავდა შვიდი ვაჟი, ისინი ცხოვრობდნენ ტავროსისა და ამანის მთებიდან დაწყებული და აღწევდნენ აზიაში მდინარე ტანაისამდე, ხოლო ევროპაში — გადვირამდე; აი, ეს მინა მათ ეჭირათ. მათზე უწინ ამ მინაზე არავის უცხოვრია და ტომებს მათ მიხედვით დაერქვა სახელები. ახლა რომ ელინები გალატებს უწოდებენ, უწინ მათ გომარეები ერქვათ, რადგან გომაროსი იყო ამ ადგილის დამფუძნებელი. მაგოგემ დაასახლა მხარე, რომლის მცხოვრებლებსაც მისი სახელის მიხედვით მაგოგები ეწოდათ, ხოლო ელინები მათ სკვითებს უძახიან. იაფთას შვილები იყვნენ იავანესი და მადესი. მადესისგან წარმოიშვა მადეების ტომი, რომელიც ელინთაგან მედებად იწოდებიან, ხოლო იოვანესისგან — იონია და ყველა ელინები წარმოსდგებიან. თეობელოსმა დაასახლა თეობელები, რომელთაც ამჟამად იბერები ჰქვიათ. მესხოს-**



მა დააფუძნა მესხენები, რომელთაც ახლა კაპადოკიელები ეწოდებოდათ, ხოლო მათი ძველი სახელწოდების საბუთი ასეთია: მათ ტერიტორიაზე ახლაც არის ქალაქი მანიკა, რაც ცხადყოფს მათთვის, ვისაც მიხვედრა შეუძლია, რომ ოდესღაც მთელ ტომს ასე ერქვა. თეირესმა თეირები დაარქვა ხალხს, რომელსაც მართავდა, ხოლო ელინებმა მათ თრაკიელები გადაარქვეს“.

აქვე მინდა დავსძინო, რომ „ბიბლიაში“ „თუბალი“ და „მესხი“ არაერთგზის იხსენიებიან და მეტწილად ერთ კონტექსტში, ზოგჯერ მათთან ერთად „იავანიც“ არის.

„ბიბლიაზე“ დამყარებული იოსებ ფლავიუსის „უიდევლთა სიძველეთა“ მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ბიბლიურ თეობლებს (ამ სახელის სხვადასხვა ვარიანტია) მერე, იოსების დროს იბერები ჰქვიათ, ხოლო მესხებს — კაპადოკიელები; ან თეობლები ცხოვრობდნენ იქ, სადაც მერმინდელი იბერები, ისევე, როგორც კაპადოკიელები იქ არიან, სადაც ოდინდელი მოსხოსის ჩამომავალი მესხები იყვნენ, ან სხვაგვარად — იბერები თეობლთა შთამომავლები არიან, ხოლო კაპადოკიელები — მესხებისა (ავტორი სახელთა იდენტიფიკაციას არ ახდენს, ლაპარაკია სხვადასხვა სახელწოდების ტომთა მიმართებაზე ისტორიულ ასპექტში).

რამდენად გასაზიარებელია ეს დებულება თავისთავად? თანამედროვე მეცნიერებაში სხვადასხვა აზრი არსებობს ამ საკითხზე — ბიბლიისა და იოსებ ფლავიუსის თუბალსა და მოსოხს უკავშირებენ ჰეროდოტეს ტიბარენებსა და მოსხებს, რასაც ქართველურ სამყაროში მოვყავართ; უკავშირებენ მათ ასირიული დოკუმენტების თაბალსა და მუშქს (რაც ხეთების სახელმწიფოს დაცემის შემდეგ მის ტერიტორიაზე მოსახლე ტომებს უნდა წარმოადგენდნენ).

იოსებ ფლავიუსის ჩემ მიერ მოყვანილი ადგილი (თობელ-იბერის შესახებ) გამეორებული აქვს თეიმურაზ ბატონიშვილსაც (XIX ს-ში) და იგი მას იზიარებს. თეიმურაზს ასეთი ტექსტი მოჰყავს: „სულ ძველად ქართველთა, ესე იგი ივერთა, თობელი ეწოდებისო, ვინაითგან იგინი შთამომავლობანი არიან იაფეთის ძის იობელისნი“.

ამ უკანასკნელად თ. მიქელაძე შეეხო კიდევ მესხთა საკითხს, მის წერილში მიმოხილულია ამ პრობლემის თანამედროვე ვითარება და გატარებულია ავტორის აზრიც, რომლის მიხედვითაც მუშქ-მოსხ-მესხ ტომები ერთმანეთთან და ქართულ სამყაროსთან არიან დაკავშირებული, ხოლო ისტორიულად მათი განსახლება ასეა წარმოდგენილი: მუშქ-მოსხ-მესხები, რომლებიც სამხრეთ საქართველოში ცხოვრობდნენ, ხეთების სამეფოს დანგრევის ხანს, ან მის მერე იჭრებიან ჰალისის აუზში; შემდეგ მესხური ნაკადი ჩნდება ევფრატის აუზშიც და ა.შ. ამრიგად, თ. მიქელაძის სტატიის მიხედვით ჩრდილოეთიდან (ე.ი. სამხრეთ საქართველოდან) არიან მცირე აზიაში დაახლ. ძვ. წ. XII ს-ში მოხვედრილი მუშქ-მოსხ-მესხები (და არა პირიქით, როგორც ადრე ჰქონდათ წარმოდგენილი იმით, ვინც სამხრეთ საქართველოსა და მცირე აზიის აღნიშნული ტომები იგივეობას იცავდა).

მე პირადად ამ საკითხს ვერ გადავჭრი. ერთია, რომ ენობრივად „ესხი“, მოსხი“ და „მუშქი“ ადვილად დასაკავშირებლები არიან ერთმანეთთან, კიდევაც რომ ისინი ერთ ტომს არ აღნიშნავდნენ. აქვე მინდა შევნიშნო, რომ ერთი და იმავე სახელწოდების მქონე ტომები არაა სავალდებულო, რომ ერთი და იგივენი იყვნენ. შდრ. მაგ., ესპანეთის იბერები და საქართველოს იბერები; ბერძენი აქაიები და კავკასიის აქაიები. მათი პრობლემა მხოლოდ დღეს კი არ აინტერესებს მეცნიერებას, არამედ აინტერესებდა ის უწინაც. მაგ., კავკასიის აქაიების შესახებ სტრაბონთან, რომელიც კავკასიის აქაიებს იმ ბერძენ აქაიებთან აიგივებს, რომლებიც ისონის ლაშქრობისა, თუ ტროის ომის შემდეგ არიან კავკასიაში მოსული.

ამრიგად, მესხი — მოსხი — მუშქის პრობლემა საინტერესოა, მაგრამ ჯერაც დაუდგენელი. კაპადოკიაში მცხოვრები მესხები ხომ მცირე აზიელი, ფრიგიის მეზობელი მესხები არიან (მდ. ჰალისსა და ირისს შორის მდებარე ქვეყნიდან) და არა ის მესხები, რომლებიც საქართველოს სამხრეთ მონაკვეთზე სახლობდნენ. ამჯერად სახელთა იდენტიფიკაცია ხერხდება, ხოლო თანა-

მოსახლე ტომების მიმართება, ჩემის აზრით, ვერ დადგინდა.

იოსებ ფლავიუსის მიერ ხსენებული „თეობელისა“ და „იბერის“ მიმართების გარკვევა უფრო რთულია.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ყველაზე ვრცელი და საბუთიანი ნაშრომი თუბალისა და იბერის მიმართების შესახებ არის ს. ჯანაშიას „თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი“, სადაც საკითხი ასეა გარკვეული: დადასტურებულია ბერძნული სახელწოდება აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობისათვის. ჩემის აზრით, ეს დამტკიცება არ არის გამართებული.

ამას გარდა, გვაქვს სატომო სახელი, რომლის ყველაზე პოპულარული ფორმაა ტიბარენი, მაგრამ სხვადასხვა ავტორებთან (ბერძნებთან და რომაელებთან, ჰეკატაიოს მილეტელიდან დაწყებული) მოგეპოვება მისი ასეთი დაწერილობები: ტიბარი, ტიბარანი, ტიბერენი, ტიბრანი, ტაბარანი. ამიტომ, თუმცა არაა დაცული, მაგრამ ს. ჯანაშიას შესაძლებლად მიმაჩნია, ყოფილიყო ფორმა „ტიბერანიც“ (ესეც, რა თქმა უნდა, დამტკიცება და არა ფაქტი). ს. ჯანაშიას აზრით, იბერან // ჰიბერანი და ტიბერანი (ე.ი. მის მიერ აღდგენილი სახელები) ორი პარალელური ფორმაა ერთი და იმავე ტომის სახელისა, ხოლო ეს ტომი არა თავდაპირველად, არამედ მისი მომხსენიებელი წყაროების დროს (ე.ი. ძვ. წ. VI-დან) ცხოვრობს აღმ. საქართველოში იბერების სახელით, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში — ტიბარენების სახელით, კლიკიაში (ციცერონის მოწმობით) — ტაბარანის სახელით.

როდესაც ივ. ჯავახიშვილი და ს. ჯანაშია ქართველ იბერსა და ტიბარენს უკავშირებენ მცირე აზიის თაბალს (და ქართველი მესხს მცირე აზიელ მოსოხსა და მუშქს), ისინი გამოდიან იმ კონცეფციიდან, რომ ქართველები მცირე აზიელი ხალხია (მამასადამე, მათ ეთნონიმებს შორის შეიძლება ჩატარდეს საერთო ენობრივი ანალიზიც). დღეს, როდესაც ჩვენ ვიცავთ ქართველ ტომთა ავტოხთონობას, უფრო სხვა კრიტერიუმები გვაქვს ამ (ე.ი. საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ და მცირე აზიის მოსახლე) ტომთა შორის ურთიერთობის დასადგენად.

საქართველო-რუსეთის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ურთიერთობის დასაწყისად XV საუკუნის II ნახევარი შეიძლება ჩაითვალოს. პირველი ცნობები ამ ურთიერთობების შესახებ თარიღდება 1491 წლით, როდესაც მოსკოვის დიდმა თავადმა ივანე მესამემ კახეთის მეფე ალექსანდრე I მიიღო. მოგვიანებით ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა.

საქართველო-რუსეთის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ურთიერთობის დასაწყისად XV საუკუნის II ნახევარი შეიძლება ჩაითვალოს. პირველი ცნობები ამ ურთიერთობების შესახებ თარიღდება 1491 წლით, როდესაც მოსკოვის დიდმა თავადმა ივანე მესამემ კახეთის მეფე ალექსანდრე I მიიღო. მოგვიანებით ეს ურთიერთობა კიდევ უფრო გაღრმავდა და გაფართოვდა.

1587-1589 წლებში გაფორმდა პირველი ქართულ-რუსული ხელშეკრულება, რომელსაც „ფიცის წიგნი“ („წიგნი ჯვრისმთხვევისა“) ეწოდა. ხელშეკრულება დაიდო მოსკოვის დიდ თავად თევდორე ივანეს ძესა და კახეთის მეფე ალექსანდრე პირველს შორის.

ამ ხელშეკრულებით რუსეთის მეფე კახეთის საეპისკოპოსოს თაჲს მფარველობას აღუთქვამდა და გარეუბნ მტრებისაგან დასაცემს ვალდებულებას იღებდა.

1639 წლის 23 აპრილს მეფე თეიმურაზ პირველმა „ფიცის წიგნი“ განაახლა — კახეთის მეფის ხელშეკრულება რუსეთთან. ასევე მოიქცა 1651 წელს იმერეთის მეფე ალექსანდრე III.


ქართულ-რუსული ურთიერთობების გასამყარებლად, არქიმანდრიტ პახუმის სურვილის თანახმად, ათონის ივერთა მონასტრიდან, რომელიც ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი იყო მთელ მართლმადიდებლურ სამყაროში, ერთ-მორწმუნე რუსეთში ჩააბრძანეს ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ასლი. ეს ხატი იფარავდა და იცავდა მეფე ალექსანდრე მიხეილის ძის ლაშქარს ომებში. პატრიარქმა ნიკონმა და ალექსანდრე მიხეილის ძემ ამ სასწაულმოქმედი ხატისთვის სპეციალურად ეკლესია ააშენეს. თავიდან ივერიის ღვთისმშობლის ხატი ნიკოლსკის მონასტერში დაასვენეს, რომელიც ქართველებს ეკუთვნო-

და, შემდეგ გადაიტანეს კრემლის მიძინების ტაძარში. ამჟამად ხატი „ნოვოდევიჩის“ სოფლის დარბაზში ასვენია.

ივერიის სასწაულმოქმედი ღვთისმშობლის ხატის კიდევ ერთი ასლის სათაყვანებლად, რომელიც სპარსელმა დამყრობლებმა გაიტაცეს, „კრასნოგორსკის“ მონასტერში ეკლესია ააშენეს. მოსკოვში შავი ჭირის მძვინვარების დროს ალექსი მიხეილის ძემ ხატი იქ გადაასვენა, წმიდა სამების ეკლესიაში. შემდეგში ეს ეკლესია ღვთისმშობლის ქართულ ეკლესიად იწოდებოდა (დღეს აქ სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ფილიალია განთავსებული). აქედან მოყოლებული, მეფისა და ნიკონის ბრძანებით, მოსკოვში 250 წლის განმავლობაში ამ ხატის დღეს 22 აგვისტოს აღნიშნავდნენ.

მოსკოვის ნიკოლსკის მონასტერი პირველი კულტურული და პოლიტიკური ქართველი საზოგადო მოღვაწეების ცენტრია, რომელიც შემდგომში პანთეონად გადაკეთდა. აქ დაკრძალული იყო ქართული კოლონიის უფროსი თაობის წარმომადგენლები დაწყებული ეპიფანიადან და მეფე ქაიხოსროს მეუღლის — დედოფალ ეკატერინედან, რომელთა სასაფლაოს ქვები დონის მონასტერში გადაიტანეს.

1653 წელს მოსკოვში ჩამოვიდა უფლისწული ერეკლე I (ნაზარალიხანი) დედასთან, ელენესთან ერთად, ხოლო ოთხი წლის შემდეგ მისი პაპა თეიმურაზ პირველი. ეს იყო ქართველი მეფის პირველი ვიზიტი რუსეთში. ერეკლე I მეფე ალექსანდრე მიხეილის ძის უახლოესი პიროვნება გახდა. რუსეთის მეფის მეორე ქორწინებისას ის საქორწინო



დონის მონასტარი

ცერემონიალს ხელმძღვანელობდა და „სიძის საპატიო მამა“ იყო.

1684 წელს მოსკოვში ჩამოვიდნენ მეფე არჩილის შვილები — უფლისწულები ალექსანდრე და მამუკა, ხოლო მალე თავად არჩილიც ჩამობრძანდა. პეტრე პირველმა მეფე არჩილს „ვსესვიატსკოე“, პახრა, ლისკოვო, ბელგოროდი და სხვა ადგილები უბოძა. სასახლის სამამულოდან სამი „საგლეხო“, ხოლო სამუდამო მფლობელობაში გოლიცინის სასახლე გადასცა, რომელიც არჩილმა თავის რეზიდენციად აქცია (ამჟამად აქ რუსეთის გოსდუმის შენობა დგას).

პეტრე პირველმა უფლისწულ ალექსანდრე ბაგრატიონს რუსეთის საზარბაზნო საქმის, ფსკოვისა და ნოვგოროდის არტილერიის ხელმძღვანელობა ჩააბარა, მისთვის სპეციალურად შემოიტანა სამხედრო ნოდება „გენერალ-ფელც-ჰოისმაისტერისა“, გადასცა მოსკოვის მილოსლავესკების მამული. ალექსანდრე არჩილის ძემ მონაწილეობა მიიღო ოლონეცკისა და



ურალის ქარხნების დაგეგმვაში და ახალი ტიპის იარაღის ჩამოსხმა დაინყო. **უნდა აღინიშნოს, რომ სწორედ ალექსანდრე ბატონიშვილმა დაინყო პირველად მხატვრული ნაწარმოებების თარგმნა რუსულიდან ქართულად. 1703 წელს მეფე არჩილის ინიციატივით მოსკოვში გაიხსნა პირველი ქართული სტამბა. ასევე მჭიდროდ თანამშრომლობდნენ ქართულ-რუსული ეკლესიებიც. პატრიარქი იოაკიმი და კათალიკოსი ნიკოლოზი ხშირად უგზავნიდნენ ერთმანეთს ეპისტოლეებს.**

1705 წელს მეფეს დონის მონასტერიც გადაეცა. დონის მონასტერი მნიშვნელოვანი ქართული რელიგიური და პოლიტიკური ცენტრი გახდა რუსეთში. დონის მონასტრის წინამძღვრად ქართველი არქიმანდრიტი ლავრენტი აირჩიეს. მეფემ და ლავრენტიმ დაამთავრეს დიდი სალოცავისა და ტიხვინის მონასტრის მშენებლობა, რომელსაც ზღუდე შემოავლეს მრგვალი კოშკებით და პირველხარისხოვან თავდაცვით ნაგებობად აქციეს. მოგვიანებით არჩილმა საკურთხევლის ქვეშ აკლდამა გათხარა, სადაც ალექსანდრე უფლისწული დაკრძალა.

თვით საქართველოშიც კი ძნელად მოიძებნება ისეთი ადგილი, სადაც იმდენი ცნობილი ისტორიული პიროვნება იყოს დაკრძალული, როგორც ეს დონის მონასტერშია. აქ დაახლებით 160-მდე ქართველი პატრიოტი დაკრძალული. მეფე არჩილი და მისი ოჯახი, ვახტანგ VI-ს შვილი ბაქარი, ბოლო შტო ვახტანგ VI-ს სამეფო შტოსი — გრაფი ალექსანდრე ტოლსტოი და მისი მეუღლე გრაფინია ანა ბაგრატიონ-გრუზინსკი.

მეფე არჩილის გარდაცვალების შემდეგ ქართული დიასპორის ხელმძღვანელობა მისმა ქალიშვილმა დარეჯანმა ითავა. ის იყო ვახტანგ VI-ს წარმომადგენელი რუსეთის მეფის კარზე, ე. წ. სრულუფლებიანი მინისტრი. დედოფალმა დარეჯანმა თავისი სახსრებით ვსესვიატსკოეს მინაზე ხის ეკლესიის ნაცვლად ქვის ტაძარი ააგო, რომელიც ქართველმა ოსტატებმა მოხატეს. წარწერები და ნახატები ნაწილობრივ იქნა შენარჩუნებული. ვსესვიატსკოეს მამულში კიდევ ერთი პანთეონი დააარსეს, სადაც სულხან-საბა ორბელიანის ნეშტი უნდა განისვენებ-

დეს. დარეჯანის გარდაცვალების შემდეგ ვსესვიატსკოე (ეს ტერიტორია დღეს მეტრო „სოკოლის“ ახლოსაა) მის უახლოეს ნათესავეებს გადაეცათ, მეფე ვახტანგის ძეებს — ბაქარსა და გიორგის, რომლებიც მოსკოვში მამას ჩამოჰყვნენ, მამული კი თავად ვახტანგ მეექვსეს გადაეცა 1729 წელს.

არჩილის შემდეგ ქართული წიგნის ბეჭდვის საქმე მისმა ვაჟმა ბაქარ ვახტანგის ძემ გააგრძელა. ამ ქართულ სტამბაში დიდი ხნის განმავლობაში მოღვაწეობდა დავით გურამიშვილი, ქრისტეფორე, რომელმაც დაბეჭდა რუსულ-ქართული ანბანი, ხოლო 1743 წელს უფლისწულმა ვახუშტიმ გამოსცა პირველი ქართული ბიბლია.

„ვსესვიატსკოეს“ ქართული სტამბა 1774 წლამდე არსებობდა. ვახტანგ VI მოსკოვში იმ ადგილას ცხოვრობდა, სადაც ახლა ლენინის სახელობის ბიბლიოთეკაა. „ოხოტნიჩიე რიადის“ ახლოს ბაქარის სახლი იდგა. ვახტანგ მეექვსესთან ერთად რუსეთში ჩავიდა დაახლოებით 3 000 ქართველი. მათი ნაწილი ასტრახანში დარჩა, ხოლო დანარჩენები (დაახლოებით 1200 კაცი) მოსკოვს ჩამოვიდა. აქედან 43 თავად-აზნაური იყო. ვახტანგ VI 1737 წელს ასტრახანში გარდაიცვალა. იგი დაკრძალეს მიძინების სახელობის ასტრახანის ტაძრის კრემლის კათედრალში.

მისი გარდაცვალების შემდეგ ქართულ ემიგრაციას უფლისწული ბაქარი ჩაუდგა სათავეში.

ვახტანგის ძე, უფლისწული გიორგი, რომელმაც წმიდა გიორგის სახელობის ეკლესია ააშენა, რუსეთის არმიის მეზობლი გენერალი იყო, მრავალ ბრძოლაში იღებდა მონაწილეობას, დაჯილდოებული იყო უმაღლესი ორდენებითა და გენერალ ანშეფის ჩინით, რომელიც მინიჭებული ჰქონდათ გამოჩენილ გენერლებს. 1785 წელს მან მოსკოვის უნივერსიტეტს 10 000 რუბლი გადაურიცხა. ეს იმდენივე თანხა იყო, რაც თავად მოსკოვის უნივერსიტეტის აშენებას დაჭირდა. ამას გარდა, ის იყო დედოფალ ელიზავეტას „ნამდვილი კამერერი“. 1700 წელს უფლისწული ათანასე — ვახტანგ მეექვსეს ძმა, გენერალ-პორუჩიკი კრემლის ობერკომენდანტად დანიშნეს.

ქართველი გრენადერების პოლკი ერთ-ერთი უძველესი იყო რუსულ არმიაში. ის 1700 წელს დაარსდა. მისი პოლკი მონაწილეობას იღებდა ჩრდილოეთის ომში (1799-1772 წწ.), თურქეთის ლაშქრობებში (1796 წ), რუსეთ-ირანის ომში (1726-1828), რუსეთ-თურქეთის ომში (1828-1829), (1877-1878), ყირიმის ომში (1853-1856), თავი გამოიჩინა კიურეუ-დარიულ ბრძოლებში. კავკასიის ომში სოფელ გუნიბში გრიგოლ ორბელიანის მეთაურობით შამილი



ბოლიცინის სასახლე

იქნა დატყვევებული. 1918 წელს ეს პოლკი დაშალეს.

1738 წელს მამუკა დავითაშვილის მიერ დაარსდა ქართველ ჰუსართა ლეგიონი, რომელშიც დავით გურამიშვილი მსახურობდა.

ლევ ტოლსტოის „ომი და მშვიდობა“-ში ერთ-ერთი პარტიზანული გაერთიანების მეთაური — დენის დავიდოვი მამუკა დავითაშვილის შთამომავალი იყო. 1769 წელს ეს ლეგიონი მოსკოვის ლეგიონს შეუერთდა.

1761 წელს თეიმურაზ II 72 კაცთან ერთად მოსკოვში ჩამოვიდა, ხოლო შემდეგ — პეტერბურგში, სადაც 1762 წელს მოულოდნელად საქართველოში წასვლამდე გარდაიცვალა. ის ასტრახანში ვახტანგ მეექვსეს გვერდით არის დაკრძალული.

უნდა აღინიშნოს, რომ კრემლის მთავარანგელოზის ტაძრის ეზოს-მოძღვრები ქართველები იყვნენ. ქართულ ეკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიმდინარეობდა.

მოსკოვში ქართული ტაძრები განთავსებული იყო „ბოლშაია გრუზინსკაია“ რაიონში, ვორონცოვის მოედანზე, „გრუზინსკის“ შესახვევთან. სულ ექვსი ეკლესია. მცირე თეატრის ახლოს (შემდეგში ხლიუდოვის სახლი, ახლა ცენტრალური ბანკი) განთავსებული იყო ქართველი მეფეების კარის ეკლესია. იპატვესკის შესახვევში ყოფილი ქართული სამების სახელობის ეკლესია მდებარეობდა. 1737 წელს იმერეთის მეფის სოლომონის ქვრივმა ანა პაატას ასულმა, ცნობილი მოსკოვის ხანძრის შემდეგ, კვლავ შეაკეთა ნოვინსკის მონასტერი და ოთხი ეკლესია აღადგინა. ივერიის ღვთისმშობლის ხატი ამშვენებდა საკოლნიკებში ამალღების ტაძარს, კიდევ ერთი ინახება ვორონცოვის ველზე პოკროვის ღვთისმშობლის ეკლესიაში.

ამ დროისთვის რუსეთში უკვე არსებობდა საკმაოდ მრავალრიცხოვანი კოლონია.

ქართული კოლონია თავისი ცხოვრებით ცხოვრობდა და არც თუ ისე ცოტა პრივილეგია ჰქონდა რუსეთის ხელისუფალთაგან მინიჭებული. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან აქ ქართველი ბატონიშვილები — ბაგრატიონები საკმაოდ დიდ მინის ნაკვეთებს ფლობდნენ. მოსკოვში დღესაც არსებული ორი დიდი ქუჩის — „ბოლშაია გრუზინს-



შოთა რუსთაველის ძეგლი მოსკოვში (მერაბ ბერძენიშვილი)

კაიასა“ და „მალაია გრუზინსკაია“ სახელწოდებები დაკავშირებულია ადგილთან „გრუზინი“, რომელიც ისტორიულ წყაროებში 1714 წლიდანაა მოხსენიებული. 1725 წელს სწორედ აქ გადმოსახლდნენ ქართველი მეფე ვახტანგ ლევანის ძე და მისი შვილები ამალით. მათ საცხოვრებლად გამოუყვეს სოფელ ვოსკრესენსკოეს ტერიტორია.

თანამედროვე რუსეთში აჯანყების მოედანზე მაღალი შენობიდან მოჩანს „კრასნაია პრესნიას“ ქუჩა, რომლის ბოლოს მიწაყრილია, მას „გრუზინსკი ვალს“ უწოდებენ. ცოტათი მარჯვნივ ზოპარკის მწვანე ტერიტორიაა, რომელსაც ჰყოფს „ბოლშაია გრუზინსკაია“, კიდევ უფრო მარჯვნივ — პლანეტარიუმის გუმბათი და სასტუმრო „პეკი-

ნი“. მთელი ეს რაიონი „ქართულ სამოსახლოს“ წარმოადგენს („გრუზინსკაია სლობოდა“), რომელსაც, უბრალოდ, „გრუზინები“ ერქვა და ქართული კულტურის მძლავრ კერას წარმოადგენდა. მოსკოვში დღესაც დგას ხის სახლი, რომელშიც 1981 წელს გაიხსნა მუზეუმი, სადაც თავმოყრილი იყო XVII-XVIII საუკუნეებში მოსკოვში ქართველთა დასახლების ამსახველი სხვადასხვა დოკუმენტების, ფოტოებისა და საინტერესო მასალების მრავალფეროვანი კოლექცია, ამჟამად ამ სახლში არაგინაა, ჭიშკარს დიდი ბოქლომი ადევს.

ქართული დასახლების ცენტრში მდებარეობდა დიდმონამე გიორგის ეკლესია. ის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის ადგილას აშენდა, რომელიც ააგო რუსეთის მეფემ — ალექსი მიხეილის ძემ და რომელიც XVIII საუკუნის შუა წლებში ხანძრის შედეგად დაინვა. მოსკოვის არქიეპისკოპოს პლატონს ამ ადგილას ეკლესიის აშენების თხოვნით მიმართა ვახტანგ VI-ს ვაჟმა, უფლისწულმა გიორგიმ. 1749 წელს ნებართვა მიიღო და, როგორც ჩანს, მისი სახსრებით აშენდა ხის ეკლესია. იგი აკურთხა არქიეპისკოპოსმა იოსებ სამებელმა (ი. ქობულაშვილმა).

ღვთისმსახურება ეკლესიაში ქართულად სწარმოებდა. 1779 წელს ამ ეკლესიასაც ცეცხლი გაუჩნდა, ყველაფერი დაინვა, გადარჩა მხოლოდ საეკლესიო შესამოსელისა და ჭურჭლის საცავი. ამის შემდეგ დაიწყო ქვის შენობის მშენებლობა, რომელიც აკურთხეს 1800 წელს. მთელი XIX საუკუნის განმავლობაში მიმდინარეობდა მისი კეთილმოწყობა და გაფართოება. მოსკოვში დღესაც მოქმედებს „სანდუნოვსკიე ბანი“, რომელიც ქართველი ზანდუკელის მიერ არის აშენებული. დიდი რუსი ფერმწერის რუბლიოვის მუზეუმი დავით არსენიშვილის დიდი ძალისხმევით დაარსდა.

სხვადასხვაგვარად წარიმართა საქართველოს მონყვეტილი ქართველი პატრიოტების ბედ-იღბალი. მათგან, ვინც 1825-1845 წლებში ჩამოვიდა, ერთი ნაწილი უკრაინაში დასახლდა, სხვები — ასტრახანში, ორენბურგში, ყაზანისა და ვორონეჟის მახლობლად. ყიზლარსა და მოზდოკში წარმოიქმნა დიდი ქარ-



თული კოლონია. 1812 წელს ყიზ-ლარში დაიბადა 12 ქართველ გენერალს შორის ყველაზე ცნობილი, სამამულო ომის გმირი, რუსული არმიის ინფანტერიის გენერალი პეტრე ბაგრატიონი.

კიდევ ერთი სამეფო გვარის ისტორია დაკავშირებულია ნიჟნისა და ლისკოვოსთან. ლისკოვო, რომელიც პეტრე პირველმა მეფე არჩილს უბოძა, შემდგომში გადავიდა ალექსანდრე ბაქარის ძის მფლობელობაში, იმპერატორ ელიზაბეტას ფავორიტის — გიორგი ბაგრატიონ-გრუზინსკის საკუთრებაში. მან განაახლა სასახლე, ახალი საზაფხულო რეზიდენცია ააშენა, განფინა შესანიშნავი ბაღი უიშვიათესი ხეებითა და ყვავილებით (ამჟამინდელი ვერცხლის საუფლისწულო პარკი). ის მაკაროვოში მადის ფაბრიკას ფლობდა, ნაგანოვოში ცხენოსნობას მისდევდა, ხოლო ლისკოვოში — მეღვინეობას. ამაღლების ტაძარი ააშენა, სკოლა, რომელიც დღესაც ფუნქციონირებს. 1775 წელს გიორგი გრუზინსკი სახალხო ლაშქარს მეთაურობდა ნიჟნი ნოვგოროდში. 21 წლის განმავლობაში გუბერნიის თავადაზნაურობის მეთაურია, 1801 წელს ალექსანდრე პირველის კორონაციის დროს ნიჟგოროდის დეპუტატი იყო.

საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს ვახტანგ მეექვსეს შვილთაშვილმა იმპერატორს უძღვნა ქართული სახელმწიფოებრივი რელიკვია — წმიდა ნინოს ვაზის ჯვარი, შეკრული მისი თმებით. ალექსანდრე პირველმა ეს ჯვარი ქართულ ეკლესიას დაუბრუნა.




ნიკოლსკის მონასტარი. ამ დასახლენს თავდაპირველად ათონის ივერთა მონასტრიდან რუსეთში ჩამოგვრანებული ივერიის ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატის ასლი

1852 წლის 15 მაისს ლისკოვოში გარდაიცვალა ვახტანგ მეექვსეს უკანასკნელი შთამომავალი გიორგი გრუზინსკი. ის ლისკოვოს ცენტრში დაკრძალეს, ფერისცვალების ეკლესიაში, სადაც მისი დედა, ცოლი, ვაჟი და და განისვენებდა. უფლისწულ გიორგის გარდაცვალების შემდეგ მისი მამული შთამომავლობით მის ქალიშვილს — ანას, გენერალ-მაიორის, ობერ-პროკურორის და, რაც მთავარია, ვახტანგ მეექვსეს შვილიშვილის — გრაფ ალექსანდრე პეტრეს ძე ტოლსტოის ცოლს ერგო. მის ლიტერატურულ სალონში იკრიბებოდნენ პუშკინი, ლერმონტოვი, კარამზინი, ტურგენევი და სხვ. ერთ-ერთ მის სახლში

მოსკოვში, ნიკიტინსკის ბულვარში (ამჟამად სუვოროვის ბულვარი) ცხოვრობდა და უკანასკნელი წლები გაატარა ნიკოლოზ გოგოლმა.

გრაფინია ტოლსტოიმ 100 000 რუბლის ღირებულების სადოვოკუდრინსკზე მდებარე სახლი მოხუცებულთა თავმესაფარს, ძვირფასი ხატი და ძვირფასი თვლები წმიდა სამების ეკლესიასთან არსებულ თავმესაფარს უანდერძა, ქართველი წმინდანების ნემსები, ანდერძის თანახმად, ერთ-ერთ დედათა მონასტერს უნდა გადასცემოდა. ანა გიორგის ასული დონის მონასტერში მეუღლესთან იქნა დამარხული.

ნიჟგოროდისა და ლისკოვოს მუზეუმებში აღმოაჩინეს ზეთის საღებავებით შესრულებული ვახტანგ მეექვსეს ერთადერთი პორტრეტი, ასევე ალექსანდრე ბაქარის ძისა და კათალიკოს ანტონ პირველის პორტრეტები, რომელმაც ოთხი წელი დაჰყო ლისკოვოში, სპილენძის გერბი ქართველი მეფეებისა, თეიმურაზ მეორეს გრავიურა. აქვე მიაგნეს უძველეს ხელნაწერებს: „მარხვანს“, XV საუკუნის სამკურნალო წიგნს ვახტანგ მეექვსის შენიშვნებით, XII საუკუნის სახარებას, რომელიც ვახტანგ მეექვსემ შეადგინა, ქართველ მეფეთა გენეალოგიას, ქართველ მეფეთა მოკლე ბიოგრაფიებსა და სხვ. ნაწილი ამ ექსპონატებისა საქარ-



ქართველთა დასახლება „გრუზინი“, ხედი

თველოს მუზეუმში ინახება.

1783 წლის 24 ივლისს ჩრდილოეთ კავკასიის რუსულ სიმაგრეში — გეორგიევსკში ქართლ-კახეთის მეფემ ერეკლე მეორემ და რუსეთის დედოფალმა ეკატერინე მეორემ დადეს ხელშეკრულება (ტრაქტატი). საქართველოს მხრიდან ტრაქტატს ხელი მოაწერეს იოანე მუხრან-ბატონმა და გარსევან ჭავჭავაძემ, ხოლო რუსეთის მხრიდან გენერალ-პორუჩიკმა პავლე პოტიონკინმა. ამ ტრაქტატით ქართლ-კახეთის სამეფო შედიოდა რუსეთის იმპერიის მფარველობის ქვეშ. მოლაპარაკებებში დიდი როლი ითამაშა არქიმანდრიტმა გაიოზმა, რომელიც უფლისწული ლევანის დროიდან და ანტონ კათოლიკოსის მოსკოვში საელჩო მოღვაწეობიდან მოყოლებული რუსულ მართლმადიდებლურ სამყაროში „გაის“ სახელით იყო ცნობილი. შემდეგ მსახურობდა მოზდოკში, პენზაში, სარატოვში, ასტრახანში და კრემენჩუგში. იყო ასტრახანისა და კავკასიის არქიეპისკოპოსი, ხელმძღვანელობდა ოსეთში ქრისტიანობის აღდგენის კომისიას, გამოსცა პირველი ოსური წიგნი და ოსური ანბანი პეტერბურგში. ის 1821 წელს გარდაიცვალა. დაკრძალულია ასტრახანში ვახტანგ მეექვსისა და თეიმურაზ მეორის გვერდით.

გარსევან ჭავჭავაძის საელჩოში მისი ვაჟები — მირიანი და ანტონი შედიოდნენ. მირიან რუსეთის იმპერიის სამსახურში ჩადგა, ხოლო ანტონი არქიეპისკოპოსად „ცარსკოე სელოს“ მონასტერში. მას მინიჭე-



დიდმოწამე გიორგის ეკლესია თავდაპირველად ხის იყო, 1779 წელს, ხანძრის შემდეგ, ააგეს ქვის შენობა

ბული ჰქონდა ალექსანდრე ნეველის, ანდრია პირველწოდებულის ორდენები და რუსეთის სინოდის ნევრიც იყო. საქართველოს უკანასკნელი პატრიარქი, რომელსაც ეკლესიის ავტოკეფალია ჩამოართვეს, 1828 წელს ნიჟნი ნოვგოროდში აღესრულა. დაკრძალულია ნოვოპრეობრაჟენსკის ტაძარში. გიორგი XII-მ 1799 წელს ტრაქტატი განაახლა, ხოლო მეფის გარდაცვალების შემდეგ 1801 წლის 18 იანვარს რუსეთის იმპერატორმა პავლე პირველმა ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმებისა და მისი რუსეთთან შეერთების შესახებ მანიფესტი გამოსცა, რომელიც საბოლოოდ გაფორმდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის გამოცემული 1801 წლის

12 სექტემბრის მანიფესტით. ამის შემდეგ 1864 წლის ჩათვლით რუსეთმა საქართველოს სხვა სამეფოები შემოიერთა. ამით რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს ანექსია დასრულდა.

1917 წლის 25 თებერვალს (12 მარტს) რუსეთში მოხდა ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია და 27 თებერვალს მეფის ხელისუფლება დაემხო. 1918 წლის 26 მაისს საქართველომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. 1921 წლის 25 თებერვალს მეთერთმეტე წითელმა არმიამ სერგო ორჯონიკიძის მეთაურობით საქართველოს ოკუპაცია მოახდინა.

1922 წელს საბჭოების პირველმა ყრილობამ მიიღო დეკლარაცია და ხელშეკრულება საბჭოთა კავშირის სოციალისტური რესპუბლიკების დაარსების შესახებ, რომელშიც საქართველოც იქნა ჩართული.

მეორე მსოფლიო ომში ფაშიზმზე გამარჯვების საქმეში ქართველმა ხალხმა დიდი წვლილი შეიტანა. 3 500 000 მოქალაქიდან არმიამ მსახურობდა 700 000, რომელთაგან 300 000 დაიღუპა.

სსრკ-ის დაშლის შემდეგ საქართველომ ერთ-ერთმა პირველმა გამოაცხადა თავისი დამოუკიდებლობის შესახებ.

საქართველოს დიასპორის წარმომადგენლებმა რუსეთის ისტორიაში, კულტურასა და ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობებში უზარმაზარი წვლილი შეიტანეს.

დარეჯან ანდრიაკე




ქართველთა დასახლება „გრუზინი“, ხაღი



ელგუჯა მალრაძე:

«მოსკოვ-ქალაქს გზის ველოდით»...

ამაოდ არ ანდო ბედი დაღესტანში გზააბნეულმა გურამიშვილმა ჩრდილოეთის ვარსკვლავს. პირველი გაქცევის მერე გული ერთთავად რუსეთისაკენ მიუწევდა. იქ ეგულებოდა ქართველთა მეფე ვახტანგ მეექვსე. იქ რუსთა იმედით ელოდნენ ქართველები სანუკვარ სამშობლოში დაბრუნების სანეტარო წამებს, გარნა საქართველოს ცას ისევ ისპაჰანიდან მოეძალნენ შავი ღრუბლები. ისე მოიქუფრა ზეცა და პირქუშ ცაზე მოსალოდნელი ქარიშხლის ავი ნიშნები აღმოჩნდა.



დავით გურამიშვილი

დავითი მტკიცედ დაადგა უფალსა და ხნარცვიან გზას მოსკოვისაკენ. იგი სოლალის, ასტრახანისა და ცარი-ცინის გავლით მშვიდობით ჩააღწევს კიდეც მოსკოვს 1729 წელს.

ასტრახანიდან მოსკოვამდე გაჭი-მული გზა არც დღეს არის მოკლე და იოლი, თორემ იმ დროს, როცა რესო-რიანი ეტლები არ იყო და თვითონ გზებიც მოუკირწყლავი გახლდათ, ბუნებრივია, მგზავრობა ტანჯვა-წა-მებად იყო ქცეული და მის გადალახ-ვას დიდი ჯანი, მოთმინება და გამძ-ლეობა სჭიროდა. ამ გზის დაძლევა მით უფრო გაუძნელდებოდა უქო-ნელ ლტოლვილს, რომელიც ტყვეო-ბას ძლივს გადაურჩა და ლეკთა დი-ლეგიდან შემოგლეჯილი პერანგისა და გაუტეხავი სულის მეტი არა გაჰ-ყოლია რა.

მოსკოვი იმ დროისათვის ქართვე-ლებით „დასახლებული“ ქალაქი იყო და დავითს იქ მრავალი მამულიშვი-ლი ელოდა. პირველი სამოსახლო მოსკოვს იმერეთისა და კახეთის მე-ფემ არჩილმა დააფუძნა. ამ ნიჭიერ-მა პოეტმა და დაუღალავმა მოღვა-წემ მშვენივრად იცოდა რუსული, სპარსული, თურქული და ბერძნული ენები. მანვე გამართა პირველი ქარ-თული სტამბა მოსკოვში 1703 წელს. დავითი კი მაშინ დაბადებულიც არ იყო. არჩილი მოსკოვს 1685 წელს ჩა-ვიდა. მას თან ახლდა თავისი ვაჟი, თორმეტი წლის ალექსანდრე, რუსე-თის მომავალი იმპერატორის პეტ-რეს კბილა, მეგობარი და თანამებრ-ძოლი. ეს ის ალექსანდრე ბაგრატი-ონია, რომელიც რუსეთის დიდმა გარდამქმნელმა პეტრემ სამხედრო ხელოვნების დასაუფლებლად ჰააგა-ში გააგზავნა, მერე სწავლაგასრუ-

ლებულს, გენერალფელდცემხაის-ტერობა უბოძა და რომლის სახელ-თანაც დაკავშირებულია რუსეთის არტილერიის დაარსება. ალექსანდ-რე ბაგრატიონი შვედებთან ბრძოლის დროს ტყვედ ჩავარდა, ათი წელი იტანჯა საპყრობილეში, არა და არ მოხერხდა მისი სხვა ტყვეებზე გაცე-ლა, რადგან შვედების უფალმა — კარლოსმა იცოდა ტყვის ფასი. მხო-ლოდ ამ ერთ კაცში პეტრეს რამდე-ნიმე გენერლის განთავისუფლება და ათი კასრი ოქრო მოსთხოვა. ბავშვო-ბის მეგობრისა და თანამებრძოლის გულისათვის პეტრე შვედთა ტყვე გე-ნერლებს კი შეელია, მაგრამ იმდენი ოქრო ველარსად იშოვა და სტოკ-ჰოლმის საპყრობილის დილეგში დას-ნეულეული ალექსანდრე ბაგრატი-ონი პიტერში აღესრულა. მისი ნეშტი, როგორც იყო, პატივით ჩამოასვენეს მოსკოვს და დონის მონასტერში, სა-დაც პეტრე დიდმა ქართველებს ძვალთშესალაგი უბოძა, დაკრძალეს.

პეტრე პირველი დიდ პატივს სცემ-და არჩილ მეფეს. მის ოჯახს არჩილის გარდაცვალების შემდეგაც არ მოჰკ-ლებია მისი მაღალი ყურადღება. ტა-ნად ახოვანი, პირმშვენიერი, მეფე-რეფორმატორი დიდად აფასებდა მისდამი ერთგულების სულისკვეთე-ბით გამსჭვალული ქართველების ნიჭსა და სიმამაცეს. და მაინც განსა-კუთრებული პატივით ექცეოდა და-ძმას — ალექსანდრესა და დარეჯანს. ისტორიკოსებს დღემდე ვერ ამოუხ-სნათ საიდუმლო, პოლტავის ბრძო-ლიდან მოსკოვს დაბრუნებულმა მე-ფემ გამარჯვების ლხინი დარეჯანის სასახლეში რად გამართა?

ასეთი მეგობრობა იყო მყარი ნია-დაგი, რომელზედაც აღიმართა ქარ-

თველთა და რუსთა დიდი მეგობრო-ბის ზღუდე. სამწუხაროდ, დავით გუ-რამიშვილის მოსკოვს ჩასვლის დრო-ისათვის უკვე ნაქცეულია ამ ზღუდის უმთავრესი სვეტი - პეტრე პირველი. ხოლო მის უხერხემლო მემკიდრეებს დიდი მბრძანებლის განზრახვათა და ჩანაფიქრთა განხორციელებისათვის ძალა და გონი აღარ შესწევთ. დიდი ხელმწიფის შორსმჭვრეტელურ მიზ-ნებს მისი მემკვიდრენი თვითონ უქ-ცევია თოჯინებად და ისინიც შეგუე-ბულნი იმ აზრს, რომ დიდთა საქმე-თათვის არ დაჰბადა სანუთრომ, ქედ-მალღურად, მაგრამ მარტივად, თით-ქოს სცენაზე ასრულებენ დიდი რუ-სეთის, „შვიდთა იყლიმთა მკყრობე-ლი“ იმპერატორების ურთულეს როლს. გაიძვერა კარისკაცთა და ფა-ვორიტთა ხელში პეტრეს მომდევნო დიდმკყრობელნი თვითონ აქცია ბე-დის განჩინებამ სათამაშო თოჯინე-ბად. პარიკებით მორთულ-მოკაზ-მულნი, გაპუბრულნი, სუნამო უხვად ნაფრქვევნი ისხდნენ ისინი უდიდეს ტახტზე, იძლეოდნენ განკარგულე-ბებს და ქვეყნის წამდვილი გასაჭი-რის, მისი მომავლისა, აწმყოსი, წარ-სულისა და რაც მთავარია, რუსი ხალ-ხის ინტერესებისა არაფერი ესმოდათ და გაეგებოდათ.

ვახტანგ მეფემ ლტოლვილი მამაშ-ვილურად მიიღო, ცრემლი შეაშრო, შვება მოჰგვარა, ანუგეშა, თავის ამა-ლაში მიუჩინა ადგილი. სამკვიდრო-მოკლებულმა მეფემ ბოგანოსა და იდუმალ ლტოლვილს არც სხვა წყა-ლობა დააკლო. ეტყობა, იმთავითვე პატივით მიუღია და მოსწონებია, რომ აზჯარათსაცავის მზირობა დაუ-ვალეობა: „მითხრეს სჭვრეტდე ჯაბა-ხანასაო“, გვაუწყებს მოხუცებაში



წელთა სიმრავლით დამძიმებული პოეტი. ასე და ამრიგად, აღმოჩნდა დავითის ხელში სანუკვარი იარაღი, რაც ჰაერით სჭიროდა დაღესტანში. აქ კი აბა რას აქნევს ნომინალურ ქართველ მეფეთა იარაღს ერთგული ჯაბადარბაში!

ფხა და მარიფათი კი მაშინვე გამოუჩინია საქმეში. ტულაში გამგზავრებული იარაღის შესაძენად, აბჯარი განუმრავლებია, მაგრამ ვაგლახ, რომ ამ იარაღის სამშობლოსათვის გამოყენება მისი ბედის კარაბადინში არ ეწერა.

რალა თქმა უნდა, მოსკოვს მყოფ ერთ მუჭა ქართველებს დიდი ვერაფერი არსენალი ექნებოდათ, მაგრამ არც ისე უმნიშვნელო უნდა ყოფილიყო მათი იარაღის სანყოფი. რაც არ უნდა იყოს, იმ დროისათვის ხუთი ათასი მოლაშქრის თოფ-იარაღი და ისიც დარჩეული ხარისხისა, სახუმარო საქმე არაა! ეს იარაღი მერე ბრწყინვალედ ჩააბარებს გამოცდას პრუსიასთან ომში და ერთხელ კიდევ უჩვენებს ქვეყანას ქართველთა გულოვნებას, ხმლის ფხიანობასა და შემართებას.

ნივთიერად რა უნდა მიეცა ჩვენი პოეტისათვის ჯაბადარ-ბაშობას? წელიწადში ორმოცი მანეთი დაუნესებიათ მისთვის, ორასი ფუთი ხორბალი და ერთი საყენი შეშა. ასეთი ყოფილა ჯაბადარ-ბაშის გასამრჯელო. ხელმოკლედ მყოფ დავითს თურმე უფროსი ძმა ქრისტეფორე გურამიშვილი ეხმარებოდა. რა განძსა და სალაროს იშოვიდა სამკვიდრონართმეული მეფის კარზე მყოფი, თუნდაც ისეთი პოეტი, როგორც დავით გურამიშვილი იყო იმ დროში? ნივთიერად, რალა თქმა უნდა ვერაფერს! მხოლოდ ნუთიერ სიამოვნებას თუ იგემებდა პაექრობაში გამარჯვებულნი. სახელსა და დაფნას თუ მოიპოვებდა მცირერიცხოვან თანამემამულეთა შორის. სახელს, რომელიც მის თანამედროვეთა ამქვეყნიდან გასვლასთან ერთად განქარდებოდა, რომ სასწაულებრივად გადარჩენილ „დავითიანს“ ჩვენს დრომდე არ მოეღწია. დაფნას, რომელიც სულ მალე ჭკნება.

განდიდება მეფისა, მისი სიბრძნისა და ბატონიშვილთა ქება-დიდება, მათი გონიერების, შემართების, ზნისა და სიუხვის ხობტა, საუკეთესო სურვილები, მომავლის იმედით ცქერა და სამშობლოს ურჩხულთაგან დახსნის ოცნება ჯერ კიდევ არ იყო დიდი პოეზიის სარბიელი და, რაკი იმ დროს ჰო-

ნორარიც არ არსებობდა, კარის ახალგაზრდა მგოსანს მხოლოდ პოეტური ვარჯიშით მიღებული კმაყოფილება რჩებოდა. ასე იწერებოდა „მცირე ლექსი“, „სანადიმოდ და სამღერელად“ გამიზნული, ეს იყო პირველყოფლისა დრო-ჟამის ხარკი. მერე ახალგაზრდობაში რომელ პოეტს არ უთქვამს „სალალობოდ და ამხანაგთ სათრეველად“ ლექსი. მუხთალმა სანუთრომ არ შემოგვინახა პოეტის იმდროინდელი ჩანაწერები. ისინი ჯერ კიდევ პოეტის სიცოცხლეშივე, უკრაინაში, მისი სახლ-კარის დაწვისას განადგურებულია. ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგულია იმ წლებში დავითის მადლიანი კალმით შექმნილი მნიშვნელოვანი ქმნილებები.

მაგრამ, რაც მთავარი და მთავარია, გურამიშვილი თავისუფალია! სხვათა ტყვე აღარაა. ნება ეძლევა ხელთკალამი აიღოს, წეროს, გაერთოს, სულითა და გულით გაიხაროს მოსკოვის მალალ საზოგადოებაში. მის წინაშეა ორი ერის რჩეული არისტოკრატია, მომხიბლავი ასულნი, დიდება... მაგრამ ჩრდილოეთის ქვეყანას სამადლოდ შეკედლებული, მამულიშვილი პოეტისათვის მძიმეა „სხვის კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლა“, ძნელი ასატანია სამშობლოს სიმორე და დანაღვლიანებული მგოსნის დაკოდილი გული და ქნარი უდარდელად ვერასოდეს იძგერებს და იჟღერს.

პოლიტიკური ლტოლვილი ვახტანგ მეექვსე ჯერ კიდევ ესაჭიროებოდა რუსეთის სამეფო კარს სპარსეთთან აწენილ-დანენილ საქმეთა მოსაკვარახჭინებლად და დიპლომატიური პაექრობის ჟამს. სწორედ ამიტომ ჰყავდათ იგი დიდ პატივში და მისი ამაღლის წევრებიც, კარისკაცთა ენით რომ ვთქვათ, უზრუნველ ცხოვრებას ეწეოდნენ.

პოეტის ძმის ქრისტეფორეს და მის თანამდგომთა კრლევა-ძიებას უკვალოდ არ ჩაუვლია. თუ დაუცხრომელი ისტორიკოსი და დიდი გეოგრაფი ვახუშტი ბაგრატიონი, ლათინური ენის დიდი მცოდნე ივანე ბაგრატიონი, ვახუშტის ძმა არტილერისტი პაატა ბაგრატიონი, ფილოსოფოსი და მთარგმნელი ლევან ბაქრაძე, უებრო მათემატიკოსი დიმიტრი ციციშვილი და სხვები ფუტკრებივით დაუღალავად იღვწოდნენ, დიდი პოეტი და პატრიოტი დავით გურამიშვილი გულხელდაკრეფილი ვერ დაჯდებოდა. ვინ იცის, რამდენი ძვირფასი ხელნაწერი გააცამტვერა დროის მსახვრალმა ხელმა.

თვითონ ვახტანგ მეფე, შესანიშნავი პოეტი, ჩვენთვის ცნობილ მოღვაწეთაგან რუსთაველის პოემის პირველი გამომცემელი, კომენტატორი და განმმარტებელი, მკვლევარი, ისტორიკოსი, ფილოლოგი, ასტრონომი და იურისტი. ცხადია, სახლოვე ისეთ უნივერსალურ და დაუზარელ კაცთან, რომელიც ქორმანის გადასახლებაშიც კი არ ისვენებდა და ქართულად ათარგმნიებდა მაჰმადიანური სამყაროს გენიით აღბეჭდილ თხზულებებს, უქმად არ ჩაუვლიდა დავით გურამიშვილს. დავითი, მისი ძე ქრისტეფორე, ბიძა მერაბ გურამიშვილი სწორედ იმ წრეში ტრიალებდნენ, რომელშიაც ხსენებულ გამორჩენილ ადამიანთა გარდა შედიან დიმიტრი ბაგრატიონი, ლექსწყობის დიდი მსაჯული — ქართველთა ბუალო — მამუკა ბარათაშვილი, თომა ბარათაშვილი, დიმიტრი სააკაძე, შიო ჯავახიშვილი და სხვანი...

იმდროინდელი რუსეთის ლიტერატურა უკვე საკმაოდ მდიდარი, მრავალფეროვანი და თავისებური იყო. საკმარისია ითქვას, რომ იმ ხანებში მოღვაწეობდნენ კანტიემირი, ტრედიაკოვსკი, სუმაროკოვი, პროკოპოვიჩი და ახალგაზრდა ლომონოსოვი.


გურამიშვილის რუსეთში ცხოვრების წლებში შლის ფრთებს ნამდვილი რუსული ლიტერატურა, აღმოცენებული მდიდარი ფოლკლორისა და ძველი რუსული დამწერლობის ნიადაგზე. რუსული მწერლობა ევროპის ლიტერატურათა ოჯახში მტკიცედ იმკვიდრებს კანონიერ ადგილს. განმანათლებლურ იდეებს გზას უკაფავენ პეტრე პირველის რეფორმები. რუსეთში თანდათანობით ყალიბდება პირველი დიდი ლიტერატურული მიმდინარეობა, რასაც კლასიციზმი ეწოდება და რაც მთელ მე-18 საუკუნეს მოიცავს. მწერლები მრავალ სერიოზულ ნაწარმოებებს: ლექსებს, იგავებს, პოემებს, პროზაულ თხზულებებს ქმნიან. ტრედიაკოვსკის პოემა „ტელემაქიადში“ თავს ესხმის ტირანებს.

ექვგარეშეა, ქართველი ემიგრანტები რუსულ ლიტერატურას ევროპულთან ერთად, როგორც მაცოცხლებელ წყაროს, ისე ენაფებოდნენ. პოეტის ძმას ბერ ქრისტეფორე გურამიშვილს განსაკუთრებული მნიშვნელობა მიუძღვია თეოფანე პროკოპოვიჩის „სახელმძღვანელო ბავშვებისათვის“ და ქართულ ენაზე აუჟღერებია იგი.



არჩილ ჯორჯაძე

პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, სოციოლოგი, ესთეტიკოსი არჩილ ჯორჯაძე (1872-1913) საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტური პარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორი და ლიდერი გახლდათ. მან 1892 წელს დაამთავრა თბილისის პირველი გიმნაზია. სწავლობდა რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთისა და შვეიცარიის უმაღლეს სასწავლებლებში. 1900 წელს დაბრუნდა საქართველოში. ჯორჯაძე „ცნობის ფურცლის“ მუდმივი თანამშრომელი და სარედაქციო კოლეგიის წევრი იყო. 1902 წელს საზღვარგარეთ გაემგზავრა. 1903-05 წლებში რედაქტორობდა გაზეთ „საქართველოს“, რომელიც საფრანგეთში გამოდიოდა. 1905 წელს, საქართველოში დაბრუნების შემდეგ, შექმნა „საერთო ნიადაგის თეორია“, რომელიც მოუწოდებდა ერის ერთიანობისაკენ და უარყოფდა კლასობრივ დაპირისპირებას. არჩილ ჯორჯაძე იყო დიმიტრი ყიფიანის პირველი ბიოგრაფი, ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი აკადემიური გამოცემის (1914) ინიციატორი; ქმნიდა ფილოსოფიურ ნაწარმოებებს, სადაც ადამიანის არსებობის, მისი ყოფიერების საზრისის, ბედნიერებისა და ეთიკური საწყისის საკითხებს სვამდა. აქვე გთავაზობთ ამონარიდს მისი „დაკვირვებანი“-დან.



არჩილ ჯორჯაძე

დაკვირვებანი

საინტერესოა, რა მიზეზია ის მიზეზი, რომელიც ძირს უთხრის ყოველგვარ „საერთო საქმეს“, რომელსაც კი კისრულობენ ქართველები. ეს მიზეზი რომ გარკვეული იყოს ჩვენთვის, იქნება უფრო გასაგები გახდებოდა მაშინ ფაქტი მესამოციანების დაქსაქსვისა და საზოგადოდ ფაქტი „ჯგუფობრივ საქმეების“ ქართველებში სისუსტისა და გაუტანლობისა.

ამ საგნის გარკვევაში დიდ სამსახურს გაგვინევს ანალოგია. საინტერესოა, თუ შევადარეთ, ასე ვსთქვათ, ფსიხოლოგიური შინაარსის და თვისებების მხრით. ამ შემთხვევაში პირველსავე შეხედვით ამკარაა, რომ ჩვენს წინ ორი სხვა და სხვა ფსიხოლოგიური ტიპის მოვლენაა. შესაძლებელია შედარება უფრო გავაფართოვოთ და ვსთქვათ, რომ საზოგადოდ ქართველი და რუსი სხვა და სხვა ფსიხიური ორგანიზაციის მატარებელი არიან. მაგრამ აქ შედარების ფართო ნიადაგზე დგომა უფრო ძნელია, მაშინ, როდესაც რუსის ხალხის ხასიათი ღრმად არის შესწავლილი, განსაკუთრებით მხატვრულ ნაწარმოებთა საშუალებით. ჩვენსაზე იგივე არ ითქმის. არ არის აგრედვე სავსებით

შესწავლილი ჩვენი ისტორიული წარსულიც. უკანასკნელად ბევრი საგულისხმო მასალა გამოქვეყნდა. მაგრამ სრულ სურათს ადამიანი მანც ვერ შეადგენს, რაც შეეხება წარსული ეპოქების შესწავლას ფსიხოლოგიურის მხრით, ზემოდ აღნიშნულ მიზეზების გამო, ეგ საქმე ძლიერ გაძნელებულია. ხოლო რომ მივიღოთ მხედველობაში ის, რაც უკვე გარკვეულია ჩვენს წარსულ ცხოვრებაში, უნდა ვსთქვათ, რომ ძველი ეპოქების ქართველი ადამიანის ფსიხიკა უკიდურესად საამქვეყნოა და ემპირიული ხასიათისაა. ალბად ამგვარი თვისება განვითარდა ხალხის ფსიხიკაში. ისტორიული პირობების ზედგავლენით. პატარა ერი, რომელიც მუდამ ბრძოლაში იყო, თავის არსებობის დასაცავად, მეოცნებე და გულგრილი მჭვრეტელი ამ ქვეყნიერებისა ვერ იქნებოდა. და ეს თვით ჩვენს წარსულს რელიგიურ აზროვნებასაც ატყვია. ჩვენი რელიგიური მოძრაობა, მიუხედავად იმისა, რომ მასში „საკეტიზმს“ და „მეუდაბნოებას“ ფრიად საპატიო ადგილი ეჭირა, თითქმის ყოველთვის დაკავშირებული იყო საქართველოს სახელმწიფოებრივობასთან, რომელიც და-

რაჯი იყო როგორც ხალხისა, ისე ეკლესიისა „ურჯულოთა“ შემოსევის დროს. პატარა, მცირე რიცხოვანი ხალხი დამოუკიდებლად და თავისუფლად ვერ განავითარებდა თავის რელიგიურ აზროვნებას, რომელსაც ნიადაგ უდარაჯებდა განსაცდელი გაქრობისა და განადგურებისა. შავშეთ-კლარჯეთის მეუდაბნოენი ცდილობენ საზღვარი დასდონ საამქვეყნოსა და საიმქვეყნოს შორის, ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ მეფეს ბერებთან არავითარი საქმე არა აქვს, რადგან ისინი სხვა და სხვა ღმერთებს ემსახურებიან, მაგრამ მტკიცედ ამ ნიადაგზე ვერ დგანან, ერთ-ერთ კუროპალატს ეურჩებოდა ბერი და მის ბრძანებაზე არ ჰსურდა მეფესთან მისვლა, მაგრამ გრიგოლ ხანძთელის რჩევით ურჩობას თავი დაანება და აასრულა მეფის ბრძანება. ეკლესია იმგვარ პირობებში იყო, რომ მისთვის შეუძლებელი იყო სრული კავშირის განყვეტა სახელმწიფოსთან. ამიტომ ჩვენი რელიგიური აზროვნება თუ არის მისტიკური და მეტაფიზიკური, არის ამგვარი სარწმუნოებრივი და დოგმატიური საკითხებში, ხოლო ეს მისტიციზმი ჰქრება მთავარ საგნის გარკვევის დროს, ე.ი. მაშინ, როდესაც საჭიროა არჩევა; ან საამქვეყნოსი, ან „სასუფეველისა ღვთისა“, — თუნდ სიკვდილის საფასურით მოპოე-



ბულსა. აქ ჩვენი რელიგიური აზროვნება ემპირიულია, ხორცშესხმული, მიწიერი და საამქვეყნოა. ილია ჭავჭავაძემ რომ თავისი „განდეგილი“ დაამარცხა, საამქვეყნო მშენებლის პირველსავე ხილვის დროს — ეს აუცილებლობა სწორედ ზემოდ აღნიშნულ მოტივებით უნდა აიხსნას. კიტა აბაშიძემ მიაქცია ყურადღება ამ ფსიხოლოგიურ პრობლემას და კარგად გავიშარტა, რომ ჭავჭავაძე გამომხატელი იყო ამ შემთხვევაში ქართულ ბუნებისა, ქართველ გენიასი, რომელიც, არსებითად, ემპირიული და საამქვეყნოა. ეს რამდენიმე მოსაზრება ხელს შეგვიწყობს ქართველ ინტელიგენციის ხასიათის გამოცნობის საქმეშიაც. თქმა არ უნდა, რომ ყოველივე აქ თქმული, ან ის, რასაც ვიტყვი ქვემოთ, ერთ-ერთი შესაძლებელი ჰიპოთეზაა ეროვნულ ხასიათის ასახსნელად. ამიტომ აქ ადგილი აქვს დაკვირვებას და მოსაზრებას და არა მეცნიერულ საბუთს.

ჩვენი ინტელიგენცია რომ შევადართო რუს-ინტელიგენციას, მათ შორის დიდ განსხვავებას ვპოვებთ, მიუხედავად იმისა, რომ აზროვნების მხრით საერთო ბევრ რამა აქვთ. თავდაპირველად მოსჩანს რუს-ინტელიგენციის კულტურული უპირატესობა (ამგვარი უპირატესობა რუსის ხალხს ჩვენ ხალხთან შედარებით არა აქვს). იქ მეტი სიღრმეა, მეტი თავადება, ენტუზიაზმი, რწმენა და თავგანწირულება. აქ ზერელობაა, თავდაჭერა; გატაცება და ენტუზიაზმი ხან-მოკლე და თავის თავის დაზოგვაა. შესაძლებელია ეს ძველის ძველად გადმოცემული და ჩვენ დროში ახლად გამოღვიძებულ პატარა რიცხოვან ერის თავის დაცვის ინსტინქტის გადაფურჩქვნაა, მაგრამ ჩვენ მიზეზებს არ ვიკვლევთ.

წინდანივე უნდა ვსთქვათ, რომ ლაპარაკი გვაქვს მეცხრამეტე საუკუნის ინტელიგენციაზე. მეოცე საუკუნის „მოძრაობა“ აქ სახეში მისაღები არ უნდა იყოს, რადგან მაშინ მღელვარება და თავგანწირულება საზოგადო მოვლენა იყო, ეს იყო ხალხური სტიქია, რომელსაც აჰყვა ინტელიგენციაც. ჩვენ უნდა ავიღოთ ის ხანა, როდესაც, როგორც იყო, ერთ დროს რუსეთში, ინტელიგენცია სრულიად განმარტოებულ ჯგუფს შეადგენდა, რომლის წინააღმდეგ სასტიკად იბრძოდა მთავ-

რობა და ხალხი კი მას სრულებით არ თანაუგრძობდა.

როდესაც 1825 წ. „დეკაბრისტებმა“ მოაწყეს პირველი შეთქმულება და თავიანთი სიცოცხლეც შესწირეს ამ საქმეს (ზოგი ჩამოაღრჩეს, ზოგი კატორგაში დააბერეს), ვინმე გრ. რასტოპჩინი დაცინვით ამბობდა: საკვირველია, საფრანგეთში „ბრბომ“ მოახდინა რევოლუცია გაბატონებულ კლასების პრივილეგიების ჩამოსართმევად, ჩვენში კი არისტოკრატია თვითონ ცდილობს თავისი უპირატესობა „ბრბოს“ დაუთმოს და ჩააბაროსო; რუსი ინტელიგენტი იმ თავითვე თავგანწირული ადამიანია. იგი ავადმყოფია ქვეყნიურ უსამართლობის გამო, იგი არ ითვისებს, არ იწყნარებს უსამართლობაზე დამყარებულ ქვეყანას. გერცენი პატარაობისას მგრძობიერი ყმანვილი იყო. ერთხელ პატარა ოგარიოვთან ერთად მოსკოვში, ვორობიოვის მთაზე უსერიანია და იქ ამ ორ ყმანვილს რაღაც არა ჩვეულებრივი სულიერი განწყობილება აღეძვრათ. თვითონ გერცენი ასე აგვიწერს ამ ამბავს: „მზე ის იყო წვებოდა, ეკლესიების გუმბათები ბრწყვილებდნენ, უსაზღვრო სივრცეში იშლებოდა დიდი ქალაქი, მთის ძირში, საამო ნიავი სახეს გვიგრილებდა. ჩვენ ვიდექით, ვიდექით, ერთმანეთს მიუახლოვდით და უეცრად, გადახვევის დროს, ფიცი მიეცით ერთმანეთს აი, აქ, მთელი მოსკოვის წინ, რომ სიცოცხლეს შევწირავთ ამ ბრძოლაში, რომელიც უკვე არჩეული გვექონდა“ (იხ. Героический характер русской литературы, ტ. I, გვ. 127, Венгерова). ან გესხომებათ „მწვანე პატარა ჯოხის“ ამბავი ლ. ტოლსტოის სიყმანვილიდამ. მის უფროსს ძმას ნიკოლინკას ერთი პატარა შტო მოუჭრია, მწვანეთ გაუთლია და ზედ გაუკეთებია რაღაც საიდუმლო წარწერები და ეს ჯოხი ჩაუფლავს სოფ. იასნაია პოლიანაში, იქ, სადაც ახლა ასაფლავია, ლ. ტოლსტოი. ამ ჯოხის წარწერა თურმე ნიშნავდა საიდუმლოებას იმის შესახებ, თუ რა უნდა გაკეთდეს, რომ ადმიანს არავითარი უბედურება აღარ მიეკაროს, რომ არასოდეს არ ჩხუბობდნენ და არ ჯავრობდნენ და ყოველთვის „ბედნიერნი ყოფილიყვნენ“. ლ. ტოლსტოის თავის ბავშვობაში ბევრი უძებნია ეს ჩაფლული ჯოხი, მაგრამ ვერ მოუნახავს (იქვე, გვ. 188).

ან რა შეედრება თავისი სიდიადით, თავისი წვალბრივობის ნიშნებით და თავისდადებით იმ მოძრაობას, რომელიც გაჩნდა რუსეთში 1872-73 წლებში, როდესაც მთელმა ინტელიგენციამ, ქალ-ვაჟიანათ, ხალხისაკენ გაინია და ხალხი უნდოდა აემალლებინა, გაენათლებინა და აემოძრავებინა უკეთესის მომავლისათვის. „ხალხში სიარული“ ის არ არის, რასაც დღეს კულტურულ მუშაობას ეძახიან (ბიბლიოთეკა-თეატრების გამართვა), არა, მიდიოდნენ გლეხკაცობაში, მათთან ერთად მუშაობდნენ და ქადაგებდნენ ენოდნენ, მიდიოდნენ ქარხნებში უბრალო მუშებათ და აუტანელ პირობებში თავიანთ მისიას ასრულებდნენ. ტურგენევიც ერთ თავის პროზაიკულ ლექსში (Попор) მშვენივრად აქვს აღბეჭდილი იმ დროინდელ სულიერ ვითარების სიდიადე. უზარ-მაზარ, მახინჯ სახლის გახსნილ კარის წინ დგას მშვენიერი ახალგაზრდა ქალი. საიდუმლო ხმა აფრთხილებს და ეუბნება, რომ მოერიდოს დერეფანს, ნუ შევა ღია კარებში, იქ „სიცივე, სიმშლი, მძულვარება, დაცინვა, ზიზღი, შეურაცხყოფა, საპყრობილე, ავადმყოფობა და თვით სიკვდილია“. მაგრამ ქალი არ დრკება. მას არ უნდა „არც მადლობა, არც შებრალება, არც სახელი“.

— მაშ, რომ გაჭირდეს, სისხლის დანაშაულობასაც ჩაიდენ?

ქალმა თავი დალუნა.

პატარა ხანს უკან, საიდუმლო ხმა განაგრძობდა: ის კი იცი, რომ შემდეგში იქნება რწმენა დაგეკარგოს და აღარ ინდომო, რაც დღეს გინდა. და მაშინ იგრძნობ, რომ მოსტყუვდი და უქმად დალუპე ახალგაზრდა სიცოცხლე.

— ეგეც ვიცი. და მაინც მინდა კარებში შესვლა.

— შედი.

ახალგაზრდა ქალი ფეხს გადადგამს და მძიმე ფარდა ჩამოეშვება.

— „სულიელი“! — წამოიძახა ვილაცამ უკანიდამ.

— „წმინდა“ — საიდლამაც გაისმა პასუხად (იქვე, გვ. 162). დაგვეთანხმებით, რომ ამგვარ ფსიხიკაში არის რაღაც არაჩვეულებრივი, თითქოს რელიგიური ხასიათის ენტუზიაზმი, რომელიც ზიზღით უყურებს პირად ბედნიერებას, პირად სიცოცხლეს, და უნდა სთქვას კაცმა, რომ ეს საერთო თვისებაა რუსეთის ინტელიგენციისა, თვისე-



ბა, რომელიც გამოისახა როგორც პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზზე, ისე კაზმულ სიტყვიერებაში, სადაც საკვირველის და გასაოცარის სიღრმით სხვა და სხვა ეთიკური პრობლემებია წამოყენებული.

ამ ხასიათის ფსიხიური მიდრეკილება აწინდელ ქართველის სულის განწყობილებას არ ეგუება. ძველად უნდა ყოფილიყვნენ ამ ტიპის ხასიათები. ჩვენი წარსული ისტორიის ზოგიერთი მომენტები ნამდვილი გმირული თვისებისაა. უნდა ყოფილიყვნენ ამ ტიპის ხასიათები. ჩვენი წარსული ისტორიის ზოგიერთი მომენტები ნამდვილი გმირული თვისებინაა. უნდა ყოფილიყვნენ ადამიანები, დაწყებული ზღაპრული ტანჯვით და სევდით, უნდა ყოფილიყვნენ მამულიშვილები, რომელთათვისაც პირადი სიცოცხლე არ არსებობდა და, რომელნიც სიხარულით სდებდნენ თავსა მამულის კეთილდღეობისთვის. ნამდვილად იყვნენ ამგვარი მებრძოლები. მაგრამ უნდა ვსთქვა, რომ ეგეც ის არ არის, რასაც წარმოადგენს რუს ინტელიგენციის ფსიხიკა. ომიანობის დროს, როდესაც ყველანი დიდიდამ პატარამდე, მმართველ წრეებიდამ ყმებამდე ერთის აზრით არიან გამსჭვალულნი ვაჟკაცობის და თავგანწირულების გამოჩენა ერთი საქმეა. ხოლო მეორე თავდადების გამოჩენა მაშინ, როდესაც ირგვლივ არამც თუ თანაგრძნობა არ არის, თავისიანების მხრით დევნა და სასტიკი მოპყრობაა, როდესაც ხალხი, რომლისთვისაც სწირავ თავს და ჰლოუპავ სიცოცხლეს, შენვე დაგცინის და გაფურთხებს. ამ პირობებში უანგარო თავდადებობის თვისებების აღმოჩენა და უმწვერვალეს ზომამდე მათი განვითარება სრულიად განსაკუთრებული მოვლენაა, რომელიც თავის გმირულის ხასიათით არ შეედრება სამხედრო ხასიათის გმირობას.

ხოლო ახალ დროში ჩვენი ხასიათი შესამჩნევად დაწვრილმანდა. ჩვენშიაც იყო 1832 წ. „შეთქმულება“. ჩვენებურ მამულიშვილებს სწადდათ საქართველოს „განთავისუფლება“, მაგრამ რა ბავშვური იყო მათი ოცნება და რა გულუბრყვილო მათი პოლიტიკური აზროვნება! უმეტეს შემთხვევაში, ნადიმებსა და სადილობის დროს სწყვეტდნენ თავიანთ საქმეებს, ღვინით შეზარხობებულს ვარდისფრად ეჩვენებოდათ ყოველივე, ხოლო შემდეგში, როდესაც ოცნების ფრთები

შემოაჭრეს, რა მალე დამშვიდნენ, რა წარმატებით და გულმოდგინებით ემსახურებოდნენ სამოქალაქო თუ სამხედრო ასპარეზზე იმავე მთავრობას, რომლის წინააღმდეგ გუშინ ილაშქრებდნენ... მესამოცე წლებში ახალი ტიპის ახალგაზრდობა გვიჩნდება. ეს უკვე ნამდვილი ინტელიგენციაა. წინა წერილებში ჩვენ საკმარისად ნათელი ვყავით ის აზრი, თუ რა დიდი კულტურული საქმე გააკეთა ამ ახალმა თაობამ, პირველმა ჯგუფმა ნამდვილ ქართველ ინტელიგენციისა. მაგრამ, თუ შევადარებ ჩვენი იმ დროინდელი ინტელიგენცია რუსეთის ინტელიგენციას მესამოცე წლებისას, ამკარად დავინახავთ, რომ საქმე გვაქვს სხვა და სხვა ტიპის ინტელიგენციებთან, არც უარ-ყოფაში, არც რისამე აღიარებაში ქართველი ინტელიგენცია არ მიდიოდა ლოლიკურ უკანასკნელ დასკვნამდე, იგი მიდიოდა საშუალო გზით. ეს იყო არა მარტო იმიტომ, რომ ჩვენი ინტელიგენცია უფრო დაბლა იდგა კულტურული და სულიერ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა რუსეთის ინტელიგენციასთან, ეს იყო იმიტომ, რომ ქართველს აქვს თავისი საკუთარი ტემპერამენტი და ხასიათი. მას მეტად უყვარს საკუთარი თავი; პირადობა მისი ბატონია, საზოგადო საქმე ძალდატანებაა. იგი მალე ინთება, ხოლო უმაღლე ჰქრება. მისი ენტუზიაზმი უფრო ფიზიოლოგიურია, ვიდრე ფსიხიური. იგი შრომობს, ხშირად ბევრსაც შრომობს, ხოლო მის შრომას გაუტანლობის ნიშნები ატყვია. არ უყვარს საერთო მუშაობა. იგი ინდივიდუალისტია. ჯგუფობრივობა სულს უხუთავს. იგი განზე იწევა, არ უთმობს სხვას იმას, რაც საჭიროა საერთო საქმის გაკეთებისათვის. და საერთო საქმე მას არ ეხერხება. ვიმეორებ, შესაძლებელია, რომ ყოველივე ეს უკულტურობის ნიშანი იყოს, მაგრამ უკულტურობის გარდა აუცილებელი საჭიროა ეროვნულ თვისებების მხედველობაში მიღება. ქართველი ინტელიგენტი არსებითად საამქვეყნო კაცია, მისი სიცოცხლის ფესვები აი ამ მიწაშია ჩაფლული, რომელზედაც დგას, მას უყვარს მზე, ლაყბობა, ოხუნჯობა, იგი გულ-უბრყვილოა, მაგრამ თავს არ იფიცებს. მას მეტად უყვარს თავისი ხორცი, თავისი კეილდღეობა. ამიტომ არის იგი ხშირად ფარისეველი, როდესაც სას-

წორზე „პირადი“ და „საზოგადო“ ინონება. მას არ უნდა გახსნას და გააქარწყლოს თავისი პირადობა „კრებულობითი დასაწყისში“ — ღმერთია იგი თუ საზოგადო, სახალხო საქმე.

ჩვენში არ იყო არაფერი მსგავსი იმისი, თუ როგორი ალფრთოვანებით იყო აღჭურვილი რუსეთის ინტელიგენცია „ხალხში სვლის“ პერიოდში 1872-73 წელს. უსამართლობა იქნებოდა ჩვენის მხრით, რომ გვეთქვა, სამოცდაათიან წლებში ქართველი ინტელიგენცია სრულიად არ იზიარებდა ამ ხასიათის ალფრთოვანებას და ამ საქმეში არავითარ მონაწილეობას არ იღებდა-თქო.

ყოველივე ეს იყო და თითქოს ამგვარი ფაქტების არსებობა ძირიანად არღვევს ჩვენ მიერ დახატულ ქართველ ინტელიგენციის ფსიხიურ განწყობილების სურათს. მაგრამ ამ ფაქტებს ჩემს თვალში ის დიდი ღირებულება არა აქვთ, როგორადაც სჩანს ზერელედ რომ შეეხოთ მათ. აქ არ არის გამორკვეული, რა არის საკუთარი და რა შეთვისებული. რომ მასიური მისწრაფებანი და მოქმედება გადმომდებია, ამაში ეჭვი არ არის, ალელვებული მასა წყნარ და მშვიდ ადამიანს ჩაადენინებს ხშირად არა ჩვეულებრივ საქციელს. მასიური ფსიხოლოგია იმორჩილებდა ადამიანის ნებას და მას აკუთვნებს თავის საკუთარ თვისებებსა. ჩვენი ახალგაზრდობა სამოცდაათიანებში, როდესაც იგი უკვე შეპყრობილი იყო ამ გადამდებითი სენით, სულით და ხორციტ შეთვისა რუსეთის ინტელიგენციას. და აქ მანაც გამოამკარავა ყოველივე ის, რაც დამახასიათებელია რუსეთის ინტელიგენციისა. ხოლო რამდენად იყო ეს ბუნებრივი, ე.ი. რამდენად ეგუებოდა ამგვარი ფსიხიური ვითარება ქართულ ეროვნულ ხასიათს, სხვა საკითხია. და სწორედ აქ იბადება ეჭვი, რომ საკუთარის ინიციატივითა, თავის საკუთარ ხალხში ახალგაზრდობა ანალოგიურ მოქმედებას მოერიდება. და მართლაც, ჩვენში ამ მხრით დიდი რამ არა მომხდარა რა. მოუმნიფებლობაა ეგ, თუ ეროვნულ განსაკუთრებულ ტემპერამენტის თვისების გამოამკარავებაა, სწორედ ეს პრობლემაა გასარკვევი და სწორედ ამ პრობლემის ნათელ საყოფად გამოვსთქვით ჩვენ რამდენიმე ზემოდ აღნიშნული მოსაზრება.

გიორგი ლასხიშვილი

გიორგი ლასხიშვილი (1866-1931) გახლდათ ქართველი პუბლიცისტი, რედაქტორი, საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა ერთ-ერთი ლიდერი. ქართული კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ (1885) იგი სწავლობდა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელიც არ დაუმთავრებია, რადგან დაითხოვეს სტუდენტთა მღელვარებაში მონაწილეობის გამო; აქტიური პოლიტიკური მოღვაწეობისათვის რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული და გადასახლებული ციმბირში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ (1894) მუშაობდა „ივერიის“ რედაქციაში, სადაც „ლალის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა წერილებს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ საკითხებზე, თანამშრომლობდა „ნოვოე ობოზრენიეში“, „მოამბეში“, „კვალში“. 1900-დან იყო „ცნობის ფურცელის“ ფაქტობრივი რედაქტორი. 1905 წელს პარიზში ყოფნისას იყო გაზეთ „საქართველოს“ ერთ-ერთი რედაქტორი. მისი მემუარები გამოიცა 1934 წელს. ქვემოთ გთავაზობთ ერთ თავს მისი მემუარებიდან, რომელიც ქართულ-რუსული ურთიერთობების ერთ-ერთი საინტერესო ფურცელია.



გიორგი ლასხიშვილი

დაახლოვება ქართველ და რუს მოღვაწეებთან: რომანოზ ფანცხავა, ვასილ პეტრიაშვილი, ექიმი ბარჯანი, პროფ. უსპენსკი და სხვანი. ბარჯანის მოგზაურობა საქართველოში

თანდათან, რაც უფრო წინ მიდიოდა ჩემი გონებრივი განვითარება, იზრდებოდა ჩემი უკმაყოფილებაც ქართულ და კავკასიელთა წრეებისადმი. მე ვიგრძენი, რომ პრაქტიკული შედეგი ჩვენს ბრძოლას ვერ მოჰყვებოდა, უმრავლესობა არ გამოგვეყვებოდა, თუნდაც სამოქმედო ასპარეზი მოგვეძებნა. ამასთანავე მალე თვით წრეების ცხოვრებაშიაც კრიზისი დადგა...

ქართულ წრის ერთ კრებაზე ორს ამხანაგს პირადი შეტაკება მოუვიდათ. წრე ჩაერია ამ საქმეში და უთანხმოება იმდენად გაიზარდა, რომ ბოლოს ქართველი სტუდენტობა ორ ბანაკად გაიყო; ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ წრის ცხოვრება კარგა ხნით გაიყინა.

რაკი ქართული წრე დროებით დაიშალა, რალა თქმა უნდა, კავკასიელთა წრესაც ველარ შეეძლო ცხოველმყოფელი ძალა გამოეჩინა.

ეს იყო ჩემი სტუდენტობის მეორე წლის ბოლოს. ამ ხანშივე მოხდა ჩვენი ჯგუფის დაახლოება რუს სტუდენტ-რადიკალებთან და ამიერიდან იწყება მეორე ხანა სტუდენტური ცხოვრებისა... ზემოთ უკვე აღვნიშნე, რომ ჯერ გიმნაზიაშივე მოგვხდა სიორუსის ახალგაზრდობის მაშინდელ

მოძრაობისა. თუმცა ზოგი არალეგალური ნიგნაკიც გვექონდა ნაკითხული, მაგრამ ოდესაში რომ ჩამოვედით, ამ მოძრაობის ნამდვილი წარმოდგენა არ გვექონია და არც ვიყავით, ასე ვთქვათ, პოლიტიკურად საკმაო განვითარებულნი. რადიკალური ტრადიციების გამგრძობად პირველ ხანებში, სანამ რუს სტუდენტობას დაუახლოვდებოდით, მოგვევლინა **რომანოზ ფანცხავა** (ქართულ ლიტერატურაში **ხომლეღის** ფსევდონიმით ცნობილი). ოდესაში ჯორჯაძის ღვინის ფირმის განყოფილების მმართველად იყო; ჩვენთან ერთად ჩამოვიდა და სტუდენტებთან ცხოვრობდა.

რომანოზი ტფილისის სემინარიელად ნამყოფი და ტფილისის მაშინდელ ახალგაზრდობის წრეებში მომუშავე, ბევრად უფრო ნაკითხი და განვითარებული იყო, ვიდრე ჩვენ. ცოცხალი, ნიჭიერი და განვითარებული ახალგაზრდა, თანაც ნლოვანებით ჩვენზე უფროსი, რასაკვირველია, გავლენას მოიპოვებდა ჩვენზე და მართლაც პირველ წელს დიდი სამსახური გაუნია ჩვენი განვითარების საქმეს. 60-იან და 70-იან წლების რუსეთის მწერლებს ჩვენ მაშინ თითქმის სულ არ ვიცნობდით, უფრო სახელები გვექონდა გაგონილი... რომა-

ნოზმა გაგვაცნო და შეგვეყვარა რუსეთის რადიკალიზმის მამამთავარნი დობროლიუბოვი, პისარევი, ჩერნიშევსკი; შემდეგ ერთად ვკითხულობდით მიხაილოვსკისაც; ვბაასობდით, ვკამათობდით ისტორიაზე, სოციოლოგიაზე, პოლიტიკურ მოძრაობაზე. უნდა აღვნიშნო, რომ ამასთანავე რომანოზ ქართველი პატრიოტიც იყო. იცოდა ჩვენი ლიტერატურა, ჩვენი წარსული და ჩვენთან ერთად ოცნებობდა სამშობლოს უკეთეს მომავალზე.

სანამ ჩვენი რადიკალების ამბავს განვაგრძობდე, აქ აღვნიშნავ, რომ ამავვე დროს მოხდა ჩვენი, ასე ვთქვათ, „საზოგადოებაში გამოსვლა“. ამ მხრით დაუფასებელი იყო ჩვენი ამხანაგი, მეტად ცოცხალი და სიმპატიური ახალგაზრდა **ვანიჩკა ელიაშვილი**. როგორ და როდის ახერხებდა ამდენი ხალხის გაცნობას, ჩვენთვის გაუგებარი იყო. იცნობდა პროფესორებს, ექიმებს, ადგილობრივ მწერლებს და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლებსაც, მამაკაცებს და ქალებს. გაცნობისთანავე ისე დაუახლოვდებოდა ყველა ამ სიმპატიურ ადამიანს, თითქოს ბავშობიდანვე მათი მეგობარი ყოფილიყო. მისი შემწეობით ჩვენც გავიცანით ოდე-



სის ინტელიგენციის ზოგი კარგი წარმომადგენელი, რაც დიდად სასარგებლო იყო ჩვენისათვის „ბურსაკებისათვის“, რომელთაც საზოგადოება, განათლებული და ინტელიგენტის ოჯახი არც კი გვენახა.

ამ და სხვა მრავალ მხრითაც დაუფასებელი იყო ჩვენთვის მარად სახსოვარ პროფ. ვასილ პეტრიაშვილის და მის ლირსეულ მეუღლის ეკატერინე ყარამანის ასულის გაცნობა და მათთან კეთილი ურთიერთობა. მათ ოჯახში, მათთან ტკბილ საუბარში გაგვიტარებია ბევრი, სამუდამოდ დასამახსოვრებელი წუთები. ვასილ პეტრიაშვილი იმეფათი ადამიანი იყო. საკვირველი თავმდაბალი, მეტად პატიოსანი, განუზომელი სიყვარულით გამსჭვალული ახალგაზრდობისადმი, მეცნიერებისა და თავის სამშობლოსადმი. დიდად უყვარდა ყველა სტუდენტს განურჩევლად ეროვნებისა. ამასთანავე დამოუკიდებელი ხასიათის პატრონი იყო და მას დიდის მონივნებით ეპყრობოდა ყველა პროფესორი.

მაგონდება შემდეგი: ახალ საუნივერსიტეტო წესდების ძალით, რაღაც შევიწროება იყო შემოღებული საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე; მგონი, ვინც წინდანი არ ჩაენერებოდა და ხვედრ ფულს არ გადაიხდიდა, იმ სტუდენტებს ლაბორატორიაში სამუშაოდ არ უშვებდენ. პედლები მუდამ დაძრწოდენ ლაბორატორიებში სიეზობით ხელში და „კათაკმევლთ“ ერეკებოდენ. პეტრიაშვილი არ დაემორჩილა ამ ახალ წესებს და ერთი პედელი არ გააჭაჭანა თავის ლაბორატორიაში. ინსპექცია გაბრაზებული იყო, მაგრამ ვერაფერი გაუბედა ყველასაგან პატივცემულ და დამსახურებულ პროფესორს. საზოგადო ამხანაგს და მეგობარს სტუდენტთა, პეტრიაშვილს მეტად დამოუკიდებლად ეჭირათ თავი სააკადემიო მთავრობის წინაშე, რისთვისაც მთელ სტუდენტობას უყვარდა; ეს კი იმ დროს იმეფათი მოვლენა იყო. ამას ისიც დაუმატეთ, რომ პეტრიაშვილი კარგი სპეციალისტი პროფესორი იყო და კარგი ხელმძღვანელი მასწავლებელიც.

მეორე ჩვენი თანამემამულე პროფ. მელიქიშვილიც კარგი სპეციალისტი, მეცნიერი და კარგივე ხელმძღვანელი მასწავლებელი იყო, მაგრამ ისეთი სიყვარული და პატივისცემა არა ჰქონია დამსახურებული, როგორც პეტრიაშვილს. მელიქიშვილი სხვა ხასიათის კაცი იყო: განდევნილი ცხოვრობდა, სტუდენტებთან ურთიერთობას ერიდებოდა. სამი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთხელ ვნახეთ ჩვენთან: ერთად შევხვდით ახალ წე-

ლინადს, მთელი ქართველი სტუდენტობა, მელიქიშვილი, პეტრიაშვილი და ორიოდე გარეშე სტუდარი რუსი.

ჩვენ ნაცნობ ოდესელ ინტელიგენტ საზოგადოებიდან დევასახელებ გამოჩენილ ბაქტერიოლოგს და ექიმს ბარდახს. ბარდახი იმ დროს დიდად პოპულარული მოღვაწე იყო ოდესაში. თავგანწირული ექიმი მუშებისა და ღარიბ ხალხისა, დიდიდან საღამომდე დადიოდა განაპირა უღარიბეს უბნებში და მუქთად სწამლობდა ხალხს. ფულიანი პრაქტიკა ცოტა ჰქონდა, მაგრამ არას ნაღვლობდა. ამასთანავე, დროს შოულობდა და ოდესის პასტერის ინსტიტუტში ეხმარებოდა გამორჩენილ მეცნიერს **მერნიკოვს**. შემდეგში, როცა მერნიკოვი პარიზში გაიწვიეს, ოდესის ინსტიტუტის გამგედ ბარდახი დანიშნეს.

ბარდახი ძალიან დაგვიმეგობრდა ქართველ სტუდენტებს. დადიოდა ჩვენთან, გვინვევდა თავის ოჯახში. ერთხელ გამოგვიცხადა, კავკასია მინდა ვნახო და ზაფხულში თქვენთან ერთად წამოვალო. მართლაც, შემდეგ გაზაფხულს ერთად წამოვედით. ჩვენმა ამხანაგმა, ზაქ. მაჭავარიანმა ბარდახი დაჰპატიჟა თავის სოფ. ილეშში (ზემო იმერეთში). ზოგი ჩვენგანიც (ჩემ გარდა იყვენ, თუ არა ვსცდები, ი. ლორთქიფანიძე და ივ. ელიაშვილი) გაჰყვა მათ. ზესტაფონიდან ცხენებით უნდა წავსულიყავით. ბარდახს ეს გარემოება ბავშვით ახარებდა, რადგან ცხენზე არასოდეს მჯდარიყო. ჩავედით თუ არა ზესტაფონში, მოგვვარეს ცხენები. ბარდახი მივარდა მისთვის არჩეულ საუკეთესო ცხენს, შედგა უზანგმი ფეხი, შეახტა მარდად და ცხენს კუდისკენ მოექცა. ჩვენ სიცილი აგვიტყდა, ახლომდგომ ქუჩის ხალხმა ყიჟინა ასტენა. ბარდახი გაკვირვებული იყო და გვეუბნებოდა. არ მესმის, როგორ მოხდა ესაო: თანაც დამსწრეთა სიცილ-ყიჟინამ ძალიან გაამხიარულა. რა ექსპანსიურია სამხრეთის ხალხიო...

სოფელში ჩავედით, საღამო ახლოვდებოდა. მასპინძელი, ზემო იმერეთში იმ დროს განთქმული ტოლუმბაში კონსტანტინე მაჭავარიანი, თავის მეზობლებით უკვე გვიცდიდა ეზოში გამაღლი სუფრასთან. დაინყო ჩვენებური ქეიფი სიმღერით, სიტყვებით, ღვინის დაძალებით. პატარა ხანს ბარდახი ცნობისმოყვარეობით ადევნებდა თვალყურს უნახავ სურათს. მაგრამ მალე წამოხტა, მასპინძელს მადლობა უთხრა და სთხოვა, ცხენი მომგვარონ, სეირნობა მიჩვენიაო.

თქვენ ნუ მომიკვდებით, უზრდელები ყოფილან თქვენი მეცნიერე-

ბიო, ჩუმად შემოგვიჩვილა ერთმა სტუმარმა აზნაურთაგანმა. შემდეგ ბარდახი ქუთაისში ჩავიყვანეთ, ვაჩვენეთ გელათი და მონამეთა-მონასტერი. აქედან ტფილისს წავიდა. ტფილისიდან კი საქართველოს სამხედრო გზით ოდესისაკენ უნდა გამგზავრებულიყო. მესამე დღეს, გავიხედეთ, ბარდახი ისევ ქუთაისში ჩამოცუნცულდა.

რა ამბავია, რა მოგივიდათ? შევძახეთ ჩვენ.

რა ამბავი და, გვიპასუხა ბარდახმა, შევდგი თუ არა ფეხი საეთნოგრაფიო მუზეუმში, მაშინვე ყაჩაღებმა გამაძარცვეს.

როგორ თუ საეთნოგრაფიო მუზეუმში... ყაჩაღებმა?!..

ტფილისის რკინის გზის სადგური ნამდვილი საეთნოგრაფიო მუზეუმია, განაგრძო მან. მთელი აღმოსავლეთის ხალხი იქ ირევა... მე არასოდეს არ მინახავს ასეთი ეკზოტიკური სანახაობა. გაშტერებული ვიდექ... მოვარდა ვილაცა და სერთუკის ჯიბიდან, რაც ფული მქონდა ამომაცალა... ტფილისამდე გზაში კიდევე, თითქმის ამპარტავნობით დაუმატა ბარდახმა, ყაჩაღები თავს დაეცნენ მატარებლის ერთ ვაგონს, ვილაც ქალს რამდენიმე ათასი მანეთი წაართვეს, გაქანებულ მატარებლიდან გადახტნენ და ტყეს შეაფარეს თავიო.

ვუშოვეთ ფული და გავისტუმრეთ ჩვენი სტუმარი, ალტაცებული ჩვენი ქვეყნის ბუნებით და ყველაფრით, რაც ენახა. ორი თვის შემდეგ თავისი შთაბეჭდილებანი მოათავსა „ოდესსკი ლისტოკში“. მისი ალტაცება ყოველ სტრიქონში იხატებოდა, მაგრამ როგორღაც ხაზგასმული იყო, კავკასია ავაზაკების ბუდეაო. გაზვიადებულიად იყო დანერვილი ორიოდე შემთხვევა. ეს ცუდი იდეზრახვით არ მოსვლია ბარდახს, არც ეგონა, თუ ცუდად მივიღებდით; პირიქით „ეკზოტიზმი“ და „ავაზაკური რომანტიზმი“ სასახელოდ მიაჩნდა კავკასიისათვის. ჩვენ მაინც გვეწყინა და ზაქ. მაჭავარიანმა პირველად და მგონი უკანასკნელადაც აიღო ხელში კალამი და საპასუხო ფელეტონი გამოიქიმა იმავე „ოდესსკი ლისტოკში“.

ოდესის სხვა ჩვენ ნაცნობებში დევასახელებ პროფ. უსპენსკის (შემდეგში კონსტანტინეპოლის საარქეოლოგიო ინსტიტუტის დირექტორს), ჟურნალისტ ჰერცო-ვინოგრადსკის (ბარონ იეს), ნაფიც ვეილს გუსაკოვს და სხვათა. ყველა ეს ჩვენი ნაცნობნი, განათლებული და ინტელიგენტი ხალხი იყო, ვისთან ურთიერთობაც სასარგებლო იყო ჩვენთვის.

ქართველი გმირები დიდ სამამულო ომში

ომმა საერთონაციონალური მასშტაბით ადამიანებისაგან ძალების უდიდესი დაძაბვა და უზარმაზარი მსხვერპლი მოითხოვა. გამოავლინა მათი სიმტკიცე და სიმამაცე, თავდადება მშვიდობისა და სამშობლოს დამოუკიდებლობისთვის. სამამულო ომში გმირობამ საყოველთაო ხასიათი მიიღო. ათასობით ჯარისკაცმა და ოფიცერმა უკვდავყო თავისი სახელი ბრესტის ციხესიმაგრის, ოდესის, სევასტოპოლის, კიევის, ლენინგრადის, ნოვოროსიის დაცვისას; მოსკოვთან, კურსკთან, სტალინგრადთან, ჩრდილოეთ კავკასიაში, დნეპრზე, კარპატებში ბრძოლისას; ბერლინის იერიშის დროს და სხვ. დიდ სამამულო ომში საბჭოთა კავშირის გმირის უმაღლესი წოდება, რომელიც ზოგმა სიცოცხლეში და ზოგამაც სიკვდილის შემდეგ მიიღო, 90 ქართველია. ამჟერად წარმოგიდგენთ რამდენიმე იმათგანს, ვინაც ღვთის წყალობით, საშინელი ომის ჯოჯოხეთური გზა გამოიარა და ოჯახს დაუბრუნდა.



**მფრინავი კაპიტანი
დავით ჯაბიკა**

დავით ვასილის ძე ჯაბიკე ბელორუსიის ფრონტზე იბრძოდა, ირიცხებოდა მე-16 საჰაერო არმიის 265-ე გამანადგურებელ დივიზიაში, მეთაურობდა 812-ე ესკადრილიას.

დ. ჯაბიკე დაიბადა 1916 წელს სოფელ ჩხარში (თერჯოლის რ-ნი) გლეხის ოჯახში. სკოლის დამთავრების შემდეგ ჭიათურის მაღაროებში მუშაობდა. 1937 წელს დაასრულა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის 3 კურსი და თბილისის აეროკლუბი.

არმიაში 1937 წლის ნოემბერში გაინვიეს; 1940 წელს დაამთავრა სტალინგრადის მფრინავთა სამხედრო საავიაციო სკოლა; მსახურობდა ლენინგრადის საბრძოლო ოლქის სამწყობრო ნაწილებში.

1941 წლის ივნის-დეკემბერში მფრინავი დ. ჯაბიკე 158-ე საავიაციო გამანადგურებელი პოლკის რაზმს მეთაურობდა (ლენინგრადში). 1941 წლის 23 ივლისს ლენინგრადის მისადგომებთან (ქ. ლეგის რაიონში) თვითმფრინავ „И-16“-ით გაანადგურა ბომბდამშენი „Ю-88“, დაეშვა დაზიანებული თვითმფრინავით.

1941 წლის 10 დეკემბერს კი საჰაერო ბრძოლის დროს მისი თვითმფრინავი გერმანელებმა ჩამოაგდეს, მძიმედ დაჭრილმა კაპიტანმა პარაშუტით დაშვება მოახერხა. 1941 წლის ზაფხულამდე იგი ჰოსპიტალში მკურნალობდა (ცალი ფილტვი ამოუღეს). მოგვიანებით, 1943 წელს დაამთავრა სამხედრო-საჰაერო აკადემია (მონინო).

1943 წლის აგვისტოსა და 1944 წელს გახლდათ 43-ე გამანადგურებელი საავიაციო პოლკის ავიაესკადრილიის მეთაურის მოადგილე, 1944 წლის აგვისტოდან 1945 წლის მაისამდე — 812-ე პოლკის ავიაესკადრილიის მეთაური; იბრძოდა სამხრეთის, უკრაინის მე-4, ბელორუსიის მე-3 და პირველ ფრონტებზე. მონაწილეობდა ყუბანთან ბრძოლებში, ყირიმის, ბელორუსიის, ბალტიისპირეთის გათავისუფლებაში, ვისლა-ოდესის ოპერაციაში და ბერლინის იერიშში.

ომის პერიოდში ჯაბიკემ 274 საბრძოლო გაფრენა განახორციელა გამანადგურებლებით: „И-16“, „ჩრ-7“, „ჩრ-1“ და „ჩრ-9“. აწარმოა 64 საჰაერო ბრძოლა, პირადად ჩამოაგდო მონინაალმდეგის 22 და გჯუფთან ერთად 2 თვითმფრინავი.

მამაცობისა და გმირობისათვის, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1946 წლის 15 მაისის ბრძანებულებით, კაპიტან დავით ჯაბიკეს სსრკ კავშირის გმირის წოდება მიენიჭა, ასევე გადაეცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

1947 წელს ივლისიდან კაპიტანი ჯაბიკე სამხედრო სამსახურიდან გადადგა. 1955 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და ასპირანტურა. დაიცვა დისერტაცია, წლების მანძილზე ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იყო პროფესორი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი.

ცხოვრობდა თბილისში. ვალდობდი მამულიშვილი, რომლის მკერდს ამშვენებდა ჯილდოები: ლენინის ორდენი (1946), „ნითელი ვარსკვლავის“ 2 ორდენი (1944, 1945), ალ. ნეველის ორდენი (1945), სამამულო ომის I ხარისხის ორდენი (1949) და მედლები, გარდაიცვალა 1982 წლის 15 დეკემბერს. დაკრძალულია საბურთალოს სასაფლაოზე.



მაიორი გერმანე კილასონია

გერმანე ვლადიმერის ძე კილასონია 1913 წელს დაიბადა ქ. ფოთში. 1935 წელს ნითელ არმიაში გაინვიეს. მისი თხოვნით, იგი გაიგზავნა ოდესაში, სამხედრო პილოტთა სკოლაში, რომელიც 1937 წელს დაასრულა.



დიდი სამამულო ომის ფრონტზე 1941 წლიდან იბრძოდა. ახალბედა პილოტმა პირველივე გაფრენებით გამოავლინა ორგანიზატორული ნიჭი და მალე მას რაზმი და მოიერშიეთა ჯგუფი ჩააბარეს.

მოსკოვისათვის ბრძოლაში, მონინაალმდეგის ცოცხალ ძალასა და ტექნიკაზე იერიშის გარდა, მან არაერთხელ შეასრულა სადაზვერვო დავალება. ერთ-ერთი ასეთი გაფრენის დროს ვოლოკამსკის შოსეზე აღმოაჩინა და გაანადგურა საბრძოლო კოლონა. მაშინ იგი დაჯილდოვდა სამამულო ომის მეორე ხარისხის ორდენით.

1944 წლის ოქტომბრიდან კაპიტანი კილასონია დაინიშნა 64-ე მოიერიშეთა საავიაციო პოლკის ხელმძღვანელად. აღმოსავლეთ პრუსიასთან ბრძოლებში არაერთხელ წაუყვანია მოიერიშეთა ჯგუფები საბრძოლო დავალებათა შესასრულებლად. 1945 წლის აპრილში ალექსანდრე ნეველის ორდენით დააჯილდოვეს.

ომის დასასრულისკენ მაიორ კილასონიას შესრულებული ჰქონდა 159 საბრძოლო გაფრენა, შედეგად გაანადგურა 4 ბარუი ჯარებითა და ტექნიკით, 6 ტანკი, 30 ქვემეხი, 73 ავტომანქანა, 5 ვაგონი, ასობით ჰიტლერელი, ააფეთქა იარაღის საწყობი.

ომი აღმოსავლეთ პრუსიაში დაამთავრა. მონაწილეობდა გამარჯვების პარადში, 1945 წლის 24 ივნისს.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1945 წლის 24 ივნისის ბრძანებულებით, მიენიჭა სსრ კავშირის გმირის წოდება. ასევე, დაჯილდოვდა ლენინის ორდენითა და მედლით „ოქროს ვარსკვლავი“.

1946 წელს ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სამსახურიდან გა-

დადგა. ცხოვრობდა განთიადში, მუშაობდა ლესელიძის სახელობის დასახელებული სახლის დირექტორად, გარდაიცვალა 1969 წელს.



მეამტომატი ნიკოლოზ ბერია

ნიკოლოზ ტიტეს ძე ბერია ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის 56-ე არმიის მეორე გვარდიული მსროლელთა დივიზიის მეექვსე პოლკის მეამტომატი იყო.

დაიბადა 1925 წელს სოხუმის რაიონის სოფელ ოდიშში, გლეხის ოჯახში. მიიღო დანყებითი განათლება, მუშაობდა კოლმეურნეობაში. წითელ არმიას 1943 წელს გაიწვიეს და ფრონტზე გაგზავნეს. ტამანის ნახევარკუნძულზე ბრძოლისას ნ. ბერია ორჯერ დაიჭრა, მაგრამ გამოჯანმრთელებისთანავე კვლავ მწყობრში ბრუნდებოდა.

ნ. ბერიამ განსაკუთრებით გამოიჩინა თავი ქერჩი-ელტიგენის ოპერაციის მსვლელობისას. 1943 წლის 2 ნო-

ემბერს ტყვეების ცეცხლის ქვეშ ქერჩის ნახევარკუნძულზე, სოფელ მაიაკის ახლოს ბერიას პოლკი გადასხეს. მეორე დღეს სამ მებრძოლთან: დიმიტრი გერასიმოვთან, მიხეილ პლეგარევთან და ნიკოლაი პოსტოკოვთან ერთად მონინაალმდეგის ოთხი კონტრშეტევა მოიგერია და პლაცდარმი შეინარჩუნა. გერმანელები მათ ბომბებს უშენდნენ, ახვედნენ ავტომატებისა და ქვემეხების ცეცხლის ალში, მაგრამ საბჭოთა ჯარისკაცებმა მათ შემოტევას გაუძლეს. ნიკოლოზ ბერია მძიმედ დაიჭრა, მაგრამ მაინც არ წყვეტდა სროლას. იგი ბრძოლის ველიდან უგონოდ გამოიყვანეს...

როცა დამხმარე ძალამ მოუსწროთ, პოზიციის წინ, რომელიც ოთხ საბჭოთა დესანტს ეკავა, ათობით გვამი ეყარა. ხოლო რამდენიმე მეტრის მოშორებით მდებარე გერმანელთა საავტომატე ნერტილზე, რომელსაც ბერიამ ყუმბარა სტყორცნა, როცა გერმანელებმა დანებება შესთავაზეს, ახლა მხოლოდ ყვავი ჩხაოდა. ნ. ბერია, დაჭრილი მამაცი მეომარი ზურგის ჰოსპიტალში წაიყვანეს.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, 1943 წლის 17 ნოემბრის ბრძანებით, საბრძოლო დავალების სამაგალითოდ შესრულებისთვის გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში და გამოვლენილი სიმამაცისა და გმირობისათვის გვარდიის წითელარმიელ ნიკოლოზ ბერიას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭა, ასევე, გადასცა ლენინის ორდენი და მედალი „ოქროს ვარსკვლავი“.

ომის შემდგომ ნ. ბერია ცხოვრობდა და მუშაობდა ქ. სოხუმში. გარდაიცვალა 1948 წელს ქერჩიში მიღებული ჭრილობების შედეგად.

ლარეჯან ანდრიაძე



„თბილისოს“ ტექსტის ავტორის 90 წლის იუბილე

(ექსკლუზიური ინტერვიუ პეტრე ბაგრატიონი-ბრუზინსკის მეუღლესთან)

მიმდინარე პოლიტიკურ ბატალიებზე ორიენტირებულ მოსახლეობას მხედველობიდან გამორჩა გამოჩენილი ქართველი პოეტისა და დრამატურგის — პეტრე პეტრეს ძე ბაგრატიონი-გრუზინსკის (1920 – 1984 წ.წ.) 90 წლის იუბილე. იგი გახლდათ დიდი ქართველი მონარქების, მათ შორის ერთიანი საქართველოს უკანასკნელი მეფის — გიორგი VIII-ისა და ქართლ-კახეთის მეფის — ერეკლე II-ის პირდაპირი შთამომავალი (მისი გენეალოგიური ხაზი მეფე ერეკლე II-დან მოყოლებული ასე გამოიყურება: ერეკლე II (1720-1798) — მეფე გიორგი XII (1746-1800) — უფლისწული ბაგრატი (1776-1841) — ალექსანდრე (1820-1865) — პეტრე (1857-1922) — პეტრე (1920-1984)).


შეგვიძლია წარმოვიდგინოთ, საბჭოთა საქართველოში ბაგრატიონების შთამომავალს თუ როგორ პირობებში უწევდათ ცხოვრება. საზოგადოების ძალიან მცირე ნაწილს თუ ეცოდინება, რომ მის მეუღლეს, ქალბატონ ლია (ლიკა) მგელაძეს აგვისტოში 85 წელი უსრულდება – იგი აქამდე არასდროს დათანხმებია რესპოდენტობას და ამჟამად გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს პ. ბაგრატიონი-გრუზინსკის ცხოვრების ერთგულ თანამგზავრსა და თანამოაზრესთან. განვილილმა წლებმა ბევრი ვერაფერი დააკლო მის გარეგნულ მშვენიერებასა და შინაგან, სულიერ სიმტკიცეს; საგულისხმოა, რომ ქალბატონ ლიკას ვესტუმრეთ და გავესაუბრეთ იმ ბინაში, სადაც მან თავის მეუღლესთან ერთად არაერთი ბედნიერი წელი გაატარა.

— დავიბადე 1925 წლის 19 აგვისტოს, მანგლისში. ჩემი მშობლები თბილისში ცხოვრობდნენ, მაგრამ იმ ზაფხულს მანგლისში იხვენებდნენ. დავამთავრე თბილისის I საცდელ-საჩვენებელი სკოლა, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი და II სა-მუსიკო სასწავლებელი. 1947 წლიდან ვმუშაობდი მუსიკის პედაგოგად. ამჟამად ვარ ქალაქის ესთეტიკური აღზრდის ცენტრთან არსებული საჯარო სკოლების მუსიკალური სტუდიების კურატორი. მყავდა ძმა — სერგო მგელაძე (1920-1941), რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა; მამა — დიმიტრი მგელაძე (1889-1979) იყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის პროფესორი. მამა მენშევიკურ მთავრობასთან ერთად გეგმავდა ემიგრაციაში წასვლას, მაგრამ ბოლო მომენტში სამშობლოში დარჩენა ამჯობინა. ამის გამო, საქარ-

თველოში არსებული რეჟიმისაგან მას გარკვეული პრობლემები ჰქონდა; დედაჩემი — ქეთევან მგელაძე (1898-1976) მუშაობდა ჯერ ბიბლიო-თეკაში, ხოლო შემდეგ მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში.

— როგორ გაიცანით ბატონი პეტრე?

— 1942 წელს, როდესაც საშუალო სკოლას ვამთავრებდი, მეგობრებთან ერთად, ზემელზე გავისეირნე. ჩემმა მეგობარმა, შემდგომში ცნობილმა ჟურნალისტმა ირაკლი გოცირიძემ წარმომიდგინა მალალი, შავთმიანი, ხმელ-ხმელი, სიმპათიური ჭაბუკი, რომელიც, როგორც შემდეგ გავიგე, თურმე თავად დაინტერესებულა ჩემი გაცნობით. — „პეტრე გრუზინსკი“ — ასე წარმიდგინა თავი. ეს სახელი უკვე გაგონილი მქონდა, რადგან მისი ლექსები ხალხში ხელნაწერის სახით ვრცელდებოდა და საკმაოდ დიდი პოპულარობითაც სარგებლობდა. ამის შემდეგ თანდათან დავახლოვდი, რაც 1944 წლის 14 სექტემბერს ჩვენი შეუღლებით დასრულდა.



პეტრე ბრუზინსკი

— რა თვისებები სჭარბობდა ბატონი პეტრეს ხასიათში? როგორი იყო მისი ყოველდღიური ცხოვრება?

— არაჩვეულებრივად თბილი, კეთილშობილი, მიმტევებელი, იუმორით სავსე, ახლობელ-მეგობრების მიმართ თავდადებული, შვილებისა და შვილიშვილების უზომოდ მოყვარული, მეუღლის პატივისმცემელი. გახლდათ ბოჰემური ცხოვრების მოტრფიალე, უყვარდა მეგობრების წრეში მოლხენა, სიმღერა, მოგზაურობა, ნადირობა, თევზაობა. ამასთან, იშვიათი შრომისმოყვარეობითაც გამოირჩეოდა. მართალია, პოეზიით სულდგმულობდა, მაგრამ სარსებო საშუალების მოსაპოვებლად სისტემატურად აკეთებდა დუბლაჟებს (თარგმანს) კინოფილმებისათვის. მანვე შექმნა არაერთი ლიბრეტო მუსკომედიისათვის. 1944 წლიდან 1945 წლის გაზაფხულამდე მუშაობდა ხაშურის სახელმწიფო თეატრის მთავარ რეჟისორად, ხოლო დაპატიმრების შემდეგ, სახელმწიფო სამსახურში აღარ ყოფილა.

— ბატონი პეტრეს სიყრმის მეგობარი, ან განსვენებული ირაკლი უგულავა თავის მოგონებაში წერს, რომ II მსოფლიო ომის პერიოდში რუსეთში მყოფს, თავისმა ნათესავმა თბილისიდან შეატყობინა: „ჟურმოკრული ამ-



ბავი უნდა გაცნობო, თბილისში დააპატიმრეს ახალგაზრდები, რომელთაც დარიალთან პურ-ღვინოთი გერმანელებთან შეხვედრა და შენი ძმაცაცის — პეტრე გრუზინსკის მეფედ კურთხევა განუზრახავთო“ (იხ.: ირაკლი უგულავა, „ამხანაგი“ ტახტის მემკვიდრე“, მოგონებები პეტრე გრუზინსკიზე, შემდგენელი იზა ორჯონიკიძე, თბ., 2004, გვ. 114).

რას გვეტყვიან ზემოხსენებულ მოგონებაში აღნიშნული ფაქტის შესახებ? ხომ არ გახდა ეს ბატონი პეტრესა და მისი მეგობრების დაპატიმრების მიზეზი?

— ასეთი ჭოროსათვის ყური მეც მომიკრავს, მაგრამ თვითონ პეტრესაგან მსგავსი არაფერი გამიგია. იმჟამად სსრ კავშირში არსებული რეჟიმის პირობებში, ეს ყოვლად შეუძლებელი გახლდათ, რადგან პეტრეს და მისი მეგობრების, ისევე როგორც ქართული სამღვდელთა თითოეული ნაბიჯი — უშიშროების კომიტეტის კონტროლქვეშ იმყოფებოდა. პეტრეს ახლობელ-მეგობართა წრეში, ბუნებრივია, იყვნენ როგორც ღირსეული პიროვნებანი, ასევე უშიშროების მიერ საგანგებოდ შეგზავნილი პროვოკატორებიც, რომლებიც მოგვიანებით გაიმიჯნენ.

მათი დასახელებისაგან თავს შეგნებულად ვიკავებ, ღმერთმა აპატიოთ ჩადენილი დანაშაული... შესაძლებელია, რომელიმე ნაცნობმა პეტრეს კიდევაც ჩამოუგდო საუბარი საქართველოში გერმანული არმიის შემოჭრის შემთხვევაში (რაც მაშინ გამოირიცხული არ იყო) მისი მეფედ კურთხევის პერსპექტივაზე, მაგრამ ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ეს ნამდვილად არ გამხდარა მისი დაპატიმრების მიზეზი. ამას გარდა, პეტრეს ჰუმანური ბუნებისათვის აბსოლუტურად მიუღებელი იყო თანამშრომლობა ნებისმიერი სახის ტოტალიტარულ რეჟიმთან, იქნებოდა ეს ნაციისტური თუ საბჭოური.

— მაშ, რა იყო თქვენი მეუღლის დაპატიმრების რეალური მიზეზი?

— II მსოფლიო ომის პერიოდში პეტრემ მეგობრებთან ერთად დააარსა არაფორმალური ლიტერატურული წრე, რომელიც უშვებდა ხელნაწერ ჟურნალს სახელწოდებით „ანათემა“. იქ ხშირად თავსდებოდა წრის წევრთა და მათ შორის პეტრეს ლექსებიც, რომლებიც თავიანთი შინაარსით არ ჯდებოდა იმდროინდელ სსრ კავშირში იძულებით დანერგილი „სოციალისტური რეალიზმის“ ჩარ-

ჩოში. როგორც ჩანს, იმდროინდელი ტოტალიტარული რეჟიმისათვის არასასურველი აღმოჩნდა თუნდაც ასეთი არაპოლიტიკური, მაგრამ მანაც თავისუფლად მოაზროვნეთა წრისა და ჟურნალის არსებობაც.

მათთვის განსაკუთრებით მიუღებელი აღმოჩნდა პეტრეს ერთ-ერთი სატრფიალო ლექსი, დაწერილი 1944 წელს, რომელიც ასე იწყებოდა: **„დღეს ბაგრატიონს აღარ მარტყია მეფე ერეკლეს პირბასრი ხმალი“**. სწორედ ეს სიტყვები ჩაუთვალეს მას დანაშაულად, რაც გახდა აღნიშნული წრის წევრების დაპატიმრების მიზეზი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ წრის წევრები გრძნობდნენ იმ საშიშროებას, რაც მათ ელოდათ, რისი დასტურიც არის ერთ-ერთი პოეტი ქალის სტრიქონები, დაწერილი დაპატიმრებამდე სულ რამდენიმე დღით ადრე: — „ჩვენ ამ საღამოს დაგვიჭერენ, მაგრამ რა ვუყოთ, იქაც ფარული ბორკილები ხომ არ გვედება!“. ეს სამწუხარო წინასწარმეტყველება — 1945 წლის 23 მარტს ახდა!

— როგორ იწერებოდა მისი ლექსები, რომლებზედაც შემდეგში შესანიშნავი სიმღერები შეიქმნა?

— საკმაოდ საპოეტანურად. მაგალითისათვის კმარა თუნდაც სახელგანთქმული სიმღერის „თბილისოს“ ტექსტის დაწერის ისტორია, რომლის მომსწრეც თავად გახლავართ. ეს ტექსტი პეტრემ, განუყრელი მეგობრის, რევაზ ლალიძის მიერ უკვე დაწერილი მუსიკისათვის სულ რამდენიმე წუთში შექმნა. ეს მისი ნიჭიერების დასტური იყო, მაგრამ საერთოდ, ის უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებოდა სამუსიკო ტექსტების შექმნის საკითხს. საკუთარ ლექსებს თავისი ხელით არ წერდა, მათ ჯერ მე მიკითხავდა, ხოლო შემდეგ ქალაქზე გადაამქონდა. მისი არაერთი ლექსი ჩაინერა ლიტერატურული მუზეუმის თანამშრომელმა სულიკო კობიძემაც.

— რომელ ქართველ კომპოზიტორებთან მეგობრობდა ბატონი პეტრე?

— რევაზ ლალიძე, გოგი ცაბაძე, სულხან ცინცაძე, შოთა მილორავა, სულხან ნასიძე, კონსტანტინე პევზენერი, იაკობ ბობოხიძე, ჯანსუღ კახიძე და სხვები. პეტრეს მეგობართაგან დღეს ცოცხლები არიან: ბიძინა კვერნაძე, გაა ყანჩელი, ნუნუ დუღაშვილი, გიორგი კალანდაძე და სხვები...

— ვინ წარმოადგენდა ბატონი პეტრეს იდეალს, რა იყო მისი მთავარი ოცნება?

— ქართველი მეფეებიდან იგი გა-



ლია გგელაშვილი

მორჩეულ პატივს მიაგებდა დავით აღმაშენებელს, თამარს, გიორგი ბრწყინვალეს, ერეკლე II-ს, ხოლო პოეტებიდან — ვალაკტიონ ტაბიძის, გოგლა ლეონიძის, სერგეი ესენინის შემოქმედებას... მეგობრობდა არაერთ მწერალთან, ხელოვანთან, მათ შორის კოტე მარჯანიშვილის თეატრის რეჟისორთან ვასო ყუშიტაშვილთან, რომელთანაც ნაყოფიერად თანამშრომლობდა. პეტრე ოცნებობდა ეხილა აყვავებული საქართველო, ბედნიერი ქართველი ერი...

— ტახტის მემკვიდრის მეუღლეობა და თანამოაზრობა ადვილი არ იქნებოდა...

— ნამდვილად არ იყო ადვილი. მისი ბოჰემური ცხოვრების რიტმის აყოლა, რომელსაც მუდამ ვცდილობდი, ჩემგან ძალიან დიდ ძალისხმევას და ენერჯიას მოითხოვდა, მაგრამ ყოველივე ეს შემადლებინა ჩვენმა დიდმა სიყვარულმა.

— რას გვეტყვიან თქვენს შთამომავლებზე?

— მყავს ორი შვილი — ნუგზარ და მზია ბაგრატიონი-გრუზინსკები, ორი შვილიშვილი — ანა და მაია, ოთხი შვილთაშვილი — თეიმურაზი, ანა, ირინა და მარიამი. მათთან ურთიერთობა ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა.

— რას ურჩევდით თანამედროვე ქართველ ახალგაზრდებს?

— დაენაფონ ცოდნას, გაეცნონ ქართველი კლასიკოსი მწერლების ნაწარმოებებს, უყვარდეთ თავიანთი სამშობლო!

ირმა ვარსიამაშვილი



ვიქტორ სანაევი — გზა სოსხვიდან ავსტრალიაში

ლეგენდარული მსტომელი ვიქტორ სანაევი, მიუხედავად იმისა, რომ სამ ოქროს ოლიმპიურ მედალს ფლობდა, 90-იან წლებში სამსახურის გარეშე აღმოჩნდა. მან დახმარებისთვის მიმართა პრიმო ნებოლოს, მსუბუქი ათლეტიკის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს. ან განსვენებულმა იტალიელმა მოულოდნელად წამოიძახა: „ღმერთო ჩემო, იმ დიდებისათვის და სახელისათვის, რაც შენ, ვიქტორ, შენს ქვეყანას მოუტანე, მილიონები უნდა გადაგიხადონ“.

საბჭოთა სპორტსმენი (მსუბუქი ათლეტიკა), სპორტის დამსახურებული ოსტატი ვიქტორ დანიელის ძე სანაევი დაიბადა ქალაქ სოსხვში 1945 წლის 3 ოქტომბერს. დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი, თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტი, არის სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი სამმაგ ხტომაში (1968, 1972, 1976), ოლიმპიადა-80-ის ვერცხლის პრიზიორი, ევროპის ჩემპიონი 1969 და 1975 წლებში, დახურულ შენობებში კონტინენტის მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი, 1968-1975 წლების მსოფლიო რეკორდსმენი.


მეხიკოში 1968 წელს პირველ ოლიმპიადაზე ვიქტორი ამაზე არ ფიქრობდა. მისი მოწინააღმდეგეები იყვნენ ძლიერი და პატივმოყვარე სპორტსმენები, რომლებიც დედამინის ყველა კუთხიდან ჩამოფრინდნენ ოლიმპიადაზე. იუზეფ შმიდტი ჩამოვიდა მსოფლიო რეკორდსმენის რანგში. 1960 წლიდან იგი მსოფლიოში ერთადერთ მსტომელად ითვლებოდა, რომელმაც 17-მეტრიანი ზღვარი სამმაგ ხტომაში მოხსნა.

ვიქტორ სანაევი იგონებს: „ჯუზეპე ჯენტილემ გააუმჯობესა მსოფლიო რეკორდი 10 სანტიმეტრით. რა იქნება მომავალში? მე და ჩემი მწვრთნელი კესელიანი ჭადრაკს ვთამაშობდით, ხოლო სსრკ-ის ნაკრების მწვრთნელი კრეერი ჩვენს ბოლთას სცემდა და გვიმტკიცებდა, რომ ჯუზეპე ყველას გადაუსწრებდა და ყველაფერი თავის ადგილზე დადგებოდა. ამდენად, ნერვიულობა სრულიად ზედმეტი იყო და გამარჯვებაზე ფიქრიც არ ღირდა.“

მე არ ვნერვიულობდი. ვეჭვობდი, რომ ჯუზეპე ვერ გადაუსწრებდა, და, თუ შეძლებდა ამას, სხვებიც გამოჩნდებოდნენ მასზე უკეთესები. და რომ ეს იყო დასაწყისი...

მიუხედავად ყველაფრისა, ვიცოდი, რომ ამ ოლიმპიადაზე მე ჩემი მისია უნდა შემესრულებინა და გამეკეთებინა მაქსიმალურად ყველაფერი. ვხედავ, იტალიელი ჩემი გუშინდელი რეკორდსმენი კვლავ რეკორდსმენია (17,22). მას მოსდევს ბრაზილიელი პრუდენსიო (17,05)...

და აი, ჩემი მესამე ცდა — მივრბივარ, ვხტები და 17,23 — კვლავ ახალი



ვიქტორ სანაევი
1980 წლის ოლიმპიადაზე



1972 წლის ოლიმპიადაზე

მსოფლიო რეკორდი. მთელი სტადიონი ღრიალებს. მე კი ველოდები, რა იქნება შემდეგ. პირველი ვინ გაჩერდება? პრუდენსიო გამოდის სტარტზე. დიდხანს ემზადება, ერთი შეხედვით, მშვიდია, იწყებს გარბენს და 17,27 — მსოფლიო რეკორდი მოხსნილია.

აქ რაღაც ხდება. იტალიელი ჯენტილე უცებ რაღაცნაირად მოიწყენს, ამერიკელი უოკერი ვერანაირად ვერ უკეთებს თავს მობილიზებას, ვიღაც ნერვიულობს, ვიღაც ნერვიულობისაგან ფეხებს ვერ იმორჩილებს, ვიღაც ამბობს, რომ ამ მანძილს (17,27) ვერავინ გააუმჯობესებს.

...მე მაქვს ბოლო ცდა და პრუდენსიოს შედეგი — 17.27. ეს ბევრია, ძალიან ბევრი, მაგრამ მაინც უნდა გადავხტე. უცნაური შეგრძნება მაქვს. ირგვლივ ყვირიან. მე კი შინაგანად მშვიდად ვარ. ცივი გონება მკარნახობს: ფეხები სიმებივით ელასტიური უნდა მქონდეს. გავიქეცი...

უკვე ამოდიან ორმოდან და მაყურებელთა ყვირილის მიხედვით ვხვდები, რომ შედეგი გაუმჯობესებულია, მაგრამ რამდენით? — 17,39.

ყველაფერი ისე იყო, როგორც სიზმარში. ყვიროდნენ, მხარზე ხელს მირტყამდნენ, მილოცავდნენ, მკოცნიდნენ... მე კი ჩუმად ვიყავი. ტუჩები გამიშრა. რომ გავიმარჯვე ვიცოდი, მაგრამ მისი მნიშვნელობა ჯერ არ მქონდა გაცნობიერებული...”

წინ კიდევ სამი ოლიმპიადა ელოდა. საბჭოთა მსუბუქ ათლეტიკაში არც თუ ისე ცოტა იყო ლეგენდარული და გამოჩენილი სპორტსმენი, მაგრამ მათ შორისაც განსაკუთრებით გამორჩეული იყო სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი და ოლიმპიადა-80-ის ვერცხლის პრიზიორი სამმაგ ხტომაში ვიქტორ სანევი.

ბევრი დღესაც გაცხებულა სანევის სპორტული უზუცესობით. მის ცხოვრებაში განსაკუთრებით წარმატებული იყო პერიოდი 1968 წლიდან 1972 წლამდე. 5 წელიწადში მან მოიგო 90 ტურნირი და დაამყარა სამი მსოფლიო რეკორდი. ყველაზე ძვირფასი ჯილდო კი არის მეხიკოს ოქროს მედალი. იმ ასპარეზობას ბადალი არ ჰქონია. იტალიელმა ჯენტილემ, ბრაზილიელმა პრუდენსიომ და ვიქტორ სანევიმ დაამყარეს 5 მსოფლიო რეკორდი სამმაგ ხტომაში, რაც შემდეგ არცერთხელ არ განმეორებულა. ბოლო ოლიმპიადა, რომელშიც მან მონაწილეობა მიიღო, ჩატარდა მოსკოვში 1980 წელს. სანევიც ლუჟნიკების სტადიონზე ოლიმპიური ცეცხლის ტარების პატივი ერგო.

ფორტუნას მაშინ მისთვის ზურგი რომ არ შეექცია და ის ოლიმპიადის ოქროს პრიზიორი ამჯერადაც რომ გამხდარიყო, სანევი იქნებოდა მეორე სპორტსმენი მსოფლიოში, რომელსაც ექნებოდა ოლიმპიური თამაშების ოთხგზის ჩემპიონის ტიტული. რას იზამ? არც ვერცხლის ოლიმპიური მედალია ცუდი ჯილდო 34 წლის ვეტერანისათვის. „ვერაფრის მტკიცებას ვერ დავინწყებ. — იგონებს სანევი, — რომ არ ყოფილიყო შემხვედრი ქარი, ჩემი შედეგი ბოლო ცდაზე უკეთესი იქნებოდა. შესაძლოა, საკმარისი ყოფილიყო იგი „ოქროსთვის“, რომელიც საბოლოო შედეგით დამსახურებულად მიიღო იაკ უუდმიაემ“. იგი და იაკომი დიდი მეგობრები არიან დღესაც. ამის ნათელი დასტურია ის, რომ ვიქტორ სანევის 60 წლის იუბილეს, რომელიც მას 2006 წელს საქართველოში, თბილისში გადაუხადეს, ისიც ესწრებოდა. სპორტსმენი ხელჯოხს ხმარობდა. „პირველი ნაბიჯის შემდეგ სამმაგ ხტომაში დატვირთვა ფეხზე 800 კილოგრამამდე აღწევს. ამდენი წელი



ცამეტი წლის განმავლობაში სანევი იყო მსოფლიო ლიდერი სამმაგ ხტომაში

სპორტში წარმატებების მოპოვებას უკვალოდ არ ჩაუვლია. კარგა ხანს მანუხებდა კუნთები და მუხლი. მომინევს ოპერაციის გაკეთება“, — აღნიშნა მან. ლეგენდარული სპორტსმენი თბილისში მეუღლესთან — იანა ხვარცკაიასთან ერთად ჩამოვიდა, რათა აქ, სამშობლოში აღენიშნა თავისი 60 წლის იუბილე, მონატრებულ თბილისში. სპორტსმენმა დიდი სიყვარულითა და სინანულით გაისხენა დიდმის მასივში, 14-ე სართულზე თავისი მყუდრო ბინა და კეთილი მეზობლები, ასევე სოხუმი, სადაც დაიბადა და გაიზარდა, სადაც დარჩა მისი ახლობლები და მწვრთნელი აკოპ კერსელიანი. არც თავისი თეთრი ვოლგა „გაზ-21“ დავინყვებია, რომელსაც ამშვენებდა „გაიშნიკების“ ნაჩუქარი ნომერი — 17-39 (სანევის მსოფლიო რეკორდი). 1990-იან წლების დასაწყისში მას არჩევანის უფლება არ ჰქონდა. უმუშევარსა და უსახსროდ დარჩენილს სხვა გზა არ დარჩა, მეუღლესთან და 15 წლის ვაჟთან ერთად გაემგზავრა ავსტრალიაში, სადაც ჰპირდებოდნენ მეფურ ანაზღაურებას, რაც მაშინ თვიურად 900 დოლარს შეადგენდა. ის მიდიოდა როგორც ფიზკულტურის მასწავლებელი კერძო კოლეჯში სამუშაოდ. კოლეჯის შემდეგ, როგორც თავად ამბობს, „გაიზარდა“ და სპორტის ინსტიტუტში გადაინაცვლა, მაგრამ იყო მომენტები, როცა კონტრაქტის ამონაწერს შემდეგ,

უმუშევარი რჩებოდა და მაშინ რთული იყო თავის გატანა. ერთხელ მან გაზეთშიც კი მისცა განცხადება, თავისი ოლიმპიური ჯილდოების გაყიდვის თაობაზე, რათა ოჯახი გამოეკვება. მაქსიმუმ, რაც მას შესთავაზეს მაშინ ოლიმპიურ ოქროში, იყო 5 ათასი დოლარი. კიდევ კარგი, დროზე მოეგო გონს. სწორედ ასეთ დროს მოუხდა მას პიცის დამტარებლად მუშაობა და მისი ჯილდოები გაყიდვას გადაურჩა. მერე ისევ იშოვა სამსახური სპორტის ინსტიტუტში, მაგრამ საქმე ის არის, რომ ავსტრალიაში მსუბუქი ათლეტიკა დიდი პოპულარობით არ სარგებლობს. იქ საზოგადოების ყურადღება გადატანილია ცურვაზე, რაგბსა და ჩოგბურთზე. ამდენად, ადვილი არ იყო ახალგაზრდების დაინტერესება მსუბუქი ათლეტიკით. მიუხედავად ამისა, სანევიმ ავსტრალიაში შეძლო ქვეყნის ჩემპიონატის ორი პრიზიორის მომზადება. ამჟამად იგი სიდნეიში ცხოვრობს. მისი მეუღლე პროფესიით ექიმი და წმიდა გიორგის ჰოსპიტალში მუშაობს, ვაჟი სანდრო კი საავტრო ფირმის მენეჯერია. ვიქტორ სანევიც სამშობლოში დაბრუნების სურვილი დიდა აქვს, მაგრამ ავსტრალიაში სახლის, სამსახურის დატოვება და მხოლოდ ცარიელი იმედებით დაბრუნება, ცოტა არ იყოს, უმძიმს.

დარეჟან ანდრიაკი

გაუა-ფშაველა

კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი

ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტიცაა ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტიცაა. როგორ? ასე, — რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას. თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე, ცალკე ერების აღზრდა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფს; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერჯია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის საღაროში...

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალ-ღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ მისი შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გემულობს. შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკებება დღესაც. ეგრეთვე სერვანტესი, გოეთე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმე-

თათვის იღვწოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზრდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მამსადაამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო — მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთა ნაწარმოებნიც უფრო სარგები და შესაფერებელია ეროვნულ ნიადაგზე. „ჰამლეტით“, „მეფე ლირით“ ვერც ერთი ქვეყნის შვილი ვერ დასტკებება ისე, ნამეტნავად თარგმანით, როგორც თვით ინგლისელი, რომელიც ინგლისურს ენაზე კითხულობს ამ ნაწარმოებთ. შორს სად მივდივართ? ნუთუ სხვა ქვეყნის შვილი ისე დასტკებება „ვეფხისტყაოსნით“ და ისე გაიგებს მას, რაც უნდა კარგი თარგმანი წაიკითხოს, ან თუნდაც კარგად იცოდეს ქართული ენა, როგორც თვით ქართველი? — არასდროს. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს, აქვს საკუთარი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება...

**მეხნიარება და გენიოსები
გენისნიან გზას
კოსმოპოლიტიზმისაჲნ,
მაგრაჲ მსოფლდ
პატრიოტიზმის,
ნასიონალიზმის მეოხებით.
განავითარათ ყოველი ერი
იქამდის, რომ ქარგად
ესმოღეს თავისი
ეკონომიური, პოლიტიკური
ფეოდალიზმი, თავის
სოციალური ყოფის
აპკარბი, მოსკათ**



**ღვანულაი ეკონომიური
უკუღმართობა და,
უაჭველი, მამინ მოისკობა
ერთისაგან მეორის
ჩასანთქველად
მისწრაფება, ერთმანეთის
რბაჲ, ომები, რომელის
ღვან გააფაგებულია
ღვანების ზურგზე.**

პატრიტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ქვეყანამყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ. არის დედაენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავ ნამიდანვე, როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას, გარდა ჰაერისა, სადგომ-სანოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე — საზრდოდ, ნანა — მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ



არის დასაბამი პატრიოტიზმისა. ყმანვილი იმ თავიდანვე მჭიდრო კავშირს იმათთან ჰგრძნობდა, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია, — ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა, და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობენ თუ მღერიან. თავის სოფლელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი შვენიერებად მიაჩნია. თავისი სოფლელი, თუნდაც უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეჰხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს. ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი, მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულია და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე. რატომ? — იმიტომ: ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა უნდა ჰყავდეს! თუ ვინმე იტყვის



ვაჟა-ფშაველა ოჯახთან ერთად

ამას, ყველა ერები ერთნაირად მიყვარსო, — სტყუის, თვალთმაქცობს: ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშეშობილი. სამონყალეო სახლში აღზრდილი ბუშიც კი, რომელსაც, შეიძლება, ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელსა-მე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს თავის სამშობლოდ...

**პატრიოტიზმი უფრო
გრძნობის საქმეა, ვიდრე
ჭკუა-გონებისა, თუმცა
კეთილგონიერება მუდამ
ყოფილა და არის მისი
მათაყვანებელი და
პატივისცხველი.
კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ
ჭკუის ნაყოფია, ადამიანის
კეთილგონიერებისა, მას
ადამიანის გულთან საქმე
არა აქვს, იგი საღსარიან იმ
უბედურების
ასახილავლად, რომელის
დღეამდის მთელს
ქანობრიობას თავს
დასტრიალებს.**

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს:

გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვანე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მონინავე ერებს.

ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნევლად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. მაშინ მთელმა კაცობრიობამ უნდა უარჰყოს თავისი თავი. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თავად იყოს თავისთავის პატრონი, თითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარის ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა.

1905 წ.



ვაჟა-ფშაველას საფლავი მთაწმინდის პანთეონში

რუსები და ქართველები ჩვენს პატრიარქებზე უნდა გამოაღვიძრონ

რუსულ-ქართული ურთიერთობები უკეთესის სურვილს გვიტოვებს. იმაში, რაც ხდება, რელიგიურ ფაქტორს ბოლო როლი ნამდვილად არ აკისრია. საქართველოში მართლმადიდებლების მდგომარეობის თაობაზე მიხეილ სააკაშვილის მმართველობის პერიოდში „ინტერფაქს-რელიგიის“ კორესპონდენტს იანა ამელინას ესაუბრება ევრაზიის თბილისის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პოლიტიკურ მეცნიერებათა დოქტორი გულბაათ რცხილაძე.

— არც თუ ისე დიდი ხნის წინათ ერეკლე დეისაძის წიგნ „საიდუმლო სირობის“ გამო შეურაცხყოფილ მორწმუნეთა მიერ გამოხატულმა აღშფოთებამ აიძულა საქართველოს საპატრიარქო, მიემართა ქვეყნის ხელმძღვანელობისთვის მოწოდებით, მიეღოთ კანონი, რომელიც დაიცავდა მოსახლეობას უხამსობისაგან, დაიცავდა პიროვნებისა და საზოგადოების ღირსებას, რელიგიურ გრძობას. ამ წიგნის გამოჩენა გამიზნული პროვოკაციაა თუ სიტყვისა და სინდისის თავისუფლების გამოვლენა, რომელთა „კრელიკალების თავდასხმისგან“ დაცვა აუცილებელია?

— ამგვარი ე.წ. წიგნის გამოჩენა, რომელსაც სინამდვილეში უფრო შეურაცხმყოფელი სახელი ჰქვია, ვიდრე ჩამოვყალიბეთ, შორიდან ჩანს, როგორც მცირეწლოვანი ავტორის საკმაოდ ნარმატიული მცდელობა — მიიქციოს საზოგადოების ყურადღება და იზოვოს ფული. პოლიტიკური პროვოკაცია კი ისაა, რომ ამგვარი ბინძური წიგნუკა იმავე გამომცემლობაში დაიბეჭდა, რომელიც გამოსცემს სასკოლო წიგნებს; თანაც მისი პრეზენტაცია სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა, რომელიც დიდი ქართველი მწერლის, ნმ. ილია განმანათლებლის ილია ჭავჭავაძის სახელს ატარებს. ბუნებრივია, რომ საქართველოს საპატრიარქომ რეაგირება მოახდინა. ცუდი ის არის, რომ ჩვენს საზოგადოებას ძალა არ შესწევს, დაიცვას მორალისა და ღირსების დაუნერვლი კანონები და ამორალურის ფორმალური აკრძალვებით შემოიფარგლება.

— როგორ განვითარდება საქართველოში წინააღმდეგობა მმართველ ულტრალიბერალურ უმცირესობასა და მართლმადიდებელ უმრავლესობას შორის? ამ კონფლიქტის განვითარებაში როგორია შიგა ძალების როლი?

— ნომინალური დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ძალიან მალე საქართველო იქცა უცნაურ ექსპერიმენტთა ველად, რომელთა ინტენსივობა შესამჩნევად გაიზარდა ხელისუფლებაში „ვარდების რევოლუციონერთა“ მოსვლის შემდეგ. საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ 2003 წლის „რევოლუციის“ უკან დასავლეთის გავლენიანი ძალები იდგნენ. „ვარდების“ ეიფორიაში ჩართეს რუსეთიც, რომელიც მხოლოდ მოგვიანებით გამოფხიზლდა და დაიწყო პოსტსაბჭოურ ტერიტორიაზე „ფერადი რევოლუციების“ კრიტიკა. ბოლოსდაბოლოს ნათელი გახდა, რომ დასავლეთის პროექტები ყველგან ჩაფლავდა — მოლდოვაში, ბელორუსში, სომხეთში, აზერბაიჯანში, უზბეკეთში, უკრაინაში, ყირგიზეთში — მოკლედ, ყველგან, საქართველოს გარდა. „ვარდისფერი“ ხელისუფლება, ყველაზე ადრე განხორციელებულ „ფერად“ პროექტებს შორის, დიდი ძალისხმევით, მაგრამ მაინც შენარჩუნდა (ამჯერადაც დასავლეთის თანადგომით).

ეს ხელისუფლება დამჯერი და ქედმოხრილია თავისი დასავლელი, უფრო სწორად, ამერიკელი ბოსების წინაშე. ამასთან, იგი ეფექტურად თრგუნავს თავისი ხალხის ნებას, ანგრევს ოპოზიციას და საკუთარ კაპრიზებს თავს ახვევს მთელ ქვეყანას, და ამით „გარდაქმნის“ მას. ამ ჯაჭვის რგოლს წარმოად-

გენს, ასევე, არა მარტო ეკლესიაზე თავდასხმა, არამედ — თვით მართლმადიდებლურ რწმენაზე. ლოგიკურია, რომ მას შემდეგ, რაც დაგროვდა ვნება და ერთ-ერთ ტელეარხზე მოხდა ჩხუბი „ლიბერალბისა“ და ახალგაზრდა მართლმადიდებლებს შორის (დეისაძის წიგნის განხილვასთან დაკავშირებით), აშშ-ის საელჩომ საქართველოში საჭიროდ ჩათვალა, გამოსულიყო „სიტყვის თავისუფლების“ დასაცავად და ცალსახად განესაჯა მართლმადიდებლური მოძრაობის აქტივისტები.

ამ კონფლიქტის წარმოშობასა და განვითარებაში გარე ძალების მონაწილეობა ეჭვს არ ბადებს. თუკი ქართული ეკლესია მხოლოდ მინავლებული განცხადებებითა და მოწოდებებით შემოიფარგლება საპატრიარქოს ადმინისტრაციული შენობის კედლებში, მაშინ ქუჩაში პროტესტის გამომხატველ მართლმადიდებლებს კვლავაც ციხეში ჩასვამენ, საზოგადოება კი შეეგუება იმას, რომ ქვეყანაში არსებობს პრივილეგირებული კასტა „ლიბერალებისა“, რომლის წარმომადგენლები სიტყვის თავისუფლების დევიზით კვლავ შეურაცხყოფენ ქართველი ხალხის საკრალურ საფუძვლებს და სასწავლო დაწესებულებებში დანერგავენ თავიანთ შეხედულებებსა და იდეებს. საგანმანათლებლო სისტემა ხომ, ისევე, როგორც მთელი ქვეყანა, მათ ხელშია. ძნელია იმის თქმა, შერჩათ თუ არა ქართველ ხალხსა და ეკლესიას შინაგანი სულიერი ძალები, სულიერი ენერჯია წინააღმდეგობისათვის და გამარჯვებისათვის.

— შეიძლება თუ არა საუბარი მართლმადიდებელთა პოზიციის რადიკალიზაციაზე, როცა მათ რელიგიურ გრძობებს ღიად შეურაცხყოფენ და იმ ადამიანთა რაოდენობის გაზრდაზე, რომლებიც მართლმადიდებლური ცხოვრების წესით ცხოვრობენ? თუ აპოსტასია (რწმენისგან განდგომა) ხელისხელჩაკიდებული მიაბიჯებს გლობალიზაციასთან ერთად და ათეისტ-



საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი

თა იდეებს უფრო და უფრო მეტი თანაგრძნობა აქვს?

— შემიძლია დაბეჯითებით ვამტკიცო, რომ უკანასკნელ ხანს დასავლეთისადმი ქართველთა ნეგატიური დამოკიდებულება (და ეს ფაქტია) გარკვეულწილად უკავშირდება საქართველოს ხელისუფლების რელიგიურ პოლიტიკას, რომელიც უზრუნველყოფს უცხოური სექტებისა და სხვა არამართლმადიდებლური კონფესიების თავისუფალ საქმიანობას მართლმადიდებლობის საზიანოდ. ამ პოლიტიკის დასამკვიდრებლად ხელისუფლება ეყრდნობა „საერთაშორისო სტანდარტებს“, „დასავლეთის დემოკრატიას“, „დასავლურ ღირებულებებს“, „ცივილიზირებულ სამყაროს“ და სხვ. სწორედ ეს ინვესტირებას საზოგადოების გარკვეულ ნაწილში. მაგრამ ყველაფერ ამას ჯერჯერობით ვერც იმ ადამიანთა რაოდენობის ავტომატურად გაზრდა მოჰყვება, რომლებიც მართლმადიდებლურად ცხოვრობენ, და ვერც აპოკალიფსის დადგომა.

რაც შეეხება ათეისტებს, მათი ე.წ. ლიბერალებთან გაიგივება არ შეიძლება. წესიერი ათეისტები, „ლიბერალებისგან“ განსხვავებით, გაგებით ეკიდებიან და აღიარებენ მართლმადიდებლობისა და ტრადიციების გრანდიოზულ მნიშვნელობას სახელმწიფოსა და ხალხის გადარჩენისათვის, მისი დამოუკიდებლობისათვის, მისი სახისათვის... ასე, მაგალითად, ახლახან ევრაზიის ინსტიტუტმა, ერეკლე მეორის საზოგადოებამ, ახალგაზრდულმა მართლმადიდებელურმა მოძრაობამ „წინ“ ჩაატარეს ქუჩის აქცია ციხეში გამომწყვდეული ქართული მართლმადიდებლური მოძრაობის 7 აქტივისტის მიმართ (ტელეეთერში მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით) სოლიდარობის ნიშნად. აქცია არ ყოფილა ხალხმრავალი, მასში არ მონაწილეობდა არც ერთი სასულიერო პირი. როგორც ჩანს, საზოგადოება და ეკლესია ჯერ მზად არ არიან აქტიური მშვიდობიანი პროტესტისათვის. სამაგიეროდ, მოვიდნენ კომუნისტური პარტიის ხანდაზმული წარმომადგენლები, ასევე, პუბლიცისტი — თემურ მირიანაშვილი, რომლებიც არ თვალთმაქცობდნენ და, პოსტსაბჭოური მოდის მიბაძვით, თავს არ აცხადებდნენ მორწმუნეებად ან აგნოსტიკოსებად, არამედ გულწრფელად წარმოგვიდგებიან ათეისტებად. ისინი მხარს უჭერდნენ ჩვენს მიმართვას პატრიარქ ილია მეორესადმი, რათა ეკლესია მომავალში

უფრო აქტიურად დაინტერესდეს ამგვარი პატიმრების ბედით.

— „თავისუფლების ინსტიტუტი“, რომელიც რეკლამას უკეთებდა დეისადის ნიგნს, უკვე რამდენჯერმე გამოვიდა ანტიქრისტიანული განცხადებებით. რამდენიმე წლის წინათ იგი მოითხოვდა საკონსტიტუციო შეთანხმების გადახედვას სახელმწიფოსა და ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას შორის საქართველოში. თქვენი აზრით, რამდენად სწორია, რომ XXI საუკუნეში რელიგიური სტრუქტურა ასეთ უფლებას იღებს? პასუხობს კი კონკორდატი თანამედროვეობის მოთხოვნებს?

— ჩემი შეხედულებით, მთლად არ პასუხობს. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩემი პოზიცია სეკულარულ-ლიბერალური შეხედულებებიდან გამომდინარეობს. პირიქით, მე მივიჩნევ, რომ კონკორდატი არსებული სახით შეუთავსებელია თანამედროვეობასთან მხოლოდ იმიტომ, რომ ის, სულ მცირე, აძლიერებს მართლმადიდებლური სარწმუნოების პრიორიტეტულობას, ყურადღებას ამახვილებს რა ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობაზე. მაგრამ ეკლესია, როგორც ორგანიზაცია და ქრისტიანობა, როგორც სწავლება, ერთი და იგივე არაა.



ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მოძებნა მარტივი და ყველაზე ეფექტური საშუალება მართლმადიდებლობასთან ბრძოლისა. ის ზრუნავს ეკლესიის მატერიალურ ნახალისებაზე: ურიცხავს საბიუჯეტო სახსრებს, არ ახდევინებს გადასახადებს, უყოფს მიწებს ტაძრების ასაშენებლად, ზოგჯერ მაღალი რანგის საეკლესიო პირებს ჩუქნის ძვირფას „ჯიპებს“ და ა.შ. ამით ხელისუფლება სახელმწიფოში მართლმადიდებლობის პრიორიტეტულობის ილუზიას ქმნის და ამით ადუნებს როგორც საზოგადოების, ისე საკუთრივ ეკლესიის ყურადღებას. ხოლო ძირითად საკითხში — მართლმადიდებლობის პრიორიტეტულობის განმტკიცებაში — სახელმწიფოს მხრიდან არა მარტო არაფერი კეთდება, პირიქით, ხდება „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და მისი მსგავსი ორგანიზაციების პროვოკაციული გამოხდომების ნახალისება, რომლებიც დასავლეთიდან ფინანსდებიან. საქართველოში უნდათ მართლმადიდებლობის ჩაკეტვა რიტუალიზმის ფარგლებში, მისთვის რეალური შინაარსის გამოცლა და ხალხის ცხოვრებაში მისი ადგილის დაკნინება.

— საქართველოს ხელისუფლების „სამზარეულოში“ კარგად ჩახედული ხალხი დარწმუნებულია, რომ პრეზიდენტ სააკაშვილის გარემოცვა, ისევე, როგორც თვითონ, არა მხოლოდ ურწმუნოები არიან, არამედ მებრძოლი ათეისტები. რით აიხსნება ის, რომ უძველესი მართლმადიდებლური სახელმწიფოს სათავეში ამგვარი პოლიტიკური მოღვაწეები აღმოჩნდნენ? რის სიმპტომაა ეს?

— „ჩვენი დროის მებრძოლი ათეისტები“ — სწორედ ეს ტერმინი გამოვიყენე ჩემს ბოლოდროინდელ სტატიებსა და ინტერვიუებში, ასე რომ, თქვენეულ შეფასებას ნამდვილად ვეთანხმები. მათი ხელისუფლებაში ყოფნა რისი სიმპტომაა, მიჭირს, განვსაჯო. სიტყვა „სიმპტომს“ ხშირად იყენებენ მედიკოსები. თუ თქვენ გინდათ, მიმანიშნოთ, რომ ქართული საზოგადოება არაჯანმრთელ მდგომარეობაშია, რას ვიზამთ, შეიძლება ასეცაა.

— სააკაშვილის მოქმედებებში, განსაკუთრებით მისი მმართველობის საწყის პერიოდში, ბევრჯერ იყო ქრისტიანობის განზრახ

დამახინჯება, ზოგჯერ კარიკატურულიც კი. იმაში, თუ 2003 წლის 23 ნოემბერს როგორ თეატრალიზებულად დალია მან პარლამენტის შენობაში შევარდნისას ე. შევარდნაძის ჩაი, იკითხება პაროდია ზიარებაზე. დავით აღმაშენებლის საფლავზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ფიცი, როგორც ჩანს, ატარებდა არა მარტო პროპაგანდისტულ, რამედ მისტიკურ მნიშვნელობასაც...

— სწორია. სააკაშვილი აქტიურად ახდენდა რელიგიური სიმბოლოების ექსპლუატირებას, ასევე თქვათ, საქართველოში პრეზიდენტის პოსტის საკრალიზაციისთვის და ამით საკუთარი თავის საზოგადოებაზე მაღლა დაყენებისათვის. მე მის ამ ნაბიჯებს — ანტიმართლმადიდებლური შინაარსის მქონე პოლიტიკას — ვაფასებდი როგორც ამერიკული „სამოქალაქო რელიგიის“ (civil religion) გამოვლინებას ქართულ პირობებში. სიგიჟეა ეს თუ არა, ჩემი განსასჯელი არაა, მაგრამ პირადად ჩემთვის სააკაშვილის პოლიტიკა მთლიანად, მიუხედავად ცალკეული პოზიტიური გამოხრწყინებებისა, ბოროტების გამოვლინებაა.

— რწმენის ერთობას არ შეუშლია ხელი თბილისისათვის, ომი გაემართა სამხრეთ ოსეთისათვის. გამოითქვა მოსაზრება, რომ ქართულ ცნობიერებაში ნაციონალიზმი ხშირად მართლმადიდებლურ ფასეულობებზე მაღლა დგას. ეთანხმებით თქვენ ამგვარ თვალსაზრისს?

— სამწუხაროდ, ნაციონალიზმი მართლმადიდებლურ ფასეულობებზე მაღლა მარტო ქართულ ცნობიერებაში არ დგას. ეს საერთო უბედურებაა, რომელმაც მთელი პლანეტა მონამლა, მაგრამ განსაკუთრებით — ქრისტიანული სამყარო, XIX საუკუნეში ეროვნული სახელმწიფოების წარმოშობის შემდეგ. სხვა მხრივ, XXI საუკუნეში უფრო აქტუალური ჰანტიგტონისეული „ცივილიზაციური“ ასპექტია, ხალხთა თვითიდენტიფიკაცია სულ უფრო მეტად განისაზღვრება დიდი ცივილიზაციური არეალების ფარგლებში. ამას გვიჩვენებს ისლამის გამოცდილება, ასევე დასავლეთის სამყარო, რომელიც კონსოლიდირებულია თავისი ფასეულობების გარშემო.

ჩვენ, მართლმადიდებლებმა, ჯერ

ვერ გავაცნობიერეთ ეს სიტუაცია. ამის ერთ-ერთი მიზეზი ისიცაა, რომ მართლმადიდებლური სამყაროს თითქმის 90% უღმერთო კომუნიზმის „ნითელ“ სარტყელში მოექცა, რომელმაც კრახი განიცადა, და ყოფილი სატელიტები და ოდესღაც ძლიერი ნითელი იმპერიის ნამსვრევები იდეოლოგიურ ვაკუუმში აღმოჩნდნენ. თუმცა არც ბერძნები გამხდარან ნაკლებად ნაციონალისტურები იმის გამო, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ აღმოჩნდნენ „თავისუფალი მსოფლიოს“ გავლენის ზონაში. საქმეს უფრო ართულებს ის, რომ მართლმადიდებლებს არ ჰყავთ საერთო უმაღლესი ავტორიტეტი, კათოლიკური პაპის მსგავსი. ჩვენ ერთი საერთო საეკლესიო ენაც არ გვაქვს, განსხვავებით კათოლიკეებისგან (ლათინური) და მუსლიმანებისგან (არაბული), რომელიც დაახლოებდა მართლმადიდებელ ხალხებს ერთმანეთთან. ჩემი მოკრძალებული აზრი იმაში მდგომარეობს, რომ საკუთარ ხელში ინიციატივა საეკლესიო იერარქიებმა უნდა აიღონ. უფრო გაბედული ნაბიჯებია საჭირო ეროვნული ეკლესიების დასახლოვებად, აქედან გამომდინარე — მართლმადიდებელი ხალხებისაც.

— 1990-იანი წლების დასაწყისში ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური კონფლიქტებისას მართლმადიდებელმა აფხაზებმა და ოსებმა ქართული ეკლესიიდან გამოყოფა მოისურვეს და მოთხოვნით მიმართეს რუსეთის პატრიარქს, მიეღო ისინი. ეს პრობლემა დღემდე გადაუჭრელია. მისი მოგვარების რა გზებს ხედავთ?

— აფხაზი და ოსი ხალხებისადმი ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, სიმართლე ყველაზე მაღლა დგას, საქართველოს ეკლესიიდან გამოსვლის მცდელობა და რუსეთთან შეერთება სულაც არაა განპირობებული საქართველოს პატრიარქზე აფხაზებისა და ოსების განწყენებით, არამედ ნაწილია აფხაზური და ოსური ნაციონალისტური პროექტებისა, რომლებიც, როგორც ცნობილია, საომარ მოქმედებებზე დიდი ხნით ადრე წარმოიშვა. მაგალითად, 1989 წლის გაზაფხულზე აფხაზებმა მოინვიეს სახალხო კრება სოფელ ლიხნში და მოითხოვეს აფხაზეთის ავტონომიის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური



რესპუბლიკიდან გამოყოფა. სწორედ ამ მიზეზით დაიწყო თბილისში აპრილის მიტინგები, რომლებიც 9 აპრილს სისხლით ჩაახშეს საბჭოთა ჯარებმა. ჩვენი აფხაზი და ოსი ძმები და დები ემსგავსებიან უკრაინელ ნაციონალისტებს, რომლებმაც, ასევე, შექმნეს თავიანთი „ეკლესია“ და არ ემორჩილებიან კანონიკურ რუსულ ეკლესიას. უნდა ვიცოდეთ, რომ საეკლესიო და სახელმწიფო საზღვრები სულაც არ უნდა ემთხვეოდეს ერთმანეთს.

რაც შეეხება აფხაზებსა და ოსებს, მორწმუნე ქრისტიანთა რაოდენობა მათში დიდი არაა. ეს ფაქტორი ადგილობრივ პოლიტიკოსებს მეტ შესაძლებლობებს აძლევს პოლიტიკური მიზნით რელიგიით მანიპულირებისათვის, რამდენადაც ამას წინ ვერ აღუდგება ადგილობრივი მრევლი და სამღვდლოება. სიტუაციიდან გამოსავალი ისაა, რომ რუსულმა ეკლესიამ უნდა ჩაატაროს სერიოზული მისიონერული საქმიანობა ამ ხალხებში და აუხსნას ადამიანებს, მათ შორის ადგილობრივ პოლიტიკოსებს, რომ ნაციონალიზმი ცუდია, ქრისტიანობა კი ყველაფერზე მაღლა დგას. ანალოგიური საქმიანობა უნდა გასწიოს ქართულმა ეკლესიამაც საქართველოს შიგნით.

— ცხოვრება აქტუალურს ხდის „პოლიტიკურ მართლმადიდებლობას“, მორწმუნეებს მოუწოდებს ეკლესიებსა და მონასტრებში მხოლოდ ლოცვებით არ შემოიფარგლონ. სად არის ზღვარი, სადამდეც ეკლესიას შეუძლია ჩაერიოს პოლიტიკაში (ამ სიტყვის ფართო გაგებით)?

— ეს ძალიან ვრცელი კითხვაა, რომელზეც მოკლე პასუხის გაცემა ძნელია. ეკლესია ნებისმიერ შემთხვევაში ნეიტრალური უნდა იყოს პოლიტიკაში და დისტანცირებული მისგან; მაგრამ არა მაშინ, როცა საქმე ეხება ქრისტიანული სწავლების ხელყოფის მცდელობას ან როცა რომელიღაც ტირანი ტოტალური უსამართლობის დამყარებას ცდილობს.

— რუსეთში ახლაც გრძელდება კამათი სკოლებში რელიგიური კულტურის გაკვეთილების შემოღების მიზანშეწონილობაზე. ამ მხრივ როგორ დგას საკითხი საქართველოში? აქვს აზრი მსგავსი საგნების სწავლებას თუ ბავშვების სულიერი აღზრდა მხოლოდ მშობლებ-

ბის მოვალეობაა და რელიგიის ადგილი არაა ელიტარულ სკოლებში?

— ქართულ სკოლებში და, საერთოდ, საგანმანათლებლო სისტემაში მთლიანად უიმედო ბნელი პრიმიტივიზმი მეფობს. შევადაროთ ეს სიტუაცია საბჭოთა სკოლაში სწავლების პერიოდს: როცა მე ვსწავლობდი, მაღალ კლასებში ცალკე გვასწავლიდნენ სსრ კავშირის ხალხთა ისტორიას, მსოფლიო ისტორიასა და საქართველოს ისტორიას. ამასთან, საგნის — ისტორიის სწავლება ხდებოდა ისტორიული ეპოქების მიხედვით — ძველი მსოფლიო, შუა საუკუნეების, ახალი ისტორია, უახლესი ისტორია. დღეს საქართველოში საგანმანათლებლო რეფორმის შემდეგ ისტორია ერთ საგნად აქციეს, საქართველოს ისტორია მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოშია მოქცეული. თამარ მეფეზე, მაგალითად, VII კლასში მხოლოდ ერთ ფურცელზეა საუბარი, როგორც მოკლე „ენციკლოპედიურ“ ცნობარში.

მხოლოდ ეს საგანი არ აღმოჩენილა ამ დღეში. სასკოლო პროგრამიდან გაქრა ქართული აგიოგრაფიის შედეგები, გრამატიკა გააერთიანეს ლიტერატურასთან. არსებითი ცვლილებები და შერწყმა მოხდა სხვა ჰუმანიტარულ თუ ზუსტ მეცნიერებებშიც. მოხდა სასკოლო განათლების პრიმიტივიზაცია, ამასთან, სწავლების ხანგრძლივობა სკოლაში დასავლური სტანდარტების შესაბამისად ერთი წლით გაზარდეს. სააკაშვილიმა თავარიგი დაიჭირა, შეიძინოს ყველა სკოლისათვის იაფფასიანი ნოუთბუქები, რომლებშიც მოთავსებული იქნება მთელი ეს პრიმიტიული სასკოლო პროგრამა: ბავშვები იმეცადინებენ კომპიუტერში და ნაკლებად გამოიყენებენ წიგნებს. მანვე გაგვაცნო გეგმა საქართველოში უცხოეთიდან ინგლისურის მასწავლებლების მონვევის თაობაზე, რათა ამ უკანასკნელებმა ბავშვებს ინგლისური კარგად ასწავლონ. ამას იმიტომ გიამბობთ, რომ თავად მიხვდეთ, საქართველოს სკოლებში რომ არანაირი რელიგიური განათლების ადგილი არაა. ამის გაგონება ხელისუფალთ არც სურთ, რელიგიურ განათლებას იძლევა მხოლოდ ის სკოლები, რომლებიც საპატრიარქოს ბალანსზეა. ბავშვების სულიერი აღზრდა, რა

თქმა უნდა, უპირველესად, მშობლების საქმეა, მაგრამ წარმოდგენა რელიგიაზე უნდა მისცეს სკოლამაც. ასეთია ჩემი აზრი.

— რა პირობებშია შესაძლებელი ორი მართლმადიდებელი სახელმწიფოს ურთიერთობის ნორმალურ კალაპოტში დაბრუნება? რა როლი ეკისრება ქართულ და რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს, ორივე სახელმწიფოს მართლმადიდებლურ საზოგადოებებს ამ პროცესში?


— ამ კითხვას მე უკვე ვუპასუხე, როცა ვთქვი, რომ მართლმადიდებლური ეკლესიის მაღალი იერარქიები (მე ვერიდები ეკლესიის მრავლობით რიცხვში მოხსენიებას, რადგან ეკლესია ერთია და არის ზენაციონალური) უნდა დაადგინონ ერთმანეთთან უფრო მეტად დაახლოების გზას და მისცენ ბიძგი საინტეგრაციო პროცესებს. საქართველოს ხელმძღვანელობა ტყუილ-უბრალოდ არ ახმარს მთელ ძალისხმევას მართლმადიდებლური ერთობის იდეის დისკრედიტაციას, უწოდებს რა ამ უდიდეს ქრისტიანულ იდეას „იმპერიალისტურს“ და „კრემლისას“. მიმდინარეობს საქართველოს ისტორიის რევიზია, წახალისებულია ერეკლე II-ს ლანძღვა, რომელმაც რადიკალურად დააახლოვა საქართველო და რუსეთი.

ასე უბრალოდ, არაფრისგან არ მომხდარა სტალინის ფიგურაზე თავდასხმების გაძლიერება, რომლის ძეგლიც მის მშობლიურ ქალაქკორშიბოლოსდაბოლოს აიღეს — ხომ უნდა გაითელოს ყველაფერი, რაც ჩვენი რუსეთთან გვაკავშირებს. ეს კი, უპირველესად, მართლმადიდებლობაა.

საკაშვილის ანტიმართლმადიდებლურ პოლიტიკას, რომელიც მისი „გამეფებისთანავე“ 2004 წლის იანვრიდან დაიწყო, აქვს ანტირუსული მოტივიც. ამის უკან კვლავ დაკვლავ დასავლეთის გავლენიანი ძალები დგანან. რუსეთისა და საქართველოს პატრიარქებმა თავიანთი ავტორიტეტი უნდა გამოიყენონ და უფრო აქტიურად უნდა გაუწიონ პროპაგანდა რუსებისა და ქართველების სულიერ ერთობას. ჩვენი და თქვენი საზოგადოებრიობა სასონარკვეთილია და სკეპტიკურად უყურებს მომავალში ორმხრივ ურთიერთობებს. საჭიროა, ჩვენი ხალხების გამოღვიძება. ამის გაკეთება კი სხვებზე უკეთ ჩვენს პატრიარქებს შეუძლიათ.

რელიგიური ფაქტორი და კონფლიქტური პოტენციალი საქართველოში

2005 წელს ჟურნალში „Central Asia and the Caucasus“ (3/2005) გამოვქვეყნე სტატია ანალოგიური სათაურით „რელიგიური ფაქტორი და კონფლიქტური პოტენციალი საქართველოში“, რომელშიც შევეცადე, გამეანალიზებინა ქართულ რეალობაში პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთგადაკვეთის წერტილები და ამ საფუძველზე კონფლიქტების წარმოშობის შესაძლებლობა. ამ სტატიის ძირითადი დასკვნა არის ის, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში ნაკლებ სავარაუდებელია კონფლიქტები პრინციპით — ქრისტიანობა-ისლამი ან ქრისტიანობა-იუდაიზმი, რელიგიის გავლენა მინიმალურია აფხაზეთისა და ცხინვალის ეთნიკურ კონფლიქტებზეც. საგრძნობლად უფრო დიდი კონფლიქტური პოტენციალი აღმოჩნდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და ქვეყნის მოსახლეობის აშკარა უმრავლესობის დამოკიდებულებაში არატრადიციული კონფესიების (პროტესტანტიზმი, კათოლიციზმი) და განსაკუთრებით სექტების (იეჰოვას მოწმეები, მორმონები და ა. შ.) მიმართ, რაც პირდაპირ არის გადახლართული სახელმწიფოსა და პოლიტიკასთან. გასული ხუთი წლის განმავლობაში მოხდა სწორედ ის, რაც იყო ნავარაუდები:



„მდგომარეობას ართულებენ დასავლეთის ქვეყნები, რომლებიც საყოველთაოდ აღიარებული რწმენის თავისუფლების შირმის ქვეშ ახორციელებენ საქართველოში სექტანტობის მხარდაჭერას, რასაც შეუძლია ქართულ საზოგადოებაში ანტიდასავლური განწყობების გაძლიერება, მით უმეტეს, რომ ამ საზოგადოებაში საკმაოდ ძლიერად გაიდგა ფესვი შიშმა კულტურულ-ფასეულობრივი ინტერვენციის მიმართ,“ — ფაქტია, რომ 2005 წლიდან მოყოლებული, დასავლეთის მიმართ ქართველების სკეპტიკური დამოკიდებულება გაძლიერდა, ეს კი არც თუ ბოლო რიგში დაკავშირებულია სააკაშვილის რეჟიმის მცდელობასთან, „გარდაქმნას“ ტრადიციული ქართული საზოგადოება, დაწეროს დასავლური წარმოდგენები და ფასეულობები (ხშირად დამახინჯებული სახით) და ამ საზოგადოებას თავს მოახვიოს ახალი ჰიბრიდული ეთიკა (თუკი ვინმე შემენინააღმდეგება და იტყვის, რომ სააკაშვილის რეჟიმს ყოველივე ეს არ გაუკეთებია, ნებისმიერ შემთხვევაში, მას გაუჭირდება იმაში შენინააღმდეგება, რომ ქართული საზოგადოების მნიშვნელო-

ვანი ნაწილი სწორედ ამგვარად აღიქვამს მის პოლიტიკას და რომ საბოლოო ჯამში იმავე ეფექტს ვლტებულობთ — ნეგატიური დამოკიდებულების გაძლიერება როგორც საკუთრივ რეჟიმის, ისე მისი დასავლელი მენტორებისა და მფარველების მიმართ). ზემოთ ნახსენებ სტატიაში მე, აგრეთვე, აღვწერე სააკაშვილის მაშინ ჯერ კიდევ ახალი ხელისუფლების რელიგიური პოლიტიკა. პირადად სააკაშვილი, 2004 წლის 4 იანვარს პრეზიდენტად არჩევის დღიდან მოყოლებული, ბიზანტიური სულისკვეთებით ინტენსიურად ახდენს რელიგიასთან დაკავშირებული სიმბოლოების ექსპლუატირებას: თავისი ინაუგურაცია მან გელათის მონასტერში, დავით აღმაშენებლის საფლავთან გამართა, რომელიც წმინდანად არის შერაცხული; ინაუგურაციაზე, ისევე, როგორც ახალი პარლამენტის სესიის გახსნაზე, იმყოფებოდა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე, რომელმაც დალოცა პრეზიდენტი და პარლამენტი, სააკაშვილს არაერთხელ გაუკეთებია მნიშვნელოვანი პოლიტიკური განცხადებები ამა თუ იმ

ტაძარში ყოფნისას და ასე შემდეგ. იგი ეკლესიასთან ურთიერთობებში არაერთ მნიშვნელოვან დათმობაზეც წავიდა ქონებრივ და ფინანსურ საკითხებში, როგორც ხელმწიფე, ისე „უბოძებდა“ ეკლესიას ამა თუ იმ ეკონომიკურ პრივილეგიას. მაგრამ სააკაშვილის ეს და სხვა ბიზანტიური „ჩვევები“ არანაირად არ ნიშნავს იმას, რომ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას სახელმწიფოს მხარდაჭერა აქვს მთავარ საკითხში — მართლმადიდებელი ქრისტიანობის პოზიციების გამყარებაში. საჭიროდ მიმაჩნია, 2005 წლის სტატიიდან კიდევ ერთი ციტატის მოყვანა: „პრეზიდენტის დამოკიდებულება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის მიმართ შეიძლება მივიჩნიოთ ბიზანტიური ცეზაროპაპიზმისა და ამერიკული Civil Religion-ის („სამოქალაქო რელიგია“) ერთგვარ ნაზავად. ამ ტერმინში იგულისხმება „რწმენის, სიმბოლოებისა და რიტუალების ელემენტების ერთობლიობა, რომლითაც ხდება მოქალაქეების მიხმა პოლიტიკურ გაერთიანებასთან, პოლიტიკურ ერთობასთან და ამ ერთობის რელიგიური ლეგიტიმაცია მისი ინ-



სტიტუტებისა და წარმომადგენლების სახით“ (Brocker M. Zivilreligion missionarisches Sendungsbewusstsein – christlicher Fundamentalismus? Religioese Motivilagen in der Aussenpolitik George W. Bushs // Zeitschrift fuer Politik, Heft 2, Muenchen 2003, შ.122).

ამასთან, Civil Religion ამკვიდრებს „იმ ხედვას, რომელიც ნაციის ერთიანობას ინარჩუნებს“ (იქვე. საინტერესო დეტალი: Civil Religion აძლევს ძლიერ იმპულსებს ამერიკულ პატრიოტიზმს („მსოფლიოს ყველაზე თავისუფალი ქვეყანა“ და ა. შ. — იხ. იქვე, გვ. 123), სააკაშვილიც ცდილობს, ქართული პატრიოტიზმი გააღვივოს ასეთი ტიპის ლოზუნგებით: „ჩვენ მსოფლიოში ყველაზე ლამაზი დროშა გვაქვს!“, „აჭარლები საუკეთესო ევროპელები არიან!“). მაგრამ, ამას გარდა, ბევრი ავტორი აღნიშნავს, რომ Civil Religion წარმომადგენს მხოლოდ „ნესრიგის რწმენას“, და არა „ხსნის რწმენას“ (რაც არის ქრისტიანობა), ახასიათებს მას რა როგორც „ბიურგერული ცნობიერების დეისტურ რელიგიას“ (იქვე). საქართველოში ბიზანტიური ტრადიციებით შეზავებული Civil Religion-ის პრინციპების დამკვიდრების მცდელობა, თუნდაც „ადგილობრივი სპეციფიკის გათვალისწინებით“, რასაც, ჩვენი აზრით, დღეს აქვს ადგილი, შეიცავს იმის დიდ ალბათობას, რომ საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ორიენტირებულია მართლმადიდებლობაზე არა როგორც მხოლოდ „პირად რწმენაზე“, ექნება საპასუხო რეაქცია (შედარებისათვის იხ. რელიგიის „დეპრივატიზაციისა“ და პოლიტიზაციის აქტუალური პროცესები ლათინურ ამერიკაში, აშშ-სა და ევროპაში — Willems U., Minkenberg M.: Politik und Religion im Uebergang Tendenzen und Forschungsfragen am Beginn des 21. Jahrhunderts, 2003, შ.14) და კატეგორიულად არ მიიღებს იმპორტირებულ ფასეულობებს, რომლებიც შეუთავსებელია მართლმადიდებლობის პრინციპებთან და ფასეულობების სისტემასთან“.

რეჟიმის მცდელობები, საქართველოს თავს მოახვიოს Civil Religion, გააძლიერა ეკლესიის შიგნით არსებული კონსერვატიული ძალების წინააღმდეგობა, რაც ხდებოდა

საზოგადოების პასიური უკმაყოფილების ფონზე. ზოგიერთი საეკლესიო წრის მოსყიდვისა და მასზე ზეწოლის გზით რეჟიმმა ამ წინააღმდეგობის ნეიტრალიზება წაწილობრივ მოახერხა. ეკლესია არ ერევა პოლიტიკაში, პატრიარქი იღია მეორე ხელისუფლების მიმართ ფრთხილი და დაბალანსებული საეკლესიო პოლიტიკის მომხრეა. 2009 წლის 26 მაისს, როდესაც სააკაშვილის გადადგომის მოთხოვნით მიტინგზე შეკრებილი უამრავი ადამიანი ფეხით ეახლა პატრიარქს წმიდა სამების ტაძარში, რათა მას მათი მოთხოვნებისთვის მხარი დაეჭირა, პატრიარქი თავისი სამწყსოს წინაშე არ გამოჩნდა და ნაცვლად ამისა, ტაძრის შიგნით (როგორც ამბობენ, საკურთხეველში) მიიღო თბილისის მერი გიგი უგულავა. ეკლესიისა და პირადად პატრიარქის ავტორიტეტი იმ დროისთვის იმდენად დიდი იყო, რომ მის ერთ სიტყვას შეეძლო საქართველოში ხელისუფლების ბედი გადაენწყვიტა. იგივე შეიძლება ითქვას მიტინგების მთელ პერიოდზე 2007 წლის ნოემბრიდან 2009 წლის მაისის ჩათვლით — როგორც ოპოზიცია, ისე ხელისუფლება იბრძოდნენ ეკლესიის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, პირველ რიგში, კათოლიკოს-პატრიარქისა.

ამგვარ სიტუაციაში რეჟიმს იმის თავი აღარ ჰქონდა, რომ ახალი ფასეულობების, Civil Religion-ის და ა. შ. დამკვიდრებისათვის ეზრუნა. 2007 წლის ბოლოდან 2009 წლის

შუა ხანებამდე პერიოდი შეიძლება დახასიათდეს, როგორც იდეოლოგიურ ფრონტზე ერთგვარი სიმშვიდის ჩამოვარდნის პერიოდი, რამაც შეარბილა მანამდე არსებული დაძაბულობა სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. ულტრა-ლიბერალებმა უკანა პლანზე გადაინაცვლეს (რომელთა წიაღიდანაც არის გამოსული დღევანდელი ხელისუფლება სააკაშვილისა და უგულავას ჩათვლით): მკვეთრი ანტიკლერიკალი კახა ლომია, რომელსაც უნინჯერ განათლების მინისტრის, შემდეგ უშიშროების საბჭოს მდივნის პოსტები ეკავა, „გამნესებულ“ იქნა ნიუ იორკში, ელჩად გაეროში; ტელეკრანებიდან გაქრა საქართველოში ულტრა-ლიბერალიზმის სიმბოლო, ექს-პარლამენტარი გიგა ბოკერია, რომელიც გადაიყვანეს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის „არასაჯარო“ თანამდებობაზე; რეჟიმის „კადრების და იდეების მთავარი სამჭედლოს“ — „თავისუფლების ინსტიტუტისა“ და მოძრაობა „კმარას“ წარმომადგენლებმა შეწყვიტეს ახალი ინიციატივებითა და გეგმებით გამოსვლები და ასე შემდეგ. სხვა სიტყვებით, რთულ პერიოდში ხელისუფლებამ მოაცილა საზოგადოების ზედმეტი გამაღიზიანებლები საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით.

ის, რასაც დღესდღეობით ვაპირებთ საქართველოში, რთული შესახელია ხალხსად —





ნარკოაფგენს თუ არა ულტრა-ლიბერალთა გააქტიურება (მათ შორის ეკლასიიდან განკვეთილი, ურჩი, ახლა უკვე ყოფილი ეკლასიის მსახურთა და სემინარისტთა ჩათვლით, რომელთაც დაუყოვნებლივ გადაინახვლან ჯ. სოროსის და ამერიკის სახელმწიფო ბრანტბით დაფინანსებული „თავისუფლების ინსტიტუტის“ ბარემოსვაში) მათსავე ინიციატივას თუ ამის უკან ხელისუფლება დგას, რომელიც სხვისი ხელბით ცდილობს ბინძური საქმის გაკეთებას და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლასიის დისკრადიტაციას?

ზემოთ ნახსენები იდეოლოგიური დამშვიდების პერიოდის შემდეგ იდეოლოგიურ ფრონტზე უეცრად „გაიელვა“ სოროსულმა ორგანიზაციამ „კმარა“, რომლის მდებრობითი სქესის ბელადმა და მასთან მიტმასნილმა ერთმა მუჭა ყოფილმა ეკლესიის მსახურებმა და სემინარისტებმა, ისევე, როგორც ულტრა-ლიბერალთა ყველაზე რადიკალურმა და სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებმა დიდი ხმაური ატეხეს, როდესაც კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის წინააღმდეგ მიმართული კამპანია განახორციელეს. საგაზეთო პუბლიკაციებში, სატელევიზიო ინტერვიუებში, ქუჩის შეკრებებზე ეს ხალხი შეურაცხყოფას აყენებდა პატრიარქს, ეძახდა მას „კავებებს აგენტს“ და ხელში აფრიალებდა სკანერით გადაღებულ „დოკუმენტებს“; პატრიარქს ბრალი დასდეს იმაშიც, რომ მან „არ შეაჩერა 1991 წლის სახელმწიფო გადატრიალება“ და სისხლისღერა დაუშვა. ძალიან საინტერესოა, რომ „კავებებში“ ილიას ულტრა-ლიბერალთა ბაგეთა საშუ-



ალეებით ბრალად ედებოდა (და ედებდა) „პრორუსული“ პოლიტიკა და საერთოდ, „პრორუსული“ განწყობა. და ეს „ოკუპაციის“ ფონზე — აღმფოთებას ვერ მალავდა „კმარას“ ბელადი.
ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დეტალია.

იმ პერიოდში საქართველოს პატრიარქმა გააქტიურა საეკლასიო დიპლომატია, ჩავიდა მოსკოვში, შეხვდა პატრიარქ ქირილს, ასევე — რუსეთის პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევს. ილია მეორე გარკვევით და, შეიძლება ითქვას, სალსახად გამოდის რუსულ-ქართული დიპლომატია და ორი ერის დაახლოების მომხრედ. სავსებით რეალურია, რომ საქართველოს მართლმადიდებელი ეკლასიის ამგვარი აქტიურობა საქართველოს ხელისუფლებას კალიან არ მოსწონს. თავის კომენტარებში სააკაშვილი ძნელად ფარავდა გალიზინებას.

ამიტომ შესაძლებელია, რომ სიპართლე იმ კომენტარების მხარესაა, რომლებიც მიიჩნევენ, რომ პატრიარქის წინააღმდეგ ნარკოაფგული ტილისმნამებლური კამპანია არსებული რეჟიმის მიერ არის ინიცირებული და არ ნარკოაფგენს ქართული საზოგადოების ცალკეული სუბიექტების თვითშემოქმედებას.

აქვე აღვნიშნავთ კიდევ ერთ არანაკლებ მნიშვნელოვან მომენტს: დასავლეთის მიმართ უკმაყოფილების ზრდის პარალელურად საქართველოს მოქალაქეთა დიდი უმრავლესობა (80%-ზე მეტი) მიიჩნევს, რომ ასე თუ ისე, აუცილებელია რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირება — ამის დამალვა ვერ შეძლეს თვით ამერიკელებმა, მათი რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) მიერ ამას წინათ ჩატარებული გამოკითხვების თანახმად. ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ მოსახლეობის ამ 80 პროცენტისგან ყველა თანმიმდევრულად მიესალმება ოპოზიციის იმ ნაწილის მოქმედებებს, რომლებიც უკვე ანარმობენ დიპლომატს მოსკოვთან და რომ ისინი რადიკალურად ეწინააღმდეგებიან სა-



ქართველოში არსებულ რეჟიმს, მაგრამ ასეთი განწყობა ხალხში არ შეიძლება, არ აშფოთებდეს ხელისუფლებას, რადგან იგივე ციფრი — მოსახლეობის 80% — უკვე მრავალი წელია, სტაბილურად აჩვენებს, რომ საქართველოს მოსახლეობა ენდობა საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას. ამიტომ ეკლესიის დისკრედიტაცია ქართული საზოგადოებრიობის თვალში უფრო აწყობს სააკაშვილს, რომელსაც ესმის, რომ მან უკვე ყველა ხიდი დანვა და თავად არ გააჩნია არანაირი შანსი, დიალოგი აწარმოოს მოსკოვთან, ამგვარი დიალოგი შესაძლებელია მხოლოდ მის გარეშე, ანუ მისი მმართველობის შემდგომ. მას ეკლესიის დისკრედიტაცია აწყობს იმდენად, რამდენადაც ეკლესიის მიმართ ნდობით განმსჭვალულ მოქალაქეთა 80%-სა და რუსეთთან დიალოგის აღგენის მომხრე მოქალაქეთა 80%-ს შორის არსებობს ურთიერთკავშირი.

სულ უფრო და უფრო მეტი აღაშინა მიწის დასქვანა და რუსებს ერთი სარწმუნოება გვაქვს, ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და გამოვნახავთ საერთო ენას. ეს ტანდენსია არსებობს, ამის დამტკიცება დოკუმენტალურად ჯერჯერობით შესაძლებელი არაა, მაგრამ რთულია მისი უარყოფა.

თუკი ჩავატარებთ კერძო, ნდობით აღჭურვილ საუბრებს „უბრალო ხალხის“ წარმომადგენლებთან, რომლებსაც ადგილობრივი ტელეარხების მიერ შექმნილი ანტირუსული ისტერიის ფონზე უბრალოდ ეშინიათ, ღიად გამოთქვან თავიანთი აზრი იმაზე უფრო კონკრეტულად, ვიდრე „საჭიროა რუსეთთან დიალოგი“.

მაგრამ საქმე არ შემოიფარგლება პატრიარქზე, როგორც პიროვნებაზე, და ეკლესიაზე, როგორც ინსტიტუტზე, შემოტევებით. ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ამჟამად „ილიას უნივერსიტეტი“) მისი რექტორის — გიგი თევზაძის ფრთის ქვეშ მოკალათებულმა ინტელექ-

ტულმა ულტრა-ლიბერალების გავლენიანმა პროსახელისუფლო დაჯგუფებამ, როგორც ცნობილია, ამას წინათ მორწმუნე მართლმადიდებლებს მოუწყო ნამდვილი გამონვევა, ფაქტობრივად, პროვოკაცია, როდესაც აქამდე ყველასათვის უცნობი ვილაც უმნიფარი ავტორის ასეთივე უმნიფარი წიგნუკას პრეზენტაცია მოაწყო, რომელიც ქრისტეს მიმართ პირდაპირ შეურაცხყოფას შეიცავს, ისევე, — როგორც სექსუალური პერვერსიების „სცენებს“. ეს წიგნუკა გამოსცა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ, რომელიც ამავე დროს სასკოლო სახელმძღვანელოებს გამოსცემს. გასაკვირი არაა, რომ ულტრა-ლიბერალთა ამგვარი გამობდომის შემდეგ ვნებები დაიძაბა. „მართლმადიდებელ მოქალაქეთა კავშირის“ ახალგაზრდულმა ფრთამ აქცია მოაწყო უნივერსიტეტის შენობასთან, სადაც ლიბერალებთან შეხლა-შემოხლა მოხდა. მათ მართლმადიდებლების აქცია შეაფასეს, როგორც „თავისუფალი სიტყვის“ შეზღუდვის მცდელობა.

რაც შეეხება საკუთრივ „მართლმადიდებელ მოქალაქეთა კავშირს“, იგი ჯერ კიდევ ზემოთ ნახსენები საბრალო წიგნუკას გამოსვლამდე შეიქმნა, როგორც პასუხი იმ პროცეზებზე, რომლებიც ზემოთ დავახასიათეთ Civil Religion-ის დამკვიდრების მცდელობად. ვის როგორი დამოკიდებულებაა არ უნდა ჰქონდეს ამ კავშირის წევრებისა და მისი დამფუძნებლების მიმართ, მსგავსი ტიპის საზოგადოებრივი მოძრაობის გაჩენა თვით დროის ნაკარნახევია და იგი სახელმწიფოს ამჟამინდელ რელიგიურ პოლიტიკაზე პასუხს წარმოადგენს. რეჟიმის მიერ ამ ორგანიზაციის დროებითი განადგურება მისი ყველაზე აქტიური ახალგაზრდა წევრების დაპატიმრების გზით (მონყობილი პროვოკაციის შემდეგ) საზოგადოებაში არსებულ განწყობას ვერ შეცვლის, პირიქით, — გააძლიერებს ულტრა-ლიბერალთა ზენოლის მიმართ წინააღმდეგობას, ვინაიდან ეს ზენოლა ტრადიციული ფასეულობებისა და რელიგიის შეწყვეტის მცდელობას წარმოადგენს. ამგვარი კავშირის შექმნა მხოლოდ კონფრონტაციის გაძლიერების დასაწყისს წარმოადგენს, რომელიც შეიძლება განიმუხტოს მხოლოდ

რელიგიის მიმართ სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლით.

**დასკვნა:
რელიგიურ-იდეოლოგიური კონფრონტაციის სახეობა საქართველოში უკვე აღარ გადის პრინციპით მართლმადიდებლობა — სხვა კონფრონტაციის-საქტაბი. სახეობა ახალი „მეზობელი ათეისტების“ ჩამოყალიბება, რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებისა და სიტყვის თავისუფლების დროის ქვეშ ცდილობენ, დაანგრინონ ქართველი ხალხის ტრადიციული საფუძვლები და ამ საქმეში, სპარაუდოდ, სახელმწიფო მხარდაჭერით სარგებლობენ**

(ისევე, როგორც არამართლმადიდებელი კონფესიებისა და სექტების სიმპატიებით), თუმცა სახელმწიფო, თავის მხრივ, ეკლესიასთან ღია კონფრონტაციას ერიდება. ანუ ადგილი აქვს ჯერ კიდევ ცუდად ორგანიზებული მართლმადიდებელი უმრავლესობისა და კარგად ორგანიზებული ათეისტურ-ლიბერალური უმცირესობის ურთიერთდაპირისპირებას. ისე არ უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველი ათეისტები, როგორც ასეთი, ათეისტ-ულტრა-ლიბერალთა ბანაკში არიან, ეს ერთი და იგივე არ არის. ქართველ ათეისტთაგან ბევრს, უმრავლესობას თუ არა, ესმის, რომ მართლმადიდებელი ქრისტიანობა ქართული ეროვნული თვითიდენტიფიკაციის საფუძველია, რომლის შეცვლა სხვა რაიმე დოქტრინით შეუძლებელია.

მთლიანობაში ბოლო ხანს განვითარებული ბოზოქარი მოვლენები კიდევ ერთხელ ამტკიცებენ, რომ ურთიერთდაპირისპირების ამჟამინდელი კონსტელაცია თავის თავში შეიცავს საკმაოდ დიდ კონფლიქტურ პოტენციალს, რაც საბოლოო ჯამში საფრთხეს უქმნის საქართველოს სახელმწიფოებრიობას.

გულბათ რცხილაკა, ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი

ვაზის ჯიშები საქართველოში

მსოფლიოში ცნობილია ვაზის 4000-მდე ჯიში. საქართველოში ვაზის 450-მდე ადგილობრივი ჯიშია, რომელთაგან სტანდარტულ ასორტიმენტში შეტანილია 62, მათ შორის 29 — საღვინე და 9 — სუფრის. მაღალხარისხოვანი ქართული საღვინე ვაზის ჯიშებია; რქანითელი, მწვანე, ხიხვი; გამორჩეული: მქისი, ჩინური, გორული მწვანე, ცოლიკოური, ციცქა, კრახუნა, საფერავი, თავკვერი, შავკაპიტო, ალექსანდროული, მუჯურეთული, ძველშავი, უსახელოური, ოცხანური საფერე, ოჯალეში, ჩხავერი, ალადასტური და სხვ. საქართველოში, კერძოდ მცხეთის, თრიალეთის, კახეთის, შიდა ქართლის, ვანისა და სხვა არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნია მარნები მიწაში ჩაფლული ქვევრებით, ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, თიხის სასმისებით, რომლებიც ჩვენს წელთ აღრიცხვამდე III-II ათასწლეულებით თარიღდება. ქართველმა ხალხმა საუკუნეების მანძილზე შექმნა ვაზისა და ღვინის მოხმარების კულტურა და ტრადიცია, შეიმუშავა სუფრის მშრალი, ბუნებრივად ტკბილი და ნახევრად ტკბილი, სადესერტო და ცქირიალა, კახური და იმერული ტიპის ღვინოების დამზადების ტექნოლოგიური ხერხები.



მარანი

ქრისტიანული რელიგიის გავრცელების შემდეგ, როდესაც იესო ქრისტეს მოციქულებმა — ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა იქადაგეს საქართველოში, ღვინო საეკლესიო რიტუალებშიც იღებდა და ამჟამადაც იღებს მონაწილეობას, რაზეც მიუთითებს ეკლესია-მონასტრების გარშემო ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნი საღვინე ჭურჭელი.

გარდა აბორიგენული ვაზის ჯიშებისა, საქართველოს თითქმის ყველა კუთხეშია გავრცელებული შემოტანილი ვაზის ჯიშები, რომლებმაც თითქმის მეორე სამშობლო ჰპოვეს უძველეს ქართულ მიწაზე, ესენია: ალიგოტე, პინო, შარდონე, კაბერნე სოვინიონი, შასლა, ხალილი.

საქართველოს მემკვიდრეობის ბაზრის მდგრადი განვითარების გზისკენ

საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გზაგასაყარზე, შავი და კასპიის ზღვებს შორის. მევენახეობა-მეღვინეობა მოქცეულია დიდი კავკასიონის მთის სისტემის შუა და დასავლეთ ნაწილში, შავი და კასპიის ზღვის აუზთა შორის, რომელთა ზემოქმედება განსაზღვრავს აქაური ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნებას და საუკეთესო გარემოს ქმნის ორიგინალური, ხარისხოვანი და მაღალხარისხოვანი მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებისათვის.

მევენახეობა-მეღვინეობის მკვეთრად განსხვავებულ თავისებურებათა საფუძველზე ქვეყნის ტერიტორია ორ მაკროზონად არის დაყოფილი: აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოდ.

აღმოსავლეთ საქართველო დაქანებულია კასპიის ზღვისაკენ და ხასიათდება ზომიერი კონტინენტალური, მშრალი, სუბტროპიკულში გარდამავალი ჰავით.

დასავლეთ საქართველო მოქცეულია შავი ზღვის გავლენის ქვეშ და ხასიათდება ტენიანი, სუბტროპიკული კლიმატით.

აღმოსავლეთ საქართველო კახეთი

(შიდა და გარე კახეთი)
კახეთი უძველესი და უნიკალური მევენახეობა-მეღვინეობის რეგიონია საქართველოში. იგი იყოფა ორ ზონად: შიდა და გარე კახეთად. კახეთში გამოყოფილია 25-ზე მეტი მიკროზონა, სადაც ტრადიციულად ინარმოება წარმოშობის ადგილის დასახელების ისეთი ცნობილი ღვინოები, როგორცაა: „წინანდალი“, „ნაფარეული“, „თელიანი“, „ახაშენი“, „მუკუზანი“, „ქინძმარაული“, „გურჯაანი“, „კარდენახული“, „ტიბაანი“, „მანავის მწვანე“, „ხაშმის საფერავი“ და სხვა.

საქართველოს ვენახების 65-70% კახეთშია კონცენტრირებული. საუკეთესო ხარისხის ღვინოების მომცემი სამრეწველო ვენახები გაშენებულია მდინარეების — ალაზნისა და ივრის აუზებში, ზღვის დონიდან 400-700 მეტრ სიმაღლეზე, ტყის ყავისფერ, მდელოს ყავისფერ, რუხ ყავისფერ (ნაბლა), ნემომპალა-კარბონატულ, შავმიწა, მდელოს შავმიწისებრ და ალუვიურ ნიადაგებზე.

ქახეთის მემკვიდრეობის ძირითადი მიმართულებაა მაღალხარისხოვანი და ხარისხოვანი სუფრის თეთრი და წითელი, მშრალი, ბუნებრივად ტკბილი და სადესერტო ღვინოების წარმოება.

ქახეთის მემკვიდრეობის ძირითადი მიმართულებაა მაღალხარისხოვანი და ხარისხოვანი სუფრის თეთრი და წითელი, მშრალი, ბუნებრივად ტკბილი და სადესერტო ღვინოების წარმოება.

ევროპული ტიპის სუფრის თეთრი, მაღალხარისხოვანი, საუკეთესო საგემოვნო თვისებების მქონე ღვინოები მზადდება წინანდლის,



ნაფარეულის, გურჯაანის, მანავისა და სხვა მიკროზონებში, ადგილობრივი უნიკალური თეთრყურძნიანი ვაზის: **რქანთელის, მწვანე კახურის, ხიხვის, ქისისა და სხვა ჯიშების ყურძნისაგან.**

სუფრის ნითელი მშრალი, მაღალხარისხოვანი, სასიამოვნო ჯიშური არომატის მქონე ღვინოები მზადდება ქართული აბორიგენული ნითელყურძნიანი ვაზის ჯიშის საფერავისაგან, ქინძმარაულის, თელიანის, ახაშენის, მუკუზნის, ხაშმის და კახეთის სხვა მიკროზონებში.

კახეთში მზადდება წარმოშობის ადგილის დასახელების, ბუნებრივად ტკბილი ნითელი ღვინოები, მხოლოდ ახაშენის, ქინძმარაულისა და მუკუზნის მიკროზონებში. აქაური მიკროკლიმატი, ნიადაგები და ქართული ვაზის ჯიშის – საფერავის მაღალი შაქრისა და მჟავების დაგროვების უნარი განაპირობებს ამ ღვინოებისათვის დამახასიათებელ ჰარმონიულ, რბილ, ხავერდოვან, ხალისიან ტონებს და მაღალ საგემოვნო სპეციფიკურ თვისებებს.

კახეთმა საუკუნეთა მანძილზე შექმნა და ჩამოაყალიბა სუფრის ღვინოს ეპოქური ტიპი, როგორც საქაოლ განსხვავდება ღვინოების არსებული ტიპებისაგან.

იგი ერთადერთი მშრალი ორიგინალური ღვინოა ისოფლიოში.

ამ წესით მიღებული ღვინო გამოირჩევა მაღალი ექსტრაქტულობით, ფენოლური ნაერთების და ტანინის მაღალი შემცველობით, სასიამოვნო ბუკეტით, ჯიშური არომატითა და გემოთი; და რაც მთავარია კახური ტიპის ღვინო მდიდარია ადამიანის ჯანმრთელობისათვის სასარგებლო ბიოლოგიურად აქტიური ნივთიერებებით.

ქართლი

(ქვემო, შუა და ზემო ქართლი)

ქართლი — უძველესი ქართული კულტურის აკვანი. იგი ცნობილია კლასიკური ევროპული ტიპის ხარისხოვანი სუფრისა და მაღალხარისხოვანი ცქრიალა ღვინოებით. ქართლი იყოფა სამ ზონად: ქვემო, შუა და ზემო ქართლი, ანუ მესხეთი. ვენახები გაშენებულია მდინარეების — მტკვრისა და მისი შენაკადების, ლიახვისა და ქსნის ვრცელ აუზებში, ზღვის დონიდან 450-700 მეტრ სიმაღლეზე, მდელოს ყავისფერ, მდელოს ალუვიურ, რუხ ყავისფერ (ნაბლა) და ნეშომპალაკარბონატულ ნიადაგებზე.

ქვემო ქართლი წარმოადგენს საუკეთესო ზონას სასუფრე ყურძნისა და ქიშმიშების წარმოებისათვის. შუა ქართლი ქართლის სხვა ქვე-

ზონებს შორის, მევენახეობა-მელვინეობის თვალსაზრისით, საინტერესოა. იგი განეკუთვნება ხარისხოვანი კლასიკური ევროპული ტიპის სუფრისა და მაღალხარისხოვანი ცქრიალა ღვინოების წარმოების ზონას. აქ, ატენის ხეობაში უძველესი დროიდან ამზადებდნენ ტრადიციულ ტექნოლოგიით წარმოშობის ადგილის დასახელების ცქრიალა ღვინოს სახელწოდებით „ატენური“, ადგილობრივი ვაზის გორული მწვანისა და ჩინური ყურძნისაგან. აღნიშნულ ქვეზონაში აწარმოებენ მაღალხარისხოვან სუფრის თეთრ და ვარდისფერ ღვინოებს როგორც გორული მწვანისა და ჩინურის, ასევე ბუდეშურის, თავკვერისა და სხვა ადგილობრივი ჯიშების ყურძნისაგან.

ამ ქვეზონიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ქსნის ხეობა (მუხრანის ველი), სადაც ფრანგული ვაზის ჯიშ **ალიგოტე** დიდი მასივების სახით არის წარმოდგენილი და იძლევა ევროპული ტიპის სუფრისა და ცქრიალა ღვინოების წარმოებისათვის საჭირო მაღალხარისხოვან ღვინომასალას.

ზემო ქართლის — მესხეთის ტერიტორიაზე ამჟამად მევენახეობა-მელვინეობას არ აქვს სამრეწველო ხასიათი. წარსულში, როგორც ამას მოწმობენ მატერიალური კულტურის ძეგლები (მარნები, ქვევრები, საწნახლეები, სასმისები და სხვა), რომლებიც არქეოლოგიური გათხრების დროს იქნა აღმოჩენილი, ადასტურებენ, რომ მევენახეობა-მელვინეობა მესხეთში ფართოდ ყოფილა განვითარებული, ეს მხარე დიდი ხნის განმავლობაში (2,5 საუკუნე) თურქეთის პოლიტიკური გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და აქ იძულებით იყო გავრცელებული მაჰმადიანობა, რომელიც ღვინის მოხმარებას კრძალავდა, რამაც გამოიწვია ვენახების განადგურება, რომლის გაშენებაზეც რუსეთის ცარიზმის პერიოდში არავის უზრუნია.

XX საუკუნის 30-იანი წლებიდან საქართველოს მევენახეობისა და მელვინეობის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი ამ მხარეში სისტემატურად აწარმოებს სპეციალურ გამოკვლევებს, რომლის შედეგადაც გამოვლინდა, რომ პერსპექტიულია ევროპული ტიპისა და ცქრი-



ალა ღვინოების წარმოება: გორული მწვანეს, ჩინურის, ხიხვისა და სხვა ქართული ვაზის ჯიშების ყურძნიდან. საუკეთესო შედეგები გამოავლინა, აგრეთვე, ისეთმა ფრანგულმა ვაზის ჯიშებმა, როგორებიცაა პინო და ალიგოტი.

დასავლეთ საქართველო იმერეთი (ქვემო, შუა და ზემო იმერეთი)

იმერეთი საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის უძველესი და უმთავრესი რეგიონია, პროდუქციის როგორც რაოდენობის, ისე ხარისხის მხრივ. იგი იყოფა სამ ზონად: ზემო, შუა და ქვემო იმერეთი. ვენახები გაშენებულია მდინარეების: რიონის, ყვირილის, ჩხერიმელის, ძირულის და მათი შენაკადების ხეობებში, ზღვის დონიდან 50-500 მეტრ სიმაღლემდე, ნეშომპალა-კარბონატულ, ყომრალ, ყვითელ მინა და ენერ ნიადაგებზე.

იმერეთის მევენახეობა-მელვინეობა ხასიათდება ვაზის აბორიგენული ჯიშებისა და მათგან წარმოებული მალალხარისხოვანი სუფრის ღვინოების მრავალფეროვნებით.

ზემო იმერეთი უმთავრესად მზადდება ნაზი, ხალისიანი მქრიალა ტიპის ღვინოებსა და აბრეშე, მსუბუქი აპროპული ტიპის თეთრი და წითელი სუფრის ღვინოები, ადგილობრივი ვაზის: სიხას, სოლიკოურის, კრახუნას, კველშავისა და სხვა ჯიშების ყურძნისაგან მზადდება წარმოშობის ადგილის და ჯიშობრივი დასახელების, უმაღლესი ხარისხის, ორიგინალური, სუფრის თეთრი, წითელი და ვარდისფერი ღვინოები.



იმაკათუი პრავალსაუკუნოვანი ხალსური ტრაქტორების საუკუნეზე შექმნილია იმაკული ტიპის ღვინის დაყენების ორიგინალური ტექნოლოგია, რომლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ყურძნის ტკბილის ალკოჰოლური ღვინი წარმოებს მინაში რაოდენობა (ჭაჭა – ქლარტის გარეშე), რომლის მთლიანი მალალხარი მასის 4-6%-ს შეადგენს.

დადუღების შემდეგ ღვინომასალას ჭურში აყოვნებენ 1,5-2 თვით, შემდეგ ხსნიან დურდოდან, გადააქვთ კასრებში და შემდგომი მოვლა-დამუშავება არსებული ინსტრუქციით გრძელდება. ასეთი წესით დაყენებული ღვინო ევროპული ტიპის ღვინოსთან შედარებით უფრო ექსტრაქტულია და სხეულიანი, ამავე დროს მსუბუქია, ჰარმონიული და ხასიათდება სასიამოვნო გემოთი და ყურძნის ჯიშური არომატით.

ქვემო იმერეთი მოქცეულია იმერეთის დასავლეთ ნაწილში, მდინარე რიონის აუზში. აქ ვენახები გაშენებულია 40-420 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან. მელვინეობის

თვალსაზრისით, ეს ზონა ორდინალური ღვინოების ზონაა, სადაც ცალკეული უბნებში მზადდება ხარისხოვანი ღვინოები ადგილობრივი ვაზის ჯიშებისაგან.

რაჭა-ლეჩხუმი ხვანჭკარის ვენახები

რაჭა-ლეჩხუმი თავისი უნიკალური და ორიგინალური ღვინოებით გამოირჩევა დასავლეთ საქართველოს მევენახეობა-მელვინეობის ზონებისა და მიკროზონებისაგან.

იგი ისტორიულად წარმოადგენს ბუნებრივად ნახევრად ტკბილი და მშრალი ღვინოების აკვანს. ის მდებარეობს იმერეთის ჩრდილოეთით, მდინარეების — რიონის, ცხენისწყლისა და ლაჯანურას ხეობებში — ვინრო ზოლად. მისი ტერიტორია წარმოადგენს ერთგვარ ქვაბულს, რომელიც ყოველი მხრიდან შემოფარგლულია კლდოვანი ქედებით, რაც ქმნის განსაკუთრებულ მიკროკლიმატს, რომელიც განსაზღვრავს აქაური ღვინოებისათვის დამახასიათებელ ორიგინალურ თვისებებს. ვენახები გაშენებულია ზღვის დონიდან 600-800 მეტრ სიმაღლეზე.

ჰავა ზომიერად ტენიანია. ნიადაგებიდან აქ გვხვდება ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგები, რომლებიც უმეტესად განვითარებულია კირქვებზე, მერგელებსა და კარბონატულ ქვიშაქვებზე.


რაჭის სამხრეთ ფერდობებზე, რომელსაც მზე უხვად ანათებს და რომლებიც კლდოვანი ქედებით არის შემოფარგლული,



გაშენებულია ადგილობრივი ალექსანდროულის და მუჟრატულის ვაზის ჯიშები, როგორც შექრის დაბროვების დიდი უნარით (28-30%-მდე) ხსნაბრებიან. მათგან მზადდება უპირისუხის, მაღალხარისხის ნარკომოვის ადგილის დასახელების ბუნებრივად ტკბილი ნითელი ღვინო „ხანაქარა“.

ტვიშის მიკრორაიონში არსებული კლიმატი განაპირობებს იმერული ვაზის ჯიშის ცოლიკოურის ყურძენში მალალ შაქარ-მუჟავიანობას, რომლისგანაც ამზადებენ ნარკომოვის ადგილის დასახელების თეთრ ბუნებრივად ტკბილ ღვინოს „ტვიშს“.

ლენჩხუმში, ზუბი-ოყურემის მიკროზონაში ადგილობრივი ვაზის ჯიშის უსახელოურის ყურძნისაგან მზადდება უნიკალური, სასიამოვნო საგემოვნო თვისებების მქონე, ჯიშური დასახელების ბუნებრივად ტკბილი ნითელი ღვინო „უსახელოური“, ხოლო ორბელის მიკროზონაში ორბელური ოჟალემის ჟიშისაგან მიიღება ნარკომოვის ადგილის დასახელების ბუნებრივად ტკბილი ნითელი ღვინო „ორბელური ოჟალემი“.



სანახელი

შაში ზღვის სანაპირო ზოლი - ტენიანი სუბტროპიკული ზონა გურია, აჭარა, სამეგრელო და აფხაზეთი

აჭარის, აფხაზეთის, გურიის, სამეგრელოს მევენახეობა-მეღვინეობა მოქცეულია შავი ზღვის ახლო სანაპირო ზოლში, სადაც ვენახები (აფხაზეთი) გაშენებულია 2-4 მეტრ სიმაღლეზე ზღვის დონიდან და ვრცელდება 500 მეტრ სიმაღლემდე (ზემო აჭარა).

ჰავა სუბტროპიკული, ტენიანია, ზოგიერთ ადგილებში ჭარბტენიანიც და ამიტომ ვაზი ხასიათდება ხანგრძლივი სავეგეტაციო პერიოდით (ნოემბრის ბოლომდე). ზღვისპირეთში გავრცელებულია ნემომპალა კარბონატული, ყომრალი, ყვითელმინა, ნითელმინა და ენერი ნიადაგები.

გურიაში (ბახვი-ასკანის, ფარცხმან-საჭამიასის), აჭარაში (ქედა), აფხაზეთში (გუდაუთა) მიკროზონებში, გურიის აბორიგენული ვაზის ჯიშის — ჩხავერისაგან მიიღება განუმეორებელი, საგემოვნო თვისებების ჯიშური დასახელების ცქრიალა ღვინო „ჩხავერი“.

სამეგრელოში, სალხინო-თარგამოულისა და ბანძის მიკროზონებში აბორიგენული ნითელყურძნიანი ვაზის ჯიშ ოჯალემისაგან მზადდება ბუნებრივად ტკბილი და მშრალი, ჯიშური დასახელების უნიკალური ღვინო „ოჯალემი“.

ცნობილია, რომ სამეგრელოს მთავრის სიძეს, ფრანგ მიურატს სოფელ სალხინოში დამზადებული ღვინო „ოჯალემი“ გაუგზავნია პარიზში საერთაშორისო დეგუსტაცი-კონკურსზე, სადაც იგი უმაღლესი ჯილდოთი „გრან-პრი“-თი დაუჯილდოებიათ.

აფხაზეთში, საქართველოს ერთ-ერთ უძველეს და უღამაზეს კუთხეში ვაზის: ცოლიკოურის, ჩხავერის, ოჯალემის, კაჭიჭის, იზაბელასა და სხვა ჯიშებიდან მზადდებოდა ნარკომოვის ადგილის დასახელების ორიგინალური ღვინოები: „აფსნი“, „ლიხნი“, „აჩანდარა“, „ანაკოპია“ და სხვა ღვინოები, რომლებიც დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ მომხმარებელთა შორის.

სანახელი ყურძნის დასაყლეტი, დასანეხი, დასანური და ღვინის დასაყენებელი ჭურჭელია, ძირითადად, საქართველოში. ამზადებდნენ ხისგან (ცაცხვი, ნაბლი, თელა, თხილი), ქვისგან, კვეთდნენ კლდეში. ხის სანახელი, ძირითადად, ორი სახისაა: მრგვალი და გაკუთხული. პატარა ხის სანახელი 15-20 ფუტს იტევს, ხოლო დიდი — 3000 ფუტს. ამჟამად ხის სანახელები ხმარებიდან გამოსულია. იშვიათად გვხვდება ცემენტის ხსნარით ნაგები სანახელები.

უკველასი კლდეში ნაკვითი სანახელები ელინისტური ხანით თარიღდება (უფლისციხე, ზანიტი), გვხვდება ადრინდელ და შუა ფეოდალურ ხანებში. უზრო მოგვიანებით, მღვინეოვის განვითარების უზრო მაღალ დონეზე, გაჩნდა დამოუკიდებელი მოწყობილობა — ჭაჭის მქანაქური სანახელი.

იგი უკვე ნიკორწმინდის XI საუკუნის „დანერილშია“ ნახსენები. აქვეა მოხსენიებული ხის სანახელი, ქვიტკირის „სანეხი“ და ნაგებობა „სასანელო“. სანახელს იშვიათად დღესაც იყენებენ. რაჭა-ლეჩხუმსა და იმერეთში ტკბილის ჭაჭაზე დადუღება, ძირითადად, სანახელში ხდება. სანახელში აყენებენ, ასევე, წყალნარე ე.წ. სახარაჯო ღვინოს.

და სპანიკა

ბათუმის ბოტანიკური ბაღი

ბათუმის ბოტანიკური ბაღი შავი ზღვის პირას, ქალაქის ჩრდილოეთით არის განლაგებული და იგი უნიკალურია პოსტსაბჭოურ სივრცეში. გაშენებულია ბათუმიდან 9 კმ-ის დაშორებით, მწვანე კონცხზე,

111 ჰა ფართობზე და ძალიან მნიშვნელოვანია ცდებისათვის. 1885 წლიდან ამ ადგილის გაშენებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ცნობილ აგრონომ-დეკორატორს, ბათუმის მთავარ მეზღვეს მ. დალფონსს. იგი შეეცადა, აქაური ფლორა საფრანგეთის რივიერასათვის დაემსგავსებინა. მან სამხრეთ საფრანგეთიდან მცენარეთა ნაირსახეობა დიდი რაოდენობით შემოიტანა.

განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის სუბტროპიკული კულტურების დაფუძნებასა და გამრავლებაში პროფესორ ანდრია კრასნოვს, აგრეთვე, ცნობილ გეოგრაფსა და ბოტანიკოს პ. თათარინოვს, ბოტანიკოსსა და არქიტექტორს — იასონ გორდეზიანს.

ბათუმის ბოტანიკური ბაღის რელიეფი მთაგორიანია, ნიადაგი — ნითელმიწა, ყომრალი და ალფური. ბაღში სამი დენდროპარკი, კოლხეთის ტყის ნაკრძალი და ლანდშაფტურ-გეოგრაფიული პრინციპით შექმნილი 9 ფლორისტული განყოფილებაა: ამიერკავკასიის ტენიანი სუბტროპიკების, ავსტრალიის, ახალი ზელანდიის, ჰიმალაის, ალმოსავლეთ აზიის, ჩრდილოეთ ამერიკის, სამხრეთ ამერიკის, მექსიკისა და ხმელთაშუა ზღვის ქვეყნებისა. მცენარეთა კოლექცია შეიცავს 5000-ზე მეტ სახეობას, სახესხვაობას, ფორმასა და ჯიშს. ბაღში კარგად ხარობს უნიკალური მცენარეები: პოდოკარპუსი ტოტარა, ანდერსონის ვერონიკა, სამხრეთ კორდილინე, ჰიმალაური შქერი, ნეპალის მარადმწვანე მურყანი, მარადმწვანე მუხები, იაპონური კამელიის 80-ზე მეტი ჯიში, პალმისები ნეკერჩხლის 20 ფორმა, მაგნოლიის 15 სახეობა და ფორმა. იელების მდიდარი კოლექცია, საპნის ხე, ქონის ხე, ბამბუკის მრავალი სამრეწველო ჯიში, მამონტის ხე, მარადმწვანე სექვოია, მეტასექვოია, სწრაფმზარდი ფოთოლმცვივანი მუხები, მექსიკური ფიჭვები, ჩრდილოეთ ამერიკული და მექსიკური ტაქსოდოიუმი, მრავალი სახეობის კაქტუსი, სამხრეთ ამერიკის მანიჰოტი და სხვა. აქვეა კავკასიური კერძოდ კოლხეთის მესამეული პერიოდის რელიქტები: უნგერნის შქერი, პონტოური შქერი, ხენყავი, ნყავმაზა, პონტოური მუხა და სხვა. კარგად არის დაცული უძველესი პერიოდის კოლხური ტიპის ტყე.

ბოტანიკური ბაღი 1912 წელს დაარსდა და იგი ა. კრასნოვის სახელს უკავშირდება. ანდრეი ნიკოლოზის ძე კრასნოვი გახლდათ რუსი ბოტანიკოსი, გეოგრაფი; მან ჯერ კიდევ 1890 წელს იმოგზაურა სვანეთში და ამით საფუძველი ჩაუყარა გეოგრაფიულ ექსკურსიებს რუსეთის იმპერიაში. მან ასევე იმოგზაურა ჩრდილოეთ ამერიკაში ნიუ-იორკის შტატიდან იუტის შტატამდე და სამშობლოში ნიუ-მექსიკოს გავლით დაბრუნდა. 1891 წელს მოაწყო ექსკურსიები ხარკოვისა და პოლტავის გუბერნიებში, ასევე, ჩრდილოეთ და სამხრეთ-ალმოსავლეთ კავკასიაში. 1892 წელს სამეცნიერო მიზნით ის გაემგზავრა ექსპედიციაში აზიის სანაპირო ზოლზე მარშრუტით: სახალინი-იაპონია-ჩინეთი-იავანდოეთი-ციელონი. მეცნიერმა თავისი მოგზაურობები სამეცნიერო შრომებით დააგვირგვინა. კრასნოვმა შეძლო სამამულო გეოგრაფიის, აქამდე როგორც სასწავლო დისციპლინის, როლის გაზრდა.

1895 წელს კრასნოვი სახელმწიფო დონეზე გაიგზავნა ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში, რათა ადგილებზე შეესწავლა ჩაის კულტურა, ბათუმის ოლქში გამოყოფილ ტერიტორიაზე ამ მცენარის გაშენების მიზნით.

1910 წელს კრასნოვმა გამოაქვეყნა შრომა „ლექციები ფიზიკურ გეოგრაფიაში“, რომელშიც მოცემულია დედამიწის ლანდშაფტის აღწერა და მცდელობა მათი წარმოშობის გარკვევისა.

1912 წელს ავადმყოფობის გამო კრასნოვმა პედაგოგიურ საქმიანო-



ქალაქ ბათუმის ბოტანიკურ ბაღში

ბას თავი დაანება და აჭარაში ჩამოვიდა. მიუხედავად იმისა, რომ მას გაცნობიერებული ჰქონდა სიკვდილის მოახლოება, მაინც საოცარი ენერგიულობით იღვწოდა — ჩქარობდა, განეხორციელებინა თავისი დიდი ხნის იდეა: შეექმნა რუსეთში დიდი ბოტანიკური ბაღი ტროპიკულ ბუნებაში. საამისოდ მოიპოვა მეფის რუსეთის ხელისუფლების მხარდაჭერა, აუცილებელი ფულადი სახსრები და საფუძველი ჩაუყარა ბოტანიკურ ბაღს, რომლითაც საუკეთესო ძეგლი დაუდგა საკუთარ თავს.

კრასნოვმა დაამუშავა პროექტი, რომლის მიხედვითაც ბაღი გაშენდა. იგი დაკავშირებული იყო მსოფლიოში ცნობილ ბოტანიკურ ბაღებთან და იქ მომუშავე მეცნიერ-აგრონომებთან, რომლებიც მას სისტემატიურად უგზავნიდნენ სამეცნიერო ლიტერატურას, თესლსა და ნერგებს. კრასნოვმა მთავარი მეზღვის თანამდებობაზე იასონ გორდეზიანი მოიწვია. მისი უშუალო ხელმძღვანელობით გაშენდა ბოტანიკური ბაღის იაპონური, ჩინური, მექსიკური, ავსტრალიური, ჩილეს, ახალი ზელანდიის, ამერიკული და ევროპული განყოფილებები. ბაღში დღეისათვის, გარდა აღნიშნული განყოფილებებისა, არის აზიისა და



შორეული აღმოსავლეთის ქვეყნების, ჰიმალაისა და ტროპიკული მთების განყოფილება.

კრასნოვი ავადმყოფობის შედეგად 1914 წელს გარდაიცვალა, გაცხარებული მუშაობისას, უდიდესი საქმის ორგანიზაციისას, რომელიც ბალს უკავშირდებოდა.

„ჩემი საფლავიდან გააკეთეთ განაკაფი ზოლი, — წერდა იგი ანდერძში, — რათა იქიდან კარგად გამოჩნდეს ჩაქვი გარსშემოვლებული თოვლიანი მთებით, ზღვის ხედით. მე პირველად იქ დავინყე მუშაობა, იქაც დამრჩა ჩემი „მეს“ გარკვეული ნაწილი“. ამ ანდერძის თანახმად, მეცნიერი ბალში დაკალებს, მის მიერ შერჩეულ ადგილას, იქვეა აღმართული მისი ძეგლიც.

მისი სიკვდილი შეუმჩნეველი დარჩა რუსული საზოგადოების ფართო წრისათვის. მეცნიერის ხსოვნა მხოლოდ იქ აღნიშნეს, სადაც ის უკანასკნელ წლებში საქმიანობდა — ხარკოვსა და ბათუმში. შეიძლება ითქვას, რომ ის იმ იშვიათ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, ვინც მთელი ცხოვრება ერთგული რჩება ახალგაზრდობის დროინდელი გეგმებისა და ვინც ბოლომდე განახორციელა ისინი მცირედი ცვლილებებით.

საბჭოთა კავშირის გაუქმებისა და საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის შემდეგ ცხარე კამათი გაიმართა კრასნოვთან დაკავშირებით: გაჩნდა ორი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი — ერთი, რომ სინამდვილეში ამ ბალის გამე-

ნება მთლიანად ქართველი ბოტანიკოსის გორდეზიანის დამსახურებაა და მეორეც ის, რომ ბოტანიკური ბალის დამაარსებელი იყო, არის და იქნება ა. კრასნოვი.

თუნდაც კრასნოვი კოლონიზატორი ყოფილიყო, თუნდაც მას გონებაში ჰქონოდა სხვა დამოკიდებულება ქართველებზე, გამომდინარე შედეგიდან, ფაქტია, რომ მან ქართველებს უნიკალური ბოტანიკური ბალი დაგვიტოვა.

სხვადასხვა დროს ბოტანიკურ ბალს სტუმრობდნენ ვენის ბოტანიკური ბალის დირექტორი ჰანს ერენდორფერი, მონტანას უნივერსიტეტის პროფესორი რეგან ქელუიე. მათ აქ გავრცელებულ მცენარეთა ჯიშების სხვადასხვა სახეობები გამოიკვლიეს. აჭარის ტყეების ღირსშესანიშნაობებს არაერთხელ გაცნენ გერმანელი, ბავარიელი, ავსტრიელი და ფრანგი მეტყევეები.

ბათუმის ბოტანიკური ბალი 1998 წლიდან ბოტანიკური ბაღების მცენარეთა დაცვის მსოფლიო საბჭოს წევრია.

ბათუმის ბოტანიკური ბაღში სამეცნიერო-კვლევით მუშაობას ეწევა მცენარეთა ინტროდუქცია-აკლიმატიზაციის, მეყვავილეობისა და დეკორატიული მებაღეობის, ბოტანიკის, სუბტროპიკულ მცენარეთა სელექციის, მცენარეთა ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური განყოფილებები. ბალიდან გავრცელდა ევკალიპტი, ქაფურის ხე, ევკომია, ტუნგი, ფორთოხალი („ვაშინგტონ-

ნაველი“), ფეიჰოა, აღმოსავლური ხურმა, ახალზელანდიური სელი.

დეკორატიულ მებაღეობაში დაინერგა მრავალი მცენარე. 1972 წელს შესწავლილია დაყვავილებული და გამხმარი ბამბუკის პლანტაციის აღდგენის საკითხები, გამოყვანილია ფორთოხლისა და მანდარინის ჰიბრიდები. ტყის მეურნეობაში წარმატებით ინერგება სწრაფმზარდი მერქნიანი მცენარეები: ჭობის მუხა, ნამგლისებრი მუხა, იაპონური ძელქვა, ხეტიტა, ამბრის ხე, იაპონური ნაბლი, ვეიმუტის ფიჭვი და სხვა. ტექნიკური კულტურებიდან ინერგება ევგენოლის კამელია და იაპონური დარიჩინი. გაცვლის წესით, სუბტროპიკულ მცენარეთა თესვები, კალმები და ბოლქვ-გორგლები ეგზავნება უცხოეთის სხვადასხვა ბოტანიკურ დაწესებულებას, გამომცდელ-მოყვარულებს. ბალს აქვს მდიდარი ბიბლიოთეკა და 48000 ფურცელზე მეტი ჰერბარიუმი.

2012 წელს ბოტანიკურ ბალს 100 წელი უსრულდება. ქალაქ ბათუმის მერიამ, საკრებულომ და აჭარის უმაღლესმა საბჭომ გადაწყვიტეს, ამ თარიღთან დაკავშირებით, ცნობილი მებაღე-დეკორატორის — იასონ გორდეზიანის 6 ძეგლის პროექტიდან სპეციალური კომისიის მიერ არჩეული ნამუშევარი — გიორგი ჭანკვეტაძის „მაგნოლია“ — ბაღში დადგან და ამით სათანადო პატივი მიაგონ მის ხსოვნას.

დარეჯან ანდრიაძე



ზვიად გამსახურდია:

ლევ ტოლსტოი

ლევ ტოლსტოისადმი მიძღვნილი ნარკვევი ზვიად გამსახურდიამ 1993 წლის აპრილში დაწერა და ის მაშინვე გამოქვეყნდა „ლიტერატურნაია გაზეტაში“.

ამ ნაშრომში ზვიად გამსახურდია უფრო მალლა დგას, ვიდრე პოლიტიკოსი. ის უფრო მეტია, ვიდრე საზოგადო მოღვაწე, უფრო ღრმია, ვიდრე სტატისტიკოსი და შემფასებელი.


ლევ ტოლსტოი — მებრძოლი გიგანტი, დაუცხრომელი სული! იგი წარმოადგენს კაცობრიობის სულიერი მონამეობრიობის საოცარ პერსონიფიკაციას ორი ასწლეულის ზღვარის მსოფლმხედველობრივი კატაკლიზმებისა და სოციალური ძვრების ფონზე. ევროპა და რუსეთი გარდაიქმნენ თვისებრივად ახალ ამალგამად მის ტიტანურ აზროვნებაში. კაცობრიობის ყველა ინტელექტუალური ძიებანი, აღმასვლა და ვარდნა აისახა მის შემოქმედებაში. ამასთანავე, იგი უპირისპირდება როგორც ევროპას, ასევე ტრადიციულ რუსეთს, როგორც საკუთარი ცხოვრების წესით, ასევე შემოქმედებითაც, თუმცა ერთდროულად წარმოგვიდგება როგორც ევროპელი, ასევე რუსული სულის მატარებელ ადამიანად.

ტოლსტოი ომს უცხადებს ფილოსოფიის, რელიგიისა და ეთიკის ტრადიციულ გაგებას და ქმნის ახალ, ზენაციონალურ, ზოგადსაკაცობრიო კრიტიკიუმებს. ის ახალი დროის უდიდესი ერეტიკოსია, სულის ერეტიკოსი. მის მძლავრ ინდივიდუალობას არ ძალუძს ჩაჯდეს არანაირ კალაპოტსა და ჩარჩოებში. ტოლსტოის ბრძოლა შექსპირთან, გოეთესთან, ბეთჰოვენთან — ეს არის ტიტანის ბრძოლა ღმერთებთან. ამ გენიოსების სწორად გაგებისა და შეფასებისათვის ასეთ ბრძოლას უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ათასობით ერთგული კრიტიკოსების, ლიტერატურათმცოდნეების, ფილოლოგების, აკადემიკოსების მონურ თაყვანისცემას, რომლებიც ოთხად მოხრილნი ამ ავტორიტეტების წინაშე წარმოთქვამენ არაკრიტიკულ დიტირამებებს მათი მისამართით. ტოლსტოი კი ებრძვის თავის თანასწორებს; ეს არის თანასწორთა ტურნირი, მკაცრი დაუნდობელი ბრძოლა.

ამ ბრძოლაში და უარყოფაში ბევრად მეტი აღიარებაა, ვიდრე ტრაფარეტულ ქება-ხოტბაში, რომელიც მათ მიაგეს მთელმა რიგმა თაობებმა. აქ არნახული სიცხადით იხატება არა მარტო თვით ტოლსტოის ინდივიდუალობა, არამედ ამ ავტორთა ინდივიდუალობაც. ტოლსტოის მრისხანების შეურიგებელი ცეცხლი ანათებს მათ და თვით ტოლსტოისაც. ეს წააგავს, აგრეთვე, იმ რაინდთა ბრძოლას, რომლებიც ამოიზარდნენ მითიური დრაკონის კბილებიდან და რომელიც იხილა არგონავტების წინამძღოლმა იაზონმა კოლხიდაში.

ბეთჰოვენსა და ტოლსტოის ანათებას კიდევ ის, რომ არც ერთ მათგანს არ შეუძლია ჩაეტიოს ადამიანური ხელოვნების ჩარჩოებში. ბეთჰოვენი ამბობდა: „არ არსებობს ჰარმონიის ან კონტრაპუნქტის კანონი, რომლის დარღვევაც არ შეიძლებაოდეს უფრო სრულყოფილის, ამაღლებულისა და მშვენიერების ძიებისათვის“. იგივე შეიძლება ვაქციოთ ტოლსტოის მთელი შემოქმედების დევიზად. ბეთჰოვენსა და ტოლსტოის საერთო ტრაგედია აქვთ: მეტისმეტად ვინროა ადამიანის წარმავალი ყოფიერების დილეგია ამ გიგანტური სულებისათვის, მეტისმეტად ბოჭავს მათ სულიერების სანინალმდეგო მიწიერება და მატერიალურობა. ტანჯვა-წამება მატერიის ბორკილებში — ეს ზეადამიანების ტრაგედიაა. „შენ მიშველერა ტყვე-ქმნილსა, ჯაჭვნი მაბიან, რკინანი!“ — ასე ევედრებოდა ავთანდილი ღმერთს, გამოხატავდა რა თვით რუსთაველის ტრაგედიას.

ბეთჰოვენი მიისწრაფვის ადამიანური, სმენადი მუსიკისაგან ზევით — კოსმიური მუსიკისაკენ, უნივერსალური ჰარმონიისაკენ, რომლის ასახვაც — მიწიერი, სმენადი უსიკა — ზღუდავს და ბოჭავს მას. მისი



ლევ ტოლსტოი

მუსიკის მომენისას ლენინსაც კი, რომელიც უარყოფდა ყოველივე ზემინიერს, ზეადამიანურს, წამოსცდა: „არაადამიანური მუსიკაა!“ ბეთჰოვენი ებრძვის ნივთიერ, მატერიალურ ბორკილებს მუსიკაში და მისი მეცხრე სიმფონია — ამ ბორკილების მსხვერვის მქუხარე გამოძახილია. მისი „აპასიონატა“ და 32-ე სიმფონია — ეს მატერიალური ბორკილებით შებოჭილი და შებორკილი პრომეთეს ტიტანური კვნესაა. ტოლსტოის კი ბოჭავს ადამიანური მორალისა და ეთიკის, ნაირგვარი ეთიკური მიმდინარეობების პირობითობა. ტიტანის სული ეძიებს ახალ უნივერსალურ ზნეობრიობას, მხოლოდ ქრისტიანული ზნეობრიობის საფუძველზე იგი გააფთრებით ებრძვის ტრადიციულ მორალისა და რელიგიის დოგმებს. მაგრამ, ვაი, რომ არ ძალუძს მოკვდავს, გადალახოს ეს ზღურბლი — სიამაყის, უღმერთობისა და ღვთისგან განდგომილობის ცოდვის გარეშე, რადგანაც „მოკვდავთათვის მიულწეველია ზეციური განგების წვდომა“ (ნ. ბარათაშვილი). ღმერთი კი, წმიდა მამათა სწავლებისთანახმად, „ზომიერად გაიზიარება თავისი განუზომელობით და იხსნება ჩვენს წინაშე იმ ზომით, რომელსაც



ჩვენ დავიტყვით“. მაგრამ ძნელია ამასთან შეგუება იმ სულელებისათვის, რომლებიც ცდილობენ გადააბიჯონ ადამიანური შესაძლებლობების ზღვარს. აქედან იწყება დოგმების, ადამიანური პირობითობის ნგრევა, მაგრამ ამავე დროს იწყება დემონური ანარქიზმის აღმოცენებაც, რასაც თან მოყვება, აგრეთვე, ღვთაებრივი სასჯელი. ბეთჰოვენი კარგავს მუსიკის სმენითობით აღქმას, ტოლსტოი კი — რელიგიის, ეკლესიის გაგებას, ვინაიდან უარყოფს არსებულს, კონვენციულურ, მისთვის უკვე მოძველებულ რელიგიურობას, ეთიკას და ილუპება ახლის ძიებაში ღმერთებისაგან დასჯილის — იკაროსის მსგავსად. ის — არნივია, დაჭრილი ფრთებით, როგორც თვითონ აღნიშნავს თავის თავზე, რომელიც ამაოდ უცდის, რომ შეუხორცდება იმისათვის, რომ ხელახლა გაინავარდოს ცაში. ბეთჰოვენს სწყურია ახალი, არგაგონილი, არარსებული მუსიკა, ტოლსტოის კი — ახალი, არარსებული ზნეობრიობა, რელიგია და რელიგიო-ათმცოდნეობა. კონფლიქტს ტოლსტოისა და ბეთჰოვენს შორის გააჩნია კიდევ ერთი ასპექტი. ეს არის კონფლიქტი ზნეობასა და მუსიკას შორის. ტოლსტოი, ზნეობის გენოსი, აღშფოთებულია უზნეო მუსიკით, რაც ყველაზე მეტად მოხვდა თვალში ბეთჰოვენის „კრეიციერის სონატის“ მოსმენისას. აქ თვითონ ზნეობრივმა სულმა გამოუცხადა ომი მუსიკის დიონისურ სულს. აქ ერთმანეთს შეეჯახა ორი გენიოსი: ზნეობრივი და მუსიკალური. თუმცა, როგორც ჩანს, ტოლსტოი სრულად აფასებდა მუსიკის როლს ადამიანის სულის კათარზისში, ამიტომ იგი არავითარ უარყოფითს არ გამოთქვამდა ბახის მუსიკაზე, პირიქით, აქებდა მის სავიოლინო არიას. ტოლსტოის აშინებს მუსიკაში დიონისური საწყისი, ვნებათა ანარქიის აფეთქება. რომენ როლანმა წარმატებულად აღნიშნა, რომ სწორედ ამით იყო გამოწვეული გოეთეს ბუნტი ბეთჰოვენის წინააღმდეგ (გოეთე, აპოლონური, მჭვრეტელი ბუნების მხატვარი, შეცბა ბეთჰოვენის მუსიკის დიონისური ქარბორბალსაგან, მისი მომაჯადოებელი, დამმონებელი ძალისაგან). როგორც მხატვარი, ტოლსტოიც ასევე ფლობს აპოლონურ ბუნებას, ამიტომ უყვარს ესოდენ ძლიერად

ჰომეროსის სინათლე, ხოლო შექსპირისა და ბეთჰოვენის დიონისური ბნელი სიღრმეები მისთვის უცხოა. ტოლსტოის მხრიდან ახალი ევროპული კულტურის უარყოფაში თავს იჩენს სლავოფილური კულტუროფობია, როგორც დოსტოევსკის შემთხვევაში, თუმცა ტოლსტოი უარყოფდა სლავოფილობას, როგორც ინტელექტუალურ პლანში, ასევე ნაციონალურ-პოლიტიკურ სფეროში. „რუსეთი კი არ უნდა გადავარჩინოთ, — ეკამათებოდა იგი სლავოფილებს, — არამედ საკუთარი სულელები“. ამას უპირისპირდებოდა სლავოფილების დევიზი: „გადავარჩინეთ რუსეთსაც და ჩვენ საკუთარ სულელებსაც, რადგან რუსეთი — ჩვენი სულია“. მართლმადიდებლობის იდენტიფიკაცია სლავოფილურ მესიანიზმთან იმდენად უცხო იყო ტოლსტოისათვის, რომ ზოგიერთები აფასებდნენ ამას, როგორც ანტიპატრიოტიზმს. მაგრამ ტოლსტოი ქვეცნობიერად მაინც რჩება კულტუროფობად, რითაც ის ენათესავება მაქს ნორდაუს ევროპულ მიმდინარეობას. ამასთან ერთად, მას, როგორც დოსტოევსკის, საკმაოდ ძლიერი ლტოლვა აქვს სალოსობისაკენ, მდაბიოთა ტრადიციული რუსული რელიგიურობისაკენ („მამა სერგი“), რამაც აგრეთვე დიდი როლი ითამაშა ტოლსტოის ოჯახიდან გაქცევაში. სალოსი გრიშა მისთვის ქრისტიანული სულის იდეალური გამოვლინებაა; აქედანვე გამომდინარეობს მისი სიმპათიები ღუბოზრებისადმი. დოსტოევსკის ალიომა „ძმები კარამაზოვიებიდან“ და აგრეთვე მისი სხვა გმირი მამაკაცები და ქალები ატარებენ სალოსობის ნიშნებს, სალოსობა — ეს გულისგზაა მისტიკაში, ის განსხვავდება ინტელექტუალური მისტიციზმისაგან, რამაც განვითარება ჰპოვა ისეთ მოაზროვნეთა შრომებში, როგორებიც არიან სოლოვიოვი, ბერდიაევი, ილიინი და სხვები. ტოლსტოი მოგზაურობს ევროპაში, მხოლოდ გეოგრაფიულა, ისევე, როგორც დოსტოევსკი. გოეთეს „სპირიტუალური მოგზაურობა იტალიაში“ მისთვის უცხოა. საფრანგეთში ის ინტერესდება მხოლოდ სკოლებით, მას არ აინტერესებს ლუვრი ან ახალი იმპრესიონიზმი. ახალ პოეზიაში ის ინტერესდება მხოლოდ ჰიუგოთი (სტენდა-

ლი და ფლობერი მისთვის ახალ საფრანგეთს განასახიერებენ, თუმცა მის რომანებში საკმაოდ საგრძნობია მათი გავლენა). მიქელანჯელო მას არ უყვარს იმავე მიზეზით, რითაც ბეთჰოვენი. ის მისთვის ისეთივე მეტოქეა ქვის სტიქიაში, როგორც შექსპირი სიტყვის სტიქიაში და ბეთჰოვენი მუსიკის სტიქიაში. საყოველთაოდ ცნობილია მტრობა და მეტოქეობა გენიოსთა შორის. ტოლსტოის მსოფლმხედველობრივი კატასტროფა გამოიწვია XIX საუკუნის რელიგიური შემეცნების სიმწირემ. ეს იყო პერიოდი, როდესაც კანტისეულმა რაციონალიზმმა და აგნოსტიციზმმა საბოლოოდ გაიმარჯვა თეოლოგიაში, რასაც მოჰყვა პროტესტანტული თეოლოგიური სკოლის დომინირება, რომელმაც წაართვა ქრისტიანობას სულიერება და გადავიდა ქრისტიანული დოგმების რაციონალიზირებაზე. პროტესტანტობა უარყოფდა ქრისტეს აღდგომას, როგორც კოსმიურ ფაქტს, უარყოფდა თვით ღმერთის გაადამიანების, ღმერთკაცობის იდეას. მან მოკლა ქრისტი ჯვარზე, როგორც ჩვეულებრივი ადამიანი, ის უარყოფდა სასულიერო იერარქიების არსებობას და მათ როლს გოლგოთის მისტერიაში, ხოლო აღდგომასა და ექვარტიას მიანიჭებდა მხოლოდ სიმბოლურ მნიშვნელობას. გერმანული პროტესტანტული კონცეფციების გავლენა ტოლსტოის საღვთისმეტყველო შეხედულებებზე ნათელია. ეს აისახა ტოლსტოის რომანში „აღდგომა“, სადაც ნეხლოუდოვი სახარებაში ხედავს მხოლოდ ზნეობრივ მოძღვრებას, გამოხატავს გაოცებას „ანგელოზების რაღაცა გამოცხადებაზე“ და ქრისტეს მიიჩნევს მხოლოდ ზნეობრივ ადამიანად და არა ღმერთკაცად. ასეთმა მიდგომამ ქრისტიანობისადმი გამოიწვია ტოლსტოის განკვეთა ეკლესიისაგან. ისტორიოგრაფიაში ტოლსტოი მოექცა შოპენჰაუერული ფატალიზმის ანტიქრისტიანული იდეის გავლენის ქვეშ, რაც განსაკუთრებით გამოვლინდა მის გრანდიოზულ ეპოპეაში „ომი და მშვიდობა“, სადაც მასონი პიერ ბეზუხოვი უპირისპირდება რუსულ ხალხურ ქრისტიანობას პლატონ კარატაევის სახით. კანტისებრი და რენანისებრი მიდგომა ქრისტიანობისადმი ინტე-

ლექტურალურად უფრო ახლო აღმორჩნდა ტოლსტოისათვის, ვიდრე მაისტერ ეკჰარტის, ჰეგელის, შელინგისა და ლაფატერის მიდგომა. ინდურ და ჩინურ სიბრძნეში ის ასევე ეძებს ეთიკურ მოძღვრებას და არა მისტიკურ იდეებს ისევე, როგორც სოკრატისებრ სიბრძნეში. მეორე მხრივ, როგორც აღვნიშნეთ, ის იწვევს რუსული ხალხური რელიგიურობისაკენ, სალოსობისაკენ.

მაგრამ მსოფლმხედველობრივმა რაციონალიზმმა ვერ შეძლო გენიალური მხატვრის ინტუიციის დათრგუნვა. ქვეცნობიერი მისტიციზმი თავს იჩენს რომანში „ომი და მშვიდობა“; მისით გაჟღერებულია ეროვნისკის გასაოცარი სიზმარი ანა კარენინას დაღუპვის წინ, აღწერილი ადამიანის მიერ, რომელიც ღრმად შეიგრძნობს იმქვეყნიურ სინამდვილეს, თუმცა თეორიულად მისი სწორად გამაზრებელი არ არის.

რაც შეეხება დოსტოევსკის, მან უსიტყვოდ ირწმუნა მართლმადიდებლობა, როგორც უფრო მეტად ღრმა მისტიკოსმა და მოაზროვნემ, რომელმაც განვლო ტანჯვა-წვალების უზარმაზარი გზა. ამიტომ მისი „ძმები კარამაზოვები“ — ეს „კეთილმოყვარულობის“, ნმიდა მათა სწავლების მხატვრული ხორცშესხმაა, სადაც მწერალმა განაჩენი გამოუტანა რაციონალიზმს, როგორც სატანისტურ მოძღვრებას ივანე კარამაზოვის სახით და მის ღვიძლ შვილს — სოციალიზმს, სმერდიაკოვის სახით. ალიოშასა და ივანეს დაპირისპირება — ეს მართლმადიდებლობისა და ევროპული კანტიანური რაციონალიზმის თეზა და ანტითეზაა, სადაც მწერალი ამკარად იხრება პირველისაკენ, ხოლო მეორეს კიცხავს. ეს ორი საწყისი ასევე ებრძოდა ერთმანეთს ტოლსტოისთან, თუმცა საბოლოოდ ვერც ერთმა ვერ შეძლო გამარჯვების მოპოვება. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, მწერლის დიდი ინტუიციის, მისი ბუნებრივი ქრისტიანობის წყალობითა და, აგრეთვე, ტოლსტოის დის მამას წერილებისა და ლოცვების შემწეობით, რომელიც იმყოფებოდა მონასტერში, მოხდა მოულოდნელი რამ: ტოლსტოი, რომელიც უარყოფდა ეკლესიას, გაიქცა ოპტინის სავანეში, მაგრამ გარდაიცვალა გზაში.

რომენ როლანი ცდება, როდესაც ამბობს, რომ ტოლსტოის მსოფლმ-



ლევ ტოლსტოი მეუღლესთან და ბავშვებთან ერთად

ხედველობის შეუთავსებლობა მის ცხოვრებისეულ გარემოცვასთან, რომლის გადალახვა მან ვერ შეძლო, გამოწვეული იყო მისი სისუსტით და, რომ შუა საუკუნეების თითოეული ბერ-მონაზონი, რომელიც ტოვებდა ოჯახს, ამსოფლიურ ამბოებებს და მიდიოდა მონასტერში, ტოლსტოიზე ძლიერი იყო. გვაოცებს იმ ადამიანის ამგვარი აზრი, რომელიც ყოველმხრივ იცნობდა ტოლსტოის, როგორც პიროვნებას, ასევე იმ ეპოქას და იმ გარემოს, რომელშიც იგი ცხოვრობდა. რომენ როლანმა ერ შეძლო დაენახა მთავარი: რამდენად განსხვავდებოდა ის ეპოქა და ის საზოგადოება, რომელშიც უხდებოდა ცხოვრება ტოლსტოის — შუასაუკუნეობრივი ყოფისა და ფსიქოლოგიისაგან. ის, რაც ადვილი იყო შუა საუკუნეების ადამიანისათვის, უკიდურესად რთული იყო XX საუკუნის ცივილიზებული სამყაროს წარმომადგენლისათვის. შუა საუკუნეებში გამეფებული მორალი, მსოფლმხედველობა და საზოგადოებრივი აზრი თვითონ უზბიძგებდნენ ადამიანს ამ-

სოფლიურობის დატოვებისა და თავგანწირული სამოღვაწეო გზის არჩევისაკენ. მიუხედავად იმისა, რომ ტოლსტოის ეპოქაში, რუსეთში განაგრძობდა არსებობას მონასტერი და ბერმონაზვნური ცხოვრება, თავგანწირულ სამოღვაწეო გზაზე დადგომა დაკავშირებული იყო მრავალი სიძნელის გადალახვასთან და წინააღმდეგობრივ ქმედებებთან, მით უმეტეს, გრაფისათვის, ინტელიგენციის მაღალი ფენისა და არისტოკრატის წარმომადგენლისათვის. იმ დროისათვის კი ეს ნიშნავდა საზოგადოებრივი დინების საწინააღმდეგოდ სვლას. ტყუილურალოდ არ წერს ტოლსტოი თავის დღიურში: „თუ აღვიკვეცები ბერად, მაშინ იტყვიან, რომ მოხუცი ჭკუიდან გადავიდაო“. შუა საუკუნეებში კი ეს ითვლებოდა ცხოვრების ნორმად, ცხოვრების დინების უკან მოყოლად. გაბატონებული ეკლესია და საზოგადოება თვითონ ეხმარებოდა ადამიანს გაეკეთებინა არჩევანი. თქმა იმისა, რომ მოცურავე, რომელიც მიყვება დინებას, ძლიერია იმ მოცურავეზე,



რომელიც ცდილობს დინების სანინალმდეგოდ ცურვას, უდიდესი შეცდომაა. პირიქით, ტოლსტოის დასჭირდა საოცარი ძალისხმევა იმისათვის, რომ გამაგრებულიყო ამ დინებაში ერთ ადგილზე, მაგრამ დინების სანინალმდეგოდ ცურვისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა მისი ზეადამიანური ძალაც კი. აი, ამაშია ტოლსტოის ტრაგედიის არსი.

გარდა ცხოვრების პირობებისა და ეგრეთ წოდებული „მაღალი წრეების“ საზოგადოებრივი აზრისა, დანახულ უნდა იქნას აგრეთვე შემდეგი მომენტი. შუა საუკუნეებში არ იყო გაბატონებული მატერიალისტური მსოფლმხედველობა, სკეპტიციზმი, ნიჰილიზმი, რაციონალიზმი, რომლებიც გზას გადაუღობავდნენ ადამიანს მონასტრისაკენ, ხოლო მეოცე საუკუნეში ისეთი მოაზროვნეებისაც კი, როგორიც ტოლსტოია, ძნელი იყო ბრძოლა საკუთარ თავში სკეპტიციზმის ქიასთან. იმ დროში მაღალი ინტელიგენციის წარმომადგენლები ძალზე იშვიათად ირჩევდნენ სასულიერო ცხოვრების გზას. ხოლო ხალხის წილიდან გამოსული ადამიანები, რომლებიც შორს იდგნენ ეპოქის ინტელექტუალური ცხოვრების სანამლავისაგან, სავსებით უმტკივნეულოდ მიემართებოდნენ ოპტინის სავანეში, რაზედაც ოცნებობდა ტოლსტოი. ტოლსტოის დის მამასათვის ძნელი არ იყო მონაზვნად აღკვეცა, რადგანაც იგი შორს იდგა შემეცნებითი ცხოვრებისაგან. ნუთუ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ მამა უფრო ძლიერი პიროვნება იყო, ვიდრე ლევ ნიკოლოზის ძე? ტოლსტოის დღიურები, მისი სტატია „რაშია ჩემი რწმენა?“ წარმოადგენს ამ ტრაგიკული და ტიტანური ბრძოლის მატყანეს.

ბევრი უბრალო ადამიანი რუსეთში, ტოლსტოის მიმდევარი, გაცილებით იოლად ახორციელებდა პრაქტიკულ ცხოვრებაში იმ იდეალს, რომელსაც ქადაგებდა ტოლსტოი და ვერ შეძლო მისი ხორცშესხმა. ნუთუ ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ისინი უფრო დიდი და ძლიერი პიროვნებები იყვნენ, ვიდრე ტოლსტოი? უნდა გვახსოვდეს, რომ მათ არ ბოჭავდა განგება ისეთი ბორკილებით, როგორიცაა გრაფობა, ადგლ-მამულები, მსოფლიო სახელი, მოვალეობა მრავალრიცხოვანი მკითხველის წინაშე, ლიტერატურ-


რული გეგმები და სხვ... და, ბოლოს, თავის როლს თამაშობდა მბრძანებელი „ქსანტიპა“, ტოლსტოის მეუღლე სოფიო ანდრიას ასული, საოცრად ძლიერი ხასიათის პიროვნება, რომელიც ბოლო წლებში გადაიქცა ტოლსტოის დილეგის ასთვალა გუშაგად, ყველაზე საშიშ იდეურ მონინალმდეგედ, და ყოველივე ამასთან უხდებოდა ბრძოლა მოხუცს, ფიზიკურად დასუსტებულ ადამიანს, და რამდენად დიდი იყო მისი სულიერი ძალა, რომ მაინც გადახარა სასწორი თავის მხარეს და გაიქცა ოჯახიდან. ამით მან საბოლოოდ გადალახა ორ უდაბნოს შორის არსებული პოპულარობა — „მაღალი“ საზოგადოების უდაბნოსა და ოპტინის სავანეს შორის, მაგრამ დაეცა შუა გზაზე. დიდი ადამიანები გამოირჩევიან იმითაც, რომ მათში ხშირად აისახება დროის მთელი სიდიადე და მანკიერებანი, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

ასე რომ, ტოლსტოიმ საბოლოოდ გაიმარჯვა თავის ბრძოლაში — გაქცევით ოპტინის სავანეში, მან სძლია ასთავიან ჰიდრას — საზოგადოებას, ოჯახს, სკეპტიციზმს, მემჩანურ „კეთილგონიერებას“ და ტიტანურ მღელვარებით ღვთაებრივი სიყვარული მაღლა დააყენა პირადულ ცხოვრებისეულ კეთილ-

დღეობაზე. ამით მან უფრო ძლიერად შეიყვარა თავისი ახლობლები და საზოგადოება, რომელიც ადრე სძულდა, რითაც მათ დაუმტკიცა თავიანთი გზის მცდარობა და დამლუპველობა.

ტოლსტოიმ დაამთავრა თავისი სიცოცხლე მოწამებრივი სიკვდილით. მან განირა თავისი თავი იდეის გამო და ამით ჩაიდინა გმირობა, მსგავსი ბუდას გმირობისა. ბუდა და ფრანსციზ ასიზელი — აი, მისი საყვარელი იდეალები. მან აუგო მათ საიდუმლო ტაძრები თავის გულის სიღრმეში. ის იყო მათი მიმდევარი რუსეთის აბსოლუტურ წყვილადში მეცხრამეტე-მეოცე საუკუნის ზღვარზე, ეპოქაში პოზიტივიზმის, რაციონალიზმისა და სკეპტიციზმის სრული ტრიუმფისა ინტელექტუალურ ცხოვრებაში, ზნეობრიობისა და რელიგიის დაცემის ეპოქაში. ის იყო მათი მიმდევარი სიტყვით, აზრით, შემოქმედებითა და ქველმოქმედებით და სიცოცხლის დასასრულს თავისი პრაქტიკული ნაბიჯით დაუმტკიცა გულგრილ საზოგადოებას გულწრფელობა და სიმართლე თავისი ქადაგებისა, რითაც გაამართლა საკუთარი თავის არსებობა.

**რუსულიდან თარგმნა
სესილი სემსურიანმა**



ლევ ტოლსტოი ბავშვებს ზღაპარს უყვება

არტურ ლაისტი

ქართველი ხალხი

(ნაწყობები)

საქართველო ერთ-ერთი ულამაზესი ქვეყანაა დედამიწის ზურგზე. მოგზაური, რომელიც შავ ზღვას გადასერავს და ბათუმში ამოყოფს თავს, იფიქრებს, სამოთხეში მოვხვდით. მწვანით შემოსილ მთებს ზემოდან მუქი ლურჯი ცა გადმოჰყურებს. რას ინატრებ, აქ რომ არ ხარობდეს!..

რასების საუკეთესო მცოდნის — უილიამ რიპლეს დაკვირვებით, ქართველები იდეალური რასაა, თუმცა მათ ძარღვებში უცხოური სისხლიც ბლომად ურევია...

ძნელია, ივარაუდო, თუ რა დონეზე იდგა ქართული კულტურა, როცა მეფე მირიანმა მეოთხე საუკუნეში ქრისტიანული სარწმუნოება მიიღო. ბერძენი და რომაელი მწერლები საერთოდ გვერდს უვლიდნენ ან კიდევ უმნიშვნელო ცნობებს გვანვდიან იმდროინდელი ქართველი ხალხის ზნე-ჩეულებებსა და სამეურნეო ცხოვრებაზე, უფრო ხშირად კი თავიანთ მოსაზრებას ან სხვათა მონათხრობს გადმოგვცემენ. სამაგიეროდ, ჰიპოკრატესა და სტრაბონის მიერ საქართველოს ბუნების, კერძოდ, კოლხეთისა და იბერიის ქალაქებში მრავლად იყო ოსტატურად ნაგები და კრამიტით დახურული სახლები, აივნისანი შენობები და სავაჭრო მოედნები. ეს არის და ეს, რასაც მეცნიერი გვიზიარებს. დიდი გაბედულება გმართებს კაცს, რათა ამ მცირე ცნობით მაშინდელი იბერიის კულტურაზე რაღაც წარმოდგენა იქონიო...

**ქართველი ხალხის
ზეპირსიტყვიერებაში
ქართლის მოქსეპაზე
უაპრაპი ლაგენდა
შექანილი. ამ მშვენიერი და
კოცხური ლაგენდის
თავიდათავი კაპაძოქიელი
წინდა ნინოა, რომელმაც
მირიანის მეფობის ქამს
საქართველოში ჩამოაღწია
და, ვახუშტი
გატონიშნულის ცნობით,
317 წელს ქართველობა
ქრისტიან რჯულს აზიარა...**

საქართველოს სულიერი კულტურის აღმავლობასთან ერთად ქრისტიანობამ ქართველობას ბოლოს და ბოლოს ზურგი შეაქცევინა სპარსეთთან და მჭიდროდ დააკავშირა ბერძნულ-ბიზანტიურ კულტურულ სამყაროსთან...

ვახტანგ გორგასალმა თავისი ცხოვრების უმეტესი ნაწილი, მართალია, ბრძოლებში გაატარა, მაგრამ შესანიშნავად იცოდა ბიბლია. როცა იგი სამეფოს რჩეულთ ესაუბრებოდა ან ქვეყნის ჯარს მიმართავდა, ასე ეგონათ, ოქროპირი მეტყველებსო...

წლითინლობით ძლიერდებოდა ქართული სამთავროები. თანდათანობით საფუძველი ეყრებოდა ერთიანი, მთლიანი საქართველოს აღორძინებასაც. შენდებოდა ციხეები, ეკლესიები, მონასტრები, ქალაქები...

დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის საუკუნეებმა საბოლოოდ მოამზადეს ნიადაგი, რომელზეც მსოფლიო ლიტერატურის ძეგლი — შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ აღმოცენდა...

თამარ მეფის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს კეთილდღეობას, დიდებასა და ძლიერებას საძირკველი გამოეცალა. ქართველობას დიდი უბედურება დაატყდა თავს.

სამმა საუკუნემ გაუთავებელ ომებსა, გაჭირვებასა და სიღატაკეში გაიარა. ამ დროის მანძილზე რამდენიმე თაობა მოვიდა და წავიდა, მაგრამ მათ სულიერი ცხოვრების არავითარი კვალი არ დაუტოვებიათ. თუ ადრე სამონასტრო სასწავლებლებში ახალგაზრდობის



არტურ ლაისტი

სწავლა-განათლებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა, სამასი წლის განმავლობაში სრულიად ჩამკვდარი ჩანს. ამ საუკუნეების საქართველოს ისტორია მოგვითხრობს გაუგონარ ომებსა და ლაშქრობებზე, ხოცვა-ჟლეტასა და ქვეყნის გაჩანაგებაზე, მკვლევლობებზე, ძარცვაზე, ქალაქებისა და სოფლების გადაბუგვა-გადაშენებაზე, თათრების, ლეკების, თურქების, სპარსელების ურიცხვ შემოსევებზე...

1672 წელს სამეგრელოსა და იმერეთში უმოგზაურია შარდენს. იმ დროს გაჭირვებაში ჩავარდნილ ორივე კუთხეს მოგზაურზე ცუდი შთაბეჭდილება მოუხდენია. შარდენს განსაკუთრებით მოსწონებია აღმოსავლეთ საქართველო, კერძოდ, ქართლი და მისი დედაქალაქი თბილისი. იგი აქებს ქართულ ღვინოს, მაგრამ უფრო — ქართველ ქალებს. მამაკაცები, მართალია, ინტელიგენტები არიან, მაგრამ სიცრუე, შურისძიება, ავხორცობა და ლოთობა უყვართ, თუმცა ზრდილობა, თავაზიანობა, თავდაჭერილობა და კაცურკაცობა არ აკლიათო...

**ქართველი ხალხი
ყოველთვის დიდი ზარ-
ხეივით აღნიშნავდა
მტარზე გაგარჯუბას,**



მაგრამ ამავე დროს უდიდეს მწესნაკებს განაწყინებდა დამარცხება, მეფის ოჯახის წევრთა უბედურება ან კიდევ ღირსეულ ადამიანთა გარდაცვალება. ეს უპველანი წეს-ჩვეულებები ქართველ ხალხს დღემდე შემორჩა.

განსაკუთრებით თვალში საცემია იგი სოფლებსა და მთიან ადგილებში. ამჟამადაც საქართველოს სოფლებში დაკრძალვის ცერემონიალს რომ ვაკვირდები, ასე მგონია, უძველეს ეპიკურ თხზულებებს, ძველბერძნულ ტრაგედიებს ან შექსპირის დრამებს ვკითხულობ-მეთქი. ვისაც ეს სურათი თავისი თვალით უნახავს, მას, რა თქმა უნდა, გაზვიადებული აღარ მოეჩვენება ფირდოუსის მიერ შემადრწუნებლად და ოსტატურად დახატული ზურაბის სიკვდილით გამოწვეული დედის უდიდესი მწუხარება. ალბათ ის ენით უთქმელი სევდა და ჭირ-ვარამი აძლებინებდა ქართველ კაცს მუდამ...

1772 წელს იმერეთში იმოგზაურა გერმანელმა ბუნებისმეტყველმა იოჰან გიულდენშტედტმა. ქუთაისში ამჟამად ორმოცდაათამდე კომლი თუ იქნება დარჩენილი, მაგრამ ეკლესიის ნანგრევები და ჩამოქცეული სახლები მის ძველ დიდებაზე მეტყველებენო... იაკობ რაინეგსი გიულდენშტედტის მოგზაურობიდან ათი წლის შემდეგ ეწვია საქართველოს.

მისი ჩამოსვლის მიზანი ქართველი ხალხის ახლო გახმოება იყო. ერთ დროს ჭიბჭიკრით ნაშენი სინაეპი და აკლასიეპი მიმონგრეულა, ხალხი განიზნულა, ვინც დარჩენილა ღარიბულად სსოპრობს, მაგრამ ამაყი და რაინდული გამოსაღვა აქვთო.

სულმნათი წინაპრების სასახელოდ XVIII საუკუნეში საქართველოს მიწაზე კიდევ ერთი გმირი გამოჩნდა. ქართველმა ხალხმა ერთხელ კი-

დევე მოიკრიბა ძალ-ლონე, რათა ამ მცირე ძალით, მაგრამ უდრეკი ნებისყოფით სამშობლო სპარსელების, თურქებისა და ლეკების თარეშისგან ეხსნა. ქართლ-კახეთის მეფე გააფთრებული ლომივით ეკვეთებოდა დუშმანს და უმონყალოდ ანადგურებდა მომხდურთ, მაგრამ მტრის შემოსევებს ბოლო არ უჩანდა. ერეკლე თავისი საუკუნის უდიდესი მთავარსარდალი იყო...

ახალი საუკუნის დასაწყისი, ერთი ასწლეულიდან მეორეში გადასვლა, ერის ცხოვრებაში საერთოდ, ზღვარად არ მიიჩნევა, მაგრამ

ქართველებისთვის მე-19 საუკუნე სულ სხვა საუკუნე იყო. სახალხო განათლებასა და ლიტერატურაში ავროპეიზმმა ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში იჩინა თავი, ისე როგორ, 1801 წელს, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა, ამ გავლენისთვის ქართული ნიადაგი უკვე შეიზაღებულ იყო...

ქართველი ხალხის მეცნიერული მოღვაწეობა ჯერჯერობით ძალზე ფრთხილად უნდა განვიხილოთ; ორმოცდაათი-ოდე წლის წინათ, როცა ერმა ახალი გონებრივი ცხოვრების გზა აირჩია, საშუალო განათლებისთვის აუცილებელი სასკოლო სახელმძღვანელოებიც კი არ ჰქონდა. სკოლებში რუსული ენის შემოღებამ ახალგაზრდობას თავისი დაღი დაასვა და ქართველებს კიდევ უფრო გაურთულა ამა თუ იმ სპეციალობაში მეცნიერული მოღვაწეობის გაშლა-განვითარება. რუსული უმაღლესი სასწავლებლები და რუსული ლიტერატურა ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა ქართველებისთვის ხელმისაწვდომი გახადონ თანამედროვე განათლება, რუსული მთარგმნელობითი ლიტერატურა კი ხელს უწყობს დასავლეთ ევროპის ხალხთა მეცნიერული აღმოჩენებისა და მიღწევების ათვისებაში. რუსული კულტურა ქართველებისთვის საერთოდ ის საძირკველია, რომელზედაც ისინი ახალ კულტურას

აშენებენ. იშვიათ გამონაკლისს გარდა, სხვა კულტურულ ერებთან უშუალო კავშირ-ურთიერთობა მათ დღემდე არ დაუმყარებიათ, რადგან დასავლეთევროპული ენების შესწავლის არც განსაკუთრებული უნარი და არც მიდრეკილება არ გააჩნიათ. გერმანული ან ფრანგული ენა საფუძვლიანად თითო-ოროლამ თუ იცის.

სომეხებისგან განსხვავებით, ქართველები მსოფლიო მოქალაქენი არ არიან; მათ უფრო მყარად უღვამთ ფსიქოლოგიური მიწაზე, გულმოკლული სტოვაგან მას და ძნელად ჰგუობენ უხსოვარ წეს-ჩვეულებებს, რასაც ქართველთათვის მსოფლოდ სარგებლობა მოაქვს.

ქართველების მეცნიერული მოღვაწეობა დღესდღეობით მხოლოდ საკუთარი ხალხის ისტორიისა და ეთნოგრაფიის შესწავლით განისაზღვრება, რაშიც უკანასკნელი წლების მანძილზე გარკვეულ წარმატებასაც მიაღწიეს...

ერთობ ღარიბულად გამოიყურება ქართული ენის კვლევის სფერო. ზოგიერთი სწავლული, ვინც მეცნიერულად ეუფლება ამ ენის გრამატიკას, დღემდე ვერაფერს გახდა. ბევრს მოველოდით ჰუგო შუხარდტისგან, მაგრამ რაკილა ქართულს სასხვათაშორისოდ სწავლობდა, ამიტომ რთული ზმნის პრობლემა აქამდე დაუძლეველი და გადაუჭრელი დარჩა...

საბავშვო ლიტერატურის მნიშვნელობა და მშობლიური ენის სინამდის დაცვა ქართველობას დიდი ხანია შეგნებული აქვს. ამ ბოლო წლებში მას დიდი მოჭირნახულე და შორსმჭვრეტელი ქომაგი გამოუჩნდა. საყმანვილო ნიგნების უმრავლესობა თარგმნილია, მაგრამ იაკობ გოგებაშვილის მიერ მშობლიურ კილოზე დაწერილი „დედაენა“ და „ბუნების კარი“ მაღალმხატვრულობითა და სიციცხალით გამოირჩევა...

ქართულმა ჟურნალისტიკამ მხოლოდ მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში დაიბეჭდა თავისი ადგილი და საკმაოდ დუნედ ვითარდება,

მაგრამ საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეული აღიარება ჰპოვა. ქართველი განსაკუთრებული ხალისით კითხულობს თავშესაქცევ და სახუმარო ამბებს. თავად ქართველი ხომ უსაზღვრო გულკეთილობითა და იუმორითაა დაჯილდოებული.

ერთადერთი ხელოვნება, ქართველები კვლავიანაა რომ მისდევდნენ, საეკლესიო მხანალობა იყო, რომლის პირველი ნიშნები გიზანტიანებისგან გადმოიღეს. უკვლავსა გიზანტიურმა ფორმამ საქართველოში საკაპო სახანალობა განისაღა, რამაც შეაღვროს სთავა დაუფო ქართულ საეკლესიო სტილს.

რაც უფრო ძველია ჩვენამდე მოღწეული ხუროთმოძღვრული ძეგლები, მით უფრო დიდი ხელოვნებითაა ნაგები. როცა სახელმწიფო უძღურდებოდა და მშვიდობიანობა ირღვეოდა, რა თქმა უნდა, ხელოვნებაც სათანადოდ ქვეითდებოდა...

ქართველებისთვის დრამატურგია მე-18 საუკუნის დასასრულამდე უცხო რამ იყო. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობა, კარჩაკეტილობა და მაშინდელ ვითარებაში ევროპული კულტურისგან მოწყვეტა ხელოვნების ამ დარგში დასავლეთის გავლენას შეუძლებელს ხდიდა. ამიტომ ხალხში მანამდე სანახაობა არ გამართულა, რასაც სამსახიობო ხელოვნების ჩანასახად მივიჩნევდით. როგორც ჩანს, მე-18 საუკუნის მიწურულამდე, ქართველებს თეატრალურ ხელოვნებაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდათ. 1791 წელს, როცა რუსეთიდან დაბრუნებულმა ახალგაზრდებმა მეფე ერეკლეს კარზე რამდენიმე სანახაობა გამართეს, ქართველმა მაყურებელმა მაშინ პირველად იხილა თეატრალური ხელოვნება, საერთოდ, ქართულ სასცენო ხელოვნებას 1850 წელს საძირკველი ჩაუყარა გიორგი ერისთავმა.

ქართველი მსახიობები სიცოცხლით აღსავსე, ბუნებრივი და გონებრივი ოსტატები არიან. მათი თამაში იმდენად ტემპერამენტიანი, სადა და მრავალმხრივია, რომ მეორეხარისხოვან როლებშიც კი გამოირჩევიან. ქართველი მსახიობების სწორედ ამ ცხოველმყოფელობასა და ძალდაუტანებლობაშია ქართული თეატრის სიძლიერე, რომელიც დღემდე მეტწილად თარგმანებს იშველიებს. ქართულმა თეატრმა შექსპირის, მოლიერისა და შილერის დრამების შემდეგ, ალექსანდრე დიუმას, სარდუს, იბსენის, ბევრი ფრანგი და რუსი დრამატურგის პიესა დადგა, არც ზუდერმანისა და ჰაუპტმანის ნაწარმოებები გამორჩენია მხედველობიდან, მაგრამ შექსპირისა და შილერის ტრადიციები დღემდე მაინც ყველას ურჩევნიათ, რაც ქართველთა მაღალ გემოვნებაზე მეტყველებს...

ქართული მუსიკა ალბათ ისევე ძველია, როგორც თავად სიმღერა. შორეულ წარსულში ხრინჩიანი, ბობოქარი ხმით ნათქვამი პირველი შემოძახილი უთუოდ ცეცხლთაყვანისმცემელთა საკურთხეველთან აყურდა. ამჟამად იმ წარმართული დროის ჰიმნებზე არავითარი ცნობა არ მოგვეპოვება, მაგრამ ზოგი მის გადმოწამის ძველ ხალხურ სიმღერებში ხედავს.

ბიბლიის გავრცელებასთან ერთად სირიელმა და ბერძენმა მისიონერებმა საქართველოში საეკლესიო გალობა შემოიტანეს. ქართული საეკლესიო გალობის წესები მეთათუ მეთერთმეტე საუკუნის

პერგამენტებმა შემოგვინახა. ეს ძვირფასი ძეგლი საუკუნეებს გადაურჩა და ხელნაწერის სახით ჩვენამდე მოაღწია...

ქართველი კაცის ფანტაზიასავით მდიდარი და უხვია ქართული ხალხური პოეზია, რომლის სათავეები უხსოვარ წარსულშია საძიებელი. როგორც ვარაუდობენ, სიმღერის უძველესი ფორმა საქორწინო ხასიათის უნდა ყოფილიყო. ბუნების გაღმერთებულ ძალებზე მოგვები ლექსებს თხზავდნენ და მერე ცეცხლის საკურთხეველთან მღეროდნენ. დღეს არავინ იცის, როგორი იყო უძველესი პოეზია, მაგრამ ცეცხლთაყვანისმცემლობა რომ საოცარი ფანტაზიით გამოირჩეოდა ნათლად ჩანს წეს-ჩვეულებებში, თქმულებებში, პოეზიასა და თვით ენაში. ქრისტიანობის გავრცელებიდან რამდენიმე საუკუნის შემდეგაც ცეცხლთაყვანისმცემლობას ხალხის წარმოდგენაში, წეს-ჩვეულებებსა და გამოთქმებში ფესვი მაგრად აქვს გამჯდარი. მოგვიერი პოეზიის გვერდით ადრეულ ხანაშივე წესად შემოიღეს მკვდრის დატირება, რომელიც ოდნავი სახეცვლილებით უახლოეს დრომდე შემორჩა...

ქართველი ხალხის უკიდევანო ფანტაზია ნაირსახოვნად აისახა ზღაპრებში. მათში აღმოსავლური სიბრძნითა და მრავალფეროვნებით მოთხრობილია სამყაროზე, ადამიანებსა და საგნებზე, თუმცა ხშირად ინდოევროპულ ზღაპრებთან სიახლოვეც შეიმჩნევა.



ნიკორწმინდა ქართული საეკლესიო მხანალობის ბრწყინვალე ნიშნები

აგარისის წმ. ნიკოლოზის სახელობის ეკლესია,
X-XI საუკუნეები, ღვანისის რ-ნი



სარკინეთის წმ. გასიელის სახელობის ეკლესია,
VIII-IX საუკუნეები, დიანისის რ-ნი

